



საქართველოს სსრ-ის საგარეო ურთიერთობების საქმეთა მინისტრის საგარეო ურთიერთობების საქმეთა მინისტრის



საქართველოს სსრ-ის საგარეო ურთიერთობების
საქმეთა მინისტრის

თბილისი — 1985



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ




ქრისტი

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლიცენზიით





წმიდა სუდარა



ს ა ა ლ დ გ ო მ ო ე კ ი ს ტ ო ლ ე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

ი ლ ი ა II

ღვთიკურთხეულნო და ღვთისსაყვარელნო ივერნო,
ძენო და ასულნო საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესიისა

„მცირედითა ჟამითა დავიტევუ შენ, მაგ-
რამ დიდითა წყალობითა შევიწყნარებ შენ“
(ესაია 54,7)

დღეს მსოფლიო სიხარულის დღეა, დღესასწაულობს სიცოცხლე სიკვდილისა
დამთრგუნველი და ამიტომაც უფრო მეტად გულშიჩამწვდომი და საზეიმოა წინას-
წარმეტყველ ოსიას სიტყვები: „სადა არს ძლევაჲ შენი, სიკვდილო, სად არს საწერ-
ტელი შენი, ჯოჯოხეთო“ (ოსია 13,14).

სიკვდილი დაემხო; ჯოჯოხეთი შეიმუსრა;

ძ რ ი ს ტ ე ა ლ ს ღ ბ ა!

ადღგომილი უფალი დღეს შედის ყოველ სახლში და რეკს კარზე ჩვენი გულისა,
რათა მოგვმადლოს მშვიდობა და სიხარული, რაც ასე მტკივნეულად გვაკლია და
რასაც ვესწრაფვით.

ყური მიუბჟარ, შვილო ჩემო, ამ მშვიდ ხმას, განმარტოვდი მასთან და გულის-
ხმაჰყავ ყოველი. იგი მოვიდა შენთან. ის შენს გვერდითაა; გაუღე გული, რათა
დაივიანოს იქ და გაგათბოს თვისითა ღვთაებრივითა სიყვარულითა.

უფალს მყუდროება უყვარს, შინაგანი სიმშვიდე და წმიდა გული. „მშვიდობა
თქვენდა“, — ასე მოგვპრთავს იგი თითოეულ ჩვენგანს. მიიღე, შვილო, ეს წყალობა,
ქრისტეს ეს ნათელი და გიხაროდენ, რადგანაც ხანგრძლივი განშორების შემ-
დეგ კვლავ ინება მან შენთან შეხვედრა და საუბარი. ისმინე და დაიმახსოვრე
მისი სიტყვები: „აჰა ესერა მე გამცნებ შენ, განძლიერდი და მკნე იყავ, ნუ
შეპრწუნდები, ნუცა გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ, უფალი ღმერთი შენი ყოველსა
ადგილსა ვიდრეცა ხვდოდი“ (ისუ ნავე 1,9).

აღდგომილი მაცხოვრის მიერ მოფენილი მშვიდობა მომცველია ყოვლისა სიკეთისა: კურთხევისა, ღვთის მოწყალებისა, ცოდვათა მიტევებისა, განმარტლებისა, სიმშვიდისა, სიხარულისა, მარადიული ცხოვრებისა... მოციქული პწველ ამის შესახებ ბრძანებს: „აწ უკუე განმარტლებულ ვართ სარწმუნობითა და მშვიდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა“ (რომ. 5,1). მშვიდობა ღმერთთან ნიშნავს მშვიდობას საკუთარ თავთან და მოყვასთან.

ბრძენთ უთქვამთ: ბუნებით კაცნი ახლოებულნია ერთურთისა, თუმცა თვისებანი განაშორებენ მათ. დიად სახეს ფორმა არ გააჩნია.

აღბათ, ამიტომაა ძნელი ადამიანის შეცნობა. იგი ხომ ღვთის ხატადაა შექმნილი. აღბათ, ამიტომ მიანდათ ფილოსოფოსებს უდიდეს სიბრძნედ საკუთარი შინაგანი მრავალსახოვანი სამყაროს შესწავლა, რადგანაც სხვა რომ შეიცნო, პირველ რიგში, შენს თავს უნდა იცნობდე კარგად.

სული, სამშვიდველი, სხეული — აი, ჩვენთვის ცნობილი ადამიანის შემადგენელი ნაწილნი. სულ ეს არის, თუ კიდევ სხვაც რაიმეა ჯერაც მიუკვლეველი ჩვენთვის? როგორ ავხსნათ, მაგალითად, აზროვნების უნარი, რა არის სიცოცხლე, რას წარმოადგენს გონება, გული? ასე წერდა ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღმდე III საუკუნეში ჩინელი მოაზროვნე სიუნ-ცხი: „გული მპყრობელია სხეულისა, განმგებელია სიბრძნისა. იგი მბრძანებლობს, თვით კი არავის ემორჩილება; ის კრძალავს, ან აიძულებს რაიმეს იმოძრაოს, აღძრავს სურვილს მითვისებისას, აღებისას, მოქმედების ან გაჩერებისას. იმიტომაც შეგვიძლია, ჩვენი ნებით დავიდუმოთ ენა, ან ვილაპარაკოთ, სხეული მოვხაროთ ან გავშალოთ. გულს ვერ დააშინებ, ვერ შეაცვლევინებ გადაწყვეტილებას. იგი იღებს მხოლოდ მას, რაც მართებულად მიანია და განაგდებს, რაც მისთვის შეუწყნარებელია“ (ძვ. ჩინური ფილოსოფია, ტ. II, მ. 1973, გვ. 186).

ადამიანი სამყაროს განსაკუთრებული მოვლენაა, დაჯილდოებული აზროვნებითა და სხვა ღვთიუმობადებული უნარით. მისი მიხანი და დანიშნულებაა ცხოვრება ღმერთში და ნეტარი მარადიულობის მოპოვება.

კაცი შემოქმედის განსაკუთრებული ქმნილებაა, უკვდავებას ზიარებული. უკვდავება მარტო მისი სულის თვისება არ არის მხოლოდ, არამედ სხეულისაც, რომელიც მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს უნდა აღდგეს.

წმ. მღვდელმოწამე მეთოდე ამბობს: სწორი არაა სულის განდიდებისათვის ხორციის დამცირება. სამოთხეშიც სხეული მქონდა ადამიანს; თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მომაკვინებელი ვნებანი სწორედ ხორცში ისაღვრებენ.

ამგვარად, როცა ხორცს ვთრგუნავთ, ამით სხეულს კი არ ვგვემთ, არამედ ვებრძვით მასში ცოდვის გამო დაბუდებულ ბოროტ ვნებებს. თავისთავად კი განწმედილი და განსპეტაკებული სხეული მშვენიერი და სათნაა.

ადამიანი უმშვენიერესი, წმიდა სახეა შემოქმედისა, ხატებაა ღვთისა. ამიტომაა იგი გონიერი და უკვდავი. მსგავსება კი თვითონ უნდა მოიპოვოს თავისუფალი ნების წყალობით, რაც, წმ. მამათა სწავლებით, ცოდვებისაგან თავის შეკავებას გულისხმობს. ყველას გემართებს დაუღალავი ზრუნვა ჩვენში ღვთის ხატების შენარჩუნებისა და მასთან მსგავსების მიღწევისათვის.

კაცთა მოდგმის ცოდვით დაცემის შემდგომი მთელი ცხოვრება დაპირისპირებაა ბოროტსა და კეთილს შორის. რაკი ბოროტი ძალა ღვთის წინაშე უძლურია, იგი ებრძვის ადამიანს, როგორც შემოქმედის უძვირფასეს ქმნილებას: ამიტომაც იქცა კაცი ცოდვის სუბიექტად და ობიექტად. სამწუხაროდ, ჩვენი ბუნებითი კანონი სიკეთისა, ჩვენი ნების სისუსტის გამო, ხშირად ვერ ძლევს ხოლმე მაცდურის ზრახვებს. უკეთურებისაგან თავის დაღწევისათვის ერთადერთი ნუგეში და იმედი მაცხოვარია, ჩვენი ხსნისათვის ამ ქვეყნად მოვლენილი, „რამეთუ სჯულმან სულისა ცხოვრებისამან ქრისტე იესომასა მიერ განმათავისუფლა მე სჯულისა მისგან ცოდვისა და სიკუდილისა“ (რომ 8,2).

სად და როგორ ხდება ეს გათავისუფლება? ქრისტეს საქმეს, სულის ხსნისა და გადარჩენის საქმეს ემსახურება ქრისტეს ეკლესია, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენი განმანათლებელი და განმარწყინებელი უძლეველი ძალა. ლოცვითა და ადამიანის ცოდვილი ბუნების საიდუმლო განახლებით იგი ასრულებს თავის დიად მოვალეობას. ეკლესიის გა-



უზგული. საწინამძღვრო ჯვარი ჩაუზიდას XI ს.



უზგული. მაცხოვრის ხატი ჩაქაშიდან XI ს.

რეშე სულის გადარჩენის მოიმედენი მწარედ ცდებიან.

მაინც რა არის სიკეთე ან ბოროტება, ასე გამუდმებით რომ ებრძვიან ერთმანეთს და რა მონაწილეობას იღებს ადამიანი მათ დაპირისპირებაში?

ბიბლიაში შესაქმის დამთავრების შემდეგ კეთილხელობთ: „და იხილა ღმერთ-მან ყოველნი, რაოდენნი ქმნა, და აჰა კეთილ ფრიად“ (დაბადება 1,31).

სიკეთის ერთადერთი წყარო და სათავე ღვთაებრივი სიყვარულია. იგი „სულ-გრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა მადლონი, არა განლაღნის, არა სარცხუნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარი-ტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი პრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველ-სა მოითმენნ. სიყვარული არასადა დავარდების (I კორინ. 13,4-8).

წმ. ისააკ ასური კი წერს: „ღვთაებრივი სიყვარული ესე არს სამოთხე ზე-ციური, ხე ცხოვრებისა, სუფევა უფლისა, ღვინო, რომელი „ახარებს გულსა კა-ციასასა“ (ფს. 109,15); შესვეს იგი განლაღებულთა — და შეიმოსეს კედმა, იგემეს ცოდ-ვილთა — და განუდგნენ გზასა ბოროტისასა, იხილეს გემოა მისი უჯეროდ ღვინის მსმელთა — და მმარხველ იქმნენ, მიიღეს მდიდართა — და შეიყვარეს სიგლახაკე, შესვეს უბადრუკთა — და აღივსნენ იმედითა, დალიეს უძლურთა და განძლიერდნენ, იგემეს უმეცართა — და შეიძინეს სიბრძნე“ (ისააკ ასური, სიტყვა 83).

„სიყვარული არს საძირკველი, წყარო და ღვთა ყოველთა კეთილთა“. — ბრძანებს იოანე ოქროპირი.

მაშ, საიდან მოვიდა ამ ფრიად „კეთილად“ ქმნილ, ღვთის სიყვარულით სავსე სამყაროში ბოროტება? როდის, ან როგორ დაიძლევა იგი?

წმიდა მამების განმარტებით, ბოროტება არარსია, არ წარმოადგენს სუბსტან-ციას. ადამიანმა ბოროტად გამოიყენა მინიჭებული თავისუფლება და ღვთის მცნების საპირისპირო გზას დაადგა. თავისთავად ბოროტებას არა აქვს თვითმყოფელი სახე. იგი არ არის სულდგმულთა და საგანთა ბუნება, რადგანაც ყოველივე ღვთისგან შექმნილი თავისთავად კეთილია.

ესა თუ ის არსება ან საგანი ბოროტად იქცევა მისი არასწორი გამოყენების გამო. ამდენად, ყოველი ბოროტება ბოროტმოქმედებისაგან მომდინარეობს. ბორო-ტება ცოდვაა, სიკეთის ნაკლებობაა.

წმიდა დიონისე წერს: „ბოროტსა არარაჲსა ძალუძს ქმნა, მხოლოდ ნგრევა და რღვევა არსებულისა“. ამიტომაც დიდი შეცდომაა მასში რაიმე მნიშვნელოვანის, ანდა შემოქმედებითი საწყისის დანახვა. ბოროტება არაფერს არ ქმნის, იგი არღვევს მხოლოდ.

— რატომ არის ცოდვა ასე მიმზიდველი? — ჰკითხეს ერთხელ ბასილი დიდს.

— ცდებით, მეგობარნო, — უპასუხა წმიდა მამამ, — მომზიბლავი მისი სამოსელია, თვით იგი კი არასოდეს ყოფილა მიმზიდველი.

ცოდვა არის საფუძველი პირველი და მეორე სიკვდილისა; ანუ საბაბი, როგორც ფიზიკური სიკვდილისა, რომელიც ყოველი კაცის ზვედრია, ისე მიზეზი სულიერი სიკვდილისა, როცა სული მარადიულ ნეტარებას კარგავს და ჯოჯოხეთში მკვიდრდე-ბა. ამავე დროს, ცოდვა არის ადამიანისა და ღმერთს შორის და კაცთა შორის უთანხმო-ებისა და შუღლის მიზეზი.

„ერთისა მის კაცისათუს ცოდვაა სოფლად შემოკდა და ცოდვისა ძლით სი-კუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყო-ველთა შესცოდეს“ (რომ. 5,12), — წერს პავლე მოციქული. ყოველივე დამოკიდე-ბულია ამქვეყნად ადამიანის თავისუფალ ნებაზე; რომელ მხარეს აირჩევს იგი: კეთილ საწყისს, თუ ბოროტების მოჩვენებითი მომზიბველობა ჩაითრევს თავის მორევში.

ნეტარი ავგუსტინე პირველი ადამიანის ზნეობაში ორ მდგომარეობას გამოყოფდა: „უცოდველობის შესაძლებლობას“ და „ცოდვის შეუძლებლობას“. მისი განმარტებით, სამოთხის მკვიდრთა „უცოდველობის შესაძლებლობის“ მდგომარეობა გამუდმებული სიკეთის ქმნალობით უნდა გადაზრდილიყო „ცოდვის შეუძლებლობაში“, მაგრამ ყო-ველივე ეს მოისპო ადამ და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევის გამო.

თუ პირველ ადამიანს შეეძლო „უცოდველობის შესაძლებლობიდან“ „ცოდვის შეუძლებლობამდე“ ამაღლება, ჩვენ იესო ქრისტეს მეოხებით მოგვენიჭა ცოდვილი

მდგომარეობიდან სულიერი განწმენით „უცოდველობის შესაძლებლობამდე“, ანუ სამოთხის ადამამდე ამაღლების საშუალება.

სამწუხაროდ, დღევანდელი ადამიანი ხშირად ვერ აფასებს ცოდვის სიძვირს და ანგარიშს არ უწევს მის შედეგებს. ზოგჯერ ისეც კი ფიქრობენ, თითქოს ცოდვა საერთოდ არ არსებობს, რომ ამ სახელს ვუწოდებთ ადამიანის ბუნებრივ თვისებებს. ამგვარად მოახროვინი ჭეშმარიტებისაგან შორს დგანან და თავს მეორე სიკვდილისათვის ამზადებენ. ბოროტება სიკეთის ნაკლებობა კი არ არის მხოლოდ, არამედ მისდამი სრული დაპირისპირება, არა ნაწილობრივი დარღვევა კანონისა, არამედ მთლიანად უარყოფა მისი. „ცოდვა იგი არს უსჯულოება (I იოანე, 3,4).

თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ჩვენთვის ხშირად აუხსნელ ციკლს გადის, რაც გულისხმობს დაცემასა და ამაღლებას, დამარცხებასა და გამარჯვებას, იმედის გაცრუებასა და სასოებას. ამ რთული პროცესის მიზანი სულის ხსნა და მეორე ცხოვრების მოპოვებაა.

ყოველი განვლილი დღე მარადიულობის კარიბჭესთან, სიკვდილის იღუმელბასთან გვაახლოებს. სხვადასხვანაირად ხედებიან ადამიანები ამ უმნიშვნელოვანეს მდგომარეობას. ნაწილს მიაჩნია, რომ სიკვდილთან ერთად არსებობაც მთავრდება, რომ შემდეგში მიმდინარეობს მხოლოდ ქიმიურ ელემენტებად დაშლის პროცესი. ამიტომაც ესწრაფვიან ცხოვრებისაგან ყოველივეს მიღებას, თუმცა ბოლომდე ვერც ამას აღწევენ. სხვანი შეძლებისდაგვარად ემზადებიან სიკვდილისა და ახალი ცხოვრების დაწყებისათვის; რწმენითა და სიყვარულით აღვსებულთ მუდამ ახსოვთ მოციქულის სიტყვები: „ღმერთი სიყვარული არს და რომელიც კოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰკის და იგი ღმერთისა თანა“ (I იოანე 4,5). ამიტომაც გულმოდგინედ ცდილობენ შეუდგნენ „სიმართლესა, ღმერთის მსახურებასა, სარწმუნოებასა, სიყვარულსა, მოთმინებასა, სიმშუდესა“ (I ტიმ. 6, II), რათა აღასრულონ წმ. პავლეს დარიგება: „მოიდუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისა (I ტიმ. 6,12).

როცა მეორე სიცოცხლეზე საუბრობს უფალი, ასე გვაფრთხილებს: „...იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“ (მათე 7,14).

გადის თვეები, წლები... დიდთა და მცირეთ, ჩინებულთა და უჩინოთა, ბოროტთა და კეთილთ — ყველას დაუდგება მიწიერ ყოფასთან განშორების დღე. გარდაცვალება სინამდვილეში ხელახალი შობაა სხვა სამყაროში. ბედნიერი ხარ, თუ ეს სიტყვები შენც შეგხება: „ნეტარ არს გზაჲ ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ დღეს, სულო, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მოგელის შენ“ (კურთხევანი).

მტკიცეულია ახლობელთან განშორება, მაგრამ ცრემლებისა და მწუხარების მიღმა უნდა დავინახოთ ნათელი დაუღამებელი, რომლითაც მოცულია განსვენებულის სული; უნდა დავინახოთ ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევა.

გულდასმით უნდა ვიკითხოთ დიდებულთა და ღვთისსათნო ჩვენთა წინაპართა ისტორია, უნდა საფუძვლიანად გავცნოთ წმიდათა ცხოვრებებს, რათა ვისწავლოთ, როგორ განვლით საწუთრო და როგორ შევხვდეთ აღსასრულს.

მორწმუნისათვის სიკვდილის საიდუმლო იგივე თავისუფლების, მარადიული სიყვარულის საიდუმლოა.

ახლა ბევრი მიიჩნევს თავს მორწმუნედ, აღიარებენ სულის უკვდავებას, მაგრამ მაინც არ ძალუძთ, გული მთლიანად მიუძღვნან უფალს.

გვხვდებიან ისეთნიც, მიწიერ განსაცდელს რომ ვერ უძლებენ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. ამ საშინელი აქტი ისინი უარს აცხადებენ იმ მიზნის განხორციელებაზე, რისთვისაც ამ ქვეყნად მოვივლინენ, უარს ეუბნებიან უფალს თავისი ვალის აღსრულებაზე. თვითმკვლელობისათვის ლოცვაც არ შეიძლება, არც პანაშვილის გადახდა და წესის აკება.

იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და მუდამ გახსოვდეთ: ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება; მასზე ძვირფასი არა არის რა კაცისათვის. იგი განსაზღვრავს ჩვენი მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ამიტომაც ბრძანებს მარკოზ მახარებელი: „რაჲ სარგებელ

არს კაცისა, უკუეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იხლვიოს“ (მარკ. 8,36). ჭეშმარიტად, მთელი ქვეყნის სიმდიდრეც არ არის ერთი სულის ფასი.

ცხოვრებას სურს გაგთელოს; მისთვის სულერთია, დიდი ხარ შენ თუ პატარა, მეცნიერი თუ უბრალო მუშა, მაგრამ გახსოვდეს, შენს გვერდით უხილავად მუდამ დგას უფალი, გამხნეებს და გეუბნება: „მე ვარ ღმერთი შენი, მპყრობელი მარჯუნიისა შენისა, რომელმან გარქუ შენ: ნუ გეშინინ, რამეთუ შეგეწიო შენ“ (ესაია 41,13).

მთავარია, ვიცოდეთ, ვართ თუ არა მზად ღმერთთან შესახვედრად, ღია არის ჩვენი გული იესო ქრისტესათვის, შეგვიძლია წარმოვთქვათ მეფე დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „უფალმან მშწყსოს მე და მე არაა მაკლდეს. აღვიღსა მწუხანვილსა, მუნ დამამკვდრა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამოშარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდიდაოჲ შორის აწრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ, კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან — ამათ ნუგეშინის-მცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლამ წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან (ფს. 22,1-5).

ძალიან ხშირად მწუხარების გზით მივდივართ უფალთან; ამიტომაც ამბობს ანტონი დიდი: შეიყვარე განსაცდელი, რათა შეიძინო ღმერთი. ქრისტესთან ყოფნა, ცხოვრება მასში სიცოცხლის აზრის მიგნებას ნიშნავს. სიცოცხლის აზრი — თავგანწირული სიყვარულია.

ხშირად გვიჭირს, ვიტანჯებით უსამართლობით, ძალადობით, გაუტანლობით. განა ცოტაა შემთხვევა, როცა ჩვენც ვცრუობთ, თვალეში ვუყურებთ მოსაუბრეს და მაინც ვატყუებთ; ვატყუებთ მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობთ, მსმენელს არ სჯერა ჩვენი... ცული ზნე დაგვჩემდა. ჩვენი მამა-პაპანი, ალბათ, არ იყვნენ ჩვენსავით განათლებულნი, მაგრამ მათ ჰქონდათ უბრალოება და სიწმიდე. მათი სიმარტივე ანათებდა, იზიდავდა და ათბობდა სხვათაც; ერთმანეთსაც კარგად უგებდნენ და ყურის დაგდებაც შეეძლოთ, შეეძლოთ სმენა თვით სიჩუმისა.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი სურთოზულ საფრთხესაც ქმნიან დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობისათვის. გამაღებელი შეიარაღება შთანთქავს აურაცხელ თანხებს, რისი გამოყენებაც ცხოვრების ნორმალური პირობების შენარჩუნებისათვის გაცილებით საჭირო და აუცილებელი იქნებოდა.

ძალები სიკვდილისა ძლიერია, ხოლო სიცოცხლისა და სიყვარულისა — უძლიერესი. ბოროტების სიმტკიცე მოჩვენებითია, უძლურია სიკეთის წინაშე.

ეკლესიაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. იგი ხომ სულიერ ღირებულებათა მცველია და მოწოდებულია ადამიანის უფალთან შეხვედრის მომზადებისთვის; „მშუდობასა შეუდევით ყოველთა თანა და სიწმიდესა, რომლისა თვნიერ ვერავინ იხილოს უფალი“ (ებრაელთა 12,14), — გვარიგებს პავლე მოციქული.

ძმანო და დანო ჩემო, ზემიწიერი სიხარულით აღვსილი ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომის დიად დღესასწაულს.

დაე, ღვთაებრივი სიყვარულის უშრეტი წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სიყვარული, იმედი და, აქედან გამომდინარე, სიხარული და მშვიდობა. უფალი გვაფრთხილებს: „უსამართლოა იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, და შეგინებული შეიგინებოდენ ჯერეთ, და მართალი სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, და წმიდაა იგი წმიდა იქმნებოდენ ჯერეთ. და აჰა ესერა მოვალ აღრე და სასყიდელი ჩემი ჩემთანა მიგებად თითოეულსა, ვითარცა საქმე მისი იყოს“ (გამოცხ. 22,11-12). „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილადმდე და მოგცე შენ ვერგვნი იგი ცხოვრებისა. რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ,... რომელმან სძლოს, არაა ევენოს მას სიკუდილისა მისგან მეორისა“ (გამოცხ. 2,10-11).

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ მეორე სიკვდილისაგან.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ლ ს დ გ ა ქ რ ი ს ტ ე !

წერილები, ღვაწლები, ეპისტოლენი

პარიზი

მის მაღალღირსებას, ღვანოზ ილია მელიას, პართველთა სათვისტოზოთა თავმჯდომარეს, პატონ თამაზ ნახშიდაშვილს

„მაღლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი სულისა თქუენისა თანა, ამინ“ /ფილიპელთა 4,23/.

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო, უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო! განსაკუთრებული გრძნობით გილოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს და ბედნიერ ახალ წელს. გისურვებთ, ღვთის სიტყვა — მაცხოვარი იშვას თქვენს გულში, რომ მუდამ იყოს იგი თქვენთან, განუშორებლად და მარად გესმოდეთ მისი სანატრელი ხმა: „არა დაგიტეო შენ, ნუ გეშინინ, რამეთუ შენ თანა ვარ, ნუ შესცდები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან განგაძლიერე შენ, და შეგეწიე შენ, და მოგიკრძალებ შენ მარჯუენითა მართლითა ჩემითა“ /ესაია X 1,10/

გწამდეთ, რომ მარადჟამს გვახსოვხართ და ვლოცულობთ თქვენთვის; იხარეთ ორსავე სოფელსა შინა. ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით ილია II, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

სტამბოლი


პატონ კავლე და სვიმონ ზახაძეებს და მართული კათოლიკური კლესიის მრევლს

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო!

სულიერი სიხარულით გილოცავთ ქრისტეს შობის დიად დღესასწაულს და ახალ წელს. „სიტყვა განკაცნა, რათა ჩვენ ღმერთ ვიქმნეთ“ — წერს ათანასე დიდი. ეს საიდუმლო იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ჩვენს მიერ მისი ახსნა. იგია სასწაული, რომელიც აღემატება ადამიანის გონებას. „უფალმან ინება და შესძლო, მოვიდა და გვაცხოვნა! ღვთის ნებამ არ იცის, რა არის წინააღმდეგობა“, — ბრძანებს წმ. იოანე ოქროპირი.

დაე, ყოვლისშემძლე ღმერთმა დაიცვას და დაიფაროს საქართველო და ქართველი ერი. განსაკუთრებული სიყვარულით ვლოცულობთ თქვენთვის, უცხოეთში მცხოვრებნო ივერნო იყოლდეთ, რომ ჩვენი განუყრელი ნაწილნი ხართ, თქვენი ტკოვილი გვტკივთ და სიხარული თქვენი გვახარებს. „აღორძინდებოდეთ მაღლითა და მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა“ /2. პეტრე 3,18/, რათა გაქენდეთ ცხოვრება საუკუნო.

სიყვარულით ილია II სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



მცხეთა. ჯვრის მონასტერი. VI ს.

აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე
სამკვიდრებელი შენი. ძლევამ ჯუარითა
ბარბაროზთა ზედა ღვთივ დაცულსა ერსა
ჩუენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა
დაიცევ!..



ნ ა შ რ ო მ ი გ ა ნ ძ ა დ დ ა შ თ ე ბ ი ს

ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი

14 იანვარი ყოვლად — სადიდებელი დღეა ყოველი ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებლის, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოსი. ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილადხვდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ღოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდმო შთაგონებული წმიდა ქალწული, გადმოლაბა თავისის უძღურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა აქ, „სადაც ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“, პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი პატიოსანი.


საქართველოს ერმა გადიხსნა გული, შიგ განიბნინა იგი ჯვარი პატიოსანი ჯვარცმულის ღმერთისა და თითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ, ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, იღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზე ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟბაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმირიტებისამ“ წმიდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელ ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმიდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა. იგი აღიარა ღმერთად და ამას აუნთო გული თვისი წმიდა სანთლად, რომელიც დღეს — აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის ეწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული. ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავპირდასისხლიანებულმა, ჩვენს ღრომდე შეუშწიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა, ჩვენ, შვილებს გადმოგვცა, ეხლა თქვენ იცითო.

ტროპარი: სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმინდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად. სულთა ჩუენთათჳს.

კონდაკი: მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღვთისა განსწავლული, გახარებული ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, ღვთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ ღღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა, მეოხი მსურვალე, მცველი დაუძინებელი.



ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალ-მარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამოპრჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის, მშვიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შევლისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყენარებისათვის — ნუთუ, ყოველივე ეს, იგივე თვალმარგალიტები და უფრო უკეთესნიც არ არიან?

დიდი წამება დიდ-ბუნებოვანობის ნიშანია; როგორც დიდი ძლევამოსილობა. დიდი წამება იგივე დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჰხვდება ხოლმე დიდ-ბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თითონაც სტკება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული — კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიძიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მართო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მართო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმიდანებად და თაყვანსა სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წანაპართაგან, ამ მშვენიერებითა მშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვინმეს სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპს ეთქმის და მადლობელნი შვილნი ღმობიერებით

პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებათავის სხვა უკეთესს დღეს ვერ ამოირჩევს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის განმანათლებლის სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა წმიდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს. შეუერთა მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწინენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნების ხმადაც იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.


ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, — გაქართველდით. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღლეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას გაქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნობა რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმიდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს. “თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, რით გაიმავრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი — მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოგდოთ. აი, რამ მოაგერიებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს. რჯული მამულსა და ეროვნობასა და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწმიდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი დვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარი შეილნი მეფეთა ოჯახისანი და ძენი ცი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუ კი ეღირსებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა დვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა.

ამ სახით, წმიდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხოვნებად, თავისი ძლევა მოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს,

უნათლისმცემლე ცხოვართა
 განბნულთა, ვითარცა
 მწყემსმან კეთილმან,
 შვერიბე ქართველნი და
 მიჰგვარე ღმერთსა
 მართალსა დედაო, წმიდაო
 ნ ი ნ ო!
 ვვეღრა შეილთა
 შენთათვის ქრისტესა
 ღმერთსა



ჩვენს ეროვნობას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალღონით გამოჰხარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და აი, ათას ხუთასი წელიწადია, ამ ძალღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავის-თავადაც დიდი ღვაწლია და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობამ გაგვადვილა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკვცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკვცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვლო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმიდა ნინომ. აი, რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადღესასწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა — სწორს ქაღწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

კურთხეულ ხან შენ დედათა შორის! დიდება შენდა დიდება!...

ქართული ეკლესია



თბილისი. გამარჯვების პარკი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ქართველი სამღვდელთა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ეპისტოლე



უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად

საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქ

ილია II

და წმიდა სინოდისა

საქართველოს ღვთისმეტყველებულ შვილებს,

1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების

40 წლისთავის გამო

ძნელ და ასულნო საქართველოს
გართლადიღებელი კელესისა

კრისტა აღსდგა!

დღეს, როცა ცა და დედამიწა უდიდესი სიხარულით უგალობენ მკვდრებით აღდგომილ მაცხოვარს, ბოროტ ძალებზე მის გამარჯვებას, როცა სამყარო ზეიმობს სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევისა და დათრგუნვას, ჩვენი ქვეყანა დიდი ზეიმით აღნიშნავს ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

მშვიდობა — რა ძვირფასია ეს სიტყვა ყოველი ადამიანისათვის. განსაკუთრებით ძვირფასია იგი ქართველი ერისათვის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში სისხლისა და თავის განწირვის საფასურად უხდებოდა ბრძოლა სიცოცხლისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. პირველი სიტყვა, პირველი სასიხარულო უწყება, რითაც მიმართა ქრისტე მაცხოვარმა კაცობრიობას, იყო „მშვიდობა თქვენდა“. მშვიდობისა და სიყვარულისაკენ მოუწოდა უფალმა მისკენ მიმავალ ჩვენს ერსაც. ამიტომ იყო, რომ მორწმუნე ქართველისათვის ოდითგან წმიდათა-წმიდა მოვალეობას შეადგენდა სამ-

შობლო მიწისა და დედა ეკლესიის დაცვა.

ჩვენში ერის წყლული ყოველთვის იყო ეკლესიის წყლული, ერის სიხარული — ეკლესიის სიხარული.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველი ერისა აღსავსეა უამრავი ტრაგიზმით. მშვიდობიანი გზით ერის განვითარებას ყოველთვის ეღობებოდნენ წინ ბოროტნი ძალები. ჩვენი პატარა ქვეყანა თავიდანვე აღმოჩნდა მტრულ გარემოცვაში. ან კი, როგორ გაუმკლავდა უამრავ მტერს ეს ერთი მუჭა, სულით მღიერი ხალხი? ათ მომხდურს უხვდებოდა ერთი ქართველი. უთანასწორო ბრძოლებში სისხლისაგან იცლებოდა ქვეყანა და მაინც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ასე შემოგვინახეს ღვთისაგან მოცემული მიწა-წყალი, სჯული ქრისტესი და მშობლიური ენა ქართული. ვერ ასწრებდა ჩვენი ერი მტრის მოგერიებას ერთი მხრივ, რომ ქვეყნის მეორე მხარეს უკვე იყო მომდგარი ახალი დამპყრობელი. საქართველოს ეკლესიის სამრეკლოზე მშობლიური მიწის დასაცავად ისევ

და ისევ ირეკებოდა საგანგაშო ზარები. მოხუცი თუ ახალგაზრდა; ერი თუ ბერი ისხამდა იარაღს და ერთიანი ძალით გამოდიოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუხანათი მტერი ხშირად ცდილობდა მათ გადაბირებას, ჰპირდებოდა ქვეყნიურ დიდებასა და პატივს, მაგრამ საშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ხალხს ვერ იყოლიებდა ვერც მოფერებითა და ვერც მუქარით. საშობლო მიწისა და სარწმუნოების დალატს იგი აძულებინებდა გმირულ სიკვდილს, რის ნათელ მაგალითადაც გამოგვადგება მოწამებრივი ღვაწლი არგვეთის დიდი მთავრებისა-დავითისა და კონსტანტინესი, რომელნიც მურვან ყრუს მიერ ეწამნენ შობელი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის და ამით უკვდავყვეს თავიანთი სახელები. ასეთი მაგალითი უამრავია საქართველოს ისტორიაში.

ჩვენი ერის წინაშე არაერთგზის დასმულა მწვავე არჩევანი. ასე იყო 1121 წელსაც, როცა საქართველოს მტრის 600 ათასიანი ლაშქარი მოადგა, რომელსაც სურდა საშუალოდ აღმოეფხვრა ქართველთა სახსენებელი. უკანდახვეა ნიშნავდა მოსპობას ერისას. ერთიდა რჩებოდათ: ან გამარჯვება, ანდა ბრძოლის ველზე სახელოვანი სიკვდილი. ასეთი რწმენით შეება ურიცხვ მტერს ქართველთა 5ნ ათასიანი ლაშქარი და რამდენიმე საათიანი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მეფე დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით მოპოვებული იქნა დიდი გამარჯვება. მემატიანემ ამ საარაკო ომს უწოდა „ძ ღ ე ვ ა ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი“. ეს იყო სახელოვანი დიდგორის ომი.

მას შემდეგ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დახვედრია მოძალადე მტერს ჩვენი ხალხი; რამდენი მართალი, სამშობლოს ერთგული დამცველის სისხლით მორწყულა ჩვენი კურთხეული მიწა-წყალი. მტერთან ყოველი შერკინება იყო თავისებური გამოცდა ერისა. ამ ბრძოლებში იწრთობოდა და ყაღაბდებოდა ერთიანი ქართული სული.

ერთ-ერთი მეტად საპასუხისმგებლო გამოცდა იყო ჩვენი ხალხისათვის ბრძოლა დიდ სამამულო ომში.

ქართველ ერს აძუებდაც არ უღალატინა მამა-პაპათა ანდერძისათვის. და ქულზე კაცი გამოიყვანა. 700 ათასი ქართველი, რომელთა შორის 16 ათასი მანდილოსანი იყო, ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

დიდ სამამულო ომში მთელი სიცხადით გამოვლინდა მხურვალე პატრიოტიზმი სამღვდელთებისა და მორწმუნე ერის. ქართულმა ეკლესიამ, როგორც ყოველთვის, საკუთარ ტკივილად მიიღო ტკივილი ქვეყნისა და ხალხის. ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე 24 ივნისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ სპეციალური ეპისტოლეით მიმართა სამღვდელთებსა და მრევლს და ამცნო ყველას ჯამი განსაცდელისა. პატრიარქი თავის მოწოდებაში ახსენებდა იმ საშინელებებს, რაც მოჰყვებოდა გერმანელთა ჩვენს მიწა-წყალზე შემოსევას. „გვახსოვდეს, — წერდა უწმიდესი კალისტრატე, — რომ ყოველნი, „რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“ /მთ. 26,52/... ამ იმედით მტკიცედ ვდგეთ თავისუფლებასა მას, რომლითა ქრისტემან განგუაზნაურა ჩუენ. და მტკიცედ დევით და ნუ კუაღლად უდელსა მას მონებისასა თავს იღებთ /გალ. 5,1/. აღვიჭურჭით შეურყეველი რწმენით, რათა ამატყავანთა

შემშუსრელება დმერთმა /იაკ. 4,6/ მოჰსცეს მხედრობას ჩვენსა ძალა, რათა წარდევნოს ჩვენგან ყოველნი მტერნი და მბრძოლნი, და თავდამსხმელთა ზარდასაცემად წარვთქვათ ხმითა დიდითა ჩვენთან არს დმერთი, ცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს დმერთი“

1942 წლის 5 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლისადმი გაგზავნილ დეპეშაში შესთხოვდა უფალს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას, ვერაგი მტრის შემუსრვასა და ქვეყნის საზღვრებიდან მათ განდევნას /გაზ. „კომუნისტი“; 1942 წ. 10 ნოემბერი/. უწმიდეს კალისტრატეს მიბაძვით მსგავსი წერილები და მოწოდებანი გამოაქვეყნეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეკლესიებისა და რელიგიურ გაერთიანებათა მეთაურებმა.

ქვეყნისათვის მეტად მძიმე წუთებში, როცა მტერი მოიწვედა წინ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის სულიერ გამხსნელებასა და გამტკიცებას ურყევი გამარჯვების რწმენით, რასაც დიდი მონდომებით და სიყვარულით ასრულებდნენ ქართველი მღვდელმთავარნი, მღვდელნი, რიგითი მორწმუნენი. ქართველ სამღვდელთებს შეურყეველად სწამდა სიბრძნე სახარებისეული, რომ უსამართლოდ მახვილის აღმმართველი თვითონ შეიმუსრებოდნენ მახვილით /მთ. 26,52/.

საერთო, საყოველთაო მოწოდება — „ყველაფერი ფონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“, იქცა ურყევი კანონად ყოველი ქართველი მართლმადიდებელი მორწმუნისათვის. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, შიმშილისა და მწუხარებისა, ქართულმა ეკლესიამ სისწრაფით დაიწყო თავდაცვის ფონდის შეგროვება, რითაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მტრის დამარცხების საქმეში. ამ შეწირულებათა უმთავრესი მიზანი, როგორც აღნიშნავდა უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე, იყო სულიერი აკვირის დამყარება ომში წასულთა და შინ დარჩენილთა შორის, რათა პირველნი დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი დავიწყებულნი არ არიან, ხოლო სამღვდელთებსა და მრევლს ეგრძნო, რომ მათი მცირედი შესაწირი ხმარდება გამარჯვების საქმეს.

ფონტისადმი დახმარებისათვის ქართულმა ეკლესიამ უმაღლესი მთავარსარდლისაგან მიიღო მრავალი საპატიო დეპეშა. ერთ-ერთის შინაარსი ასეთია:

„ქ. თბილისი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს. მადლობას გწირავთ საქართველოს საკათალიკოსოს, მორწმუნეებსა და სამღვდელთებს წითელ არმიასზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩვენი სალაბო და წითელი არმიის მადლობა. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი“.

1944 წლის 16 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში კვლავ მადლობაა გამოთქმული, რომ საქართველოს საპატრიარქომ საშობლოს გმირი დამცველებისათვის ძღვნად გაგზავნა 150 ათასი და თავდაცვით ფონდში ჩარიცხა 85 ათასი მანეთი. საერთოდ, ქართულმა ეკლესიამ თავდაცვის ფონდში დიდი შეწირულებანი შეიტანა.

მშვიდობის საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ქართული ეკლესიისა, ბუნებრივია, გამოძვინარეობდა თვით ქართველი ერის სულიდან. ქართველმა ერმა მეტად

მტკიცებულად განიცადა უკანასკნელი ომის საშინელება. ფრონტზე გაწვეული 700 ათასი მეომრიდან, რაც შეადგენდა მთელი მოსახლეობის მეხუთედს, ნახევარზე მეტი გმირულად დაეცა. ეს იყო შემადრწუნებელი მსხვერპლი პატარა რესპუბლიკისათვის, რომლის მოსახლეობაც სამ მილიონს ოდნავ აღემატებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორია იყო დაუსრულებელი ომების სარბიელი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ მუღს ქართველ კაცს ომი, რბევა და განადგურება. ამაზე მიუთითებს სისხლითა და ცეცხლით ნაწერი საქართველოს ისტორია და ქართული მისალმებაც: „გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა“ და „მ შ ვ ი დ ო ბ ა“. ვერავინ იტყვის, რომ საქართველომ არ იცის სიცოცხლისა და მშვიდობის ფასი, არ იცის სამშობლოსათვის ბრძოლა და მსხვერპლის მიტანა, წინაპართა ღვაწლის დაფასება და მოხსენიება. დღესაც, ღრმა მწუხარებითა და სიყვარულით გვინდა მოვიხსენიოთ დიდ სამამულო ომში მომწეღარი 20 მილიონი საბჭოთა მოქალაქე და მათ შორის 300 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე.

საკუთრად იყოს ხსენება მამულისათვის თავდადებულთა: ნათელში დაამკვიდროს უკვდავი სულნი მათნი უფალმა ღმერთმა!

დღეს, როცა ვიგონებთ იმ ქარცეცხლიან დღეებს, კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ რა ძვირი დაუჯდა ჩვენს ერს ამ ომში გამარჯვება. მშვიდობიანი ოთხი ათეული წელი, სამჭოთა ხალხმა ვეროპის ხალხებთან ერთად რომ განვლო, ჭეშმარიტად დიდი წყალობაა ღვთისა. დღეს განსაკუთრებით მშვიდობა საჭიროებს გაფრთხილებას.

მშვიდობისათვის ბრძოლა რჩება მნიშვნელოვან ამოცანად, განუყოფელ ნაწილად ჩვენი ეკლესიური მოღვაწეობისა.

მაგრამ გარეგან მშვიდობაზე მსჯელობისას ხშირად გვავიწყდება, რომ იგი წარმოადგენს შინაგანი, სულიერი მშვიდობის ნაწილს. სულის მშვიდობა კი მიიღწევა ღმერთთან სიახლოვით, ღვთის მცნებათა მიღებით და ცხოვრებაში გატარებით. აკი ბრძანებს ამაზე მაცხოვარი: „აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და პოვოთ განსვენებაა სულთა თქუნთაჲ“ /მთ. 11,29/. ასე, რომ უშფოთველობა, ცხოვრება სისხლის ღვრისა და ომების გარეშე, შესაძლებელია, თუ ჩვენ შევძლებთ თვითულ ადამიანში შინაგანი, ქრისტესმიერი მშვიდობის დამკვიდრებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, როცა „დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად და ლახვრებსა მათსა ნამგლად: და არა აღიდოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი, და არდა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა“ /ესაია 11,4/.

ამ უმნიშვნელოვანეს დღეს ერთხელ კიდევ გულოცავთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულ სამწყვსოს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს და ვუსურვებთ მშვიდობიან ცხოვრებასა და ბედნიერ მომავალს. მკვდრებით აღდგომილმა მაცხოვარმა დაიფაროს თავისი ცხოველყოფელი მადლით ჩვენი კურთხეული ქვეყანა.

„მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თქვენ ყოველთა თანა. ამინ“ /1 რომ. 16.24/.

წმიდა სინოდის თავმჯდომარე ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

წმიდა სინოდის წევრები

- ბრიბოლი, მიტროპოლიტი ალავერდელი**
- ღაპიში, მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა**
- კონსტანტინე, მიტროპოლიტი ბათუმ-შემოქმედელი**
- თაღმონი, მთავარეპისკოპოსი მანგლელი**
- აბაზანა, მთავარეპისკოპოსი ბოდბელი**

ანანი, ეპისკოპოსი ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთისა

ამბროსი, ეპისკოპოსი ნიკორწმიდელი

მრისტეფორე, ეპისკოპოსი მარგველი

პახტანბი, ეპისკოპოსი ჭყონდიდელი

ზოსიმე, ეპისკოპოსი წილკნელი

კალისტრატე, ეპისკოპოსი ქუთათელ-გაენათელი



სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო კონგრესის
მოსამზადებელი სხდომა მოსკოვში

19 მარტს /2 IV/ მოსკოვში, წმ. დანიელის მონასტერში ჩატარდა VI სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო კონგრესის /ქ.ს.კ./ მოსამზადებელი სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს მიტროპოლიტმა დავითმა /ჭკადუა/ და საქართველოს საპატრიარქოს თარჯიმანმა დ.ველიაშვილმა.

სხდომა გახსნა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტმა ფილარეტმა. ჩატარდა ლოცვა.

სიტყვით გამოვიდა ქ.ს.კ.-ს პრეზიდენტი დრ. კაროლი ტოთი. იგი სემინარის მონაწილეებს მიესალმა ქ.ს.კ.-სა და პირადად თავისი სახელით. ილაპარაკა VI სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო კონგრესის მოსამზადებელ საკითხებზე. აღნიშნა, რომ ზუსტად სამი თვის შემდეგ გაიხსნება ქ.ს.კ.-ს სამშვიდობო კონგრესი, რომლის მთავარი თემა: — ღმერთი მოგვიწოდებს მშვიდობისაკენ. კონგრესის ძირითადი მიზანია, ერთსულოვანი მუშაობა ატომური ომის საშიშროების თავიდან ასაცილებლად. დღის წესრიგშია სამი მთავარი საკითხი:

შეფასება ქ.ს.კ.-ს მუშაობისა უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში.

დღევანდელ მსოფლიოში არსებული სიტუაციის სრული პოლიტიკური ანალიზი. დამატებით განიხილება ეკუმენური და რელიგიური საკითხები.

ღირეკტივები, მომავალი მუშაობის განსაზღვრებლად, გასაგრძელებლად.

და ბოლოს, — აღნიშნა მომხსენებელმა — მშვიდობის მიღწევისათვის აუცილებელია სამი პირობა: ინფორმაცია, მობილიზაცია და ურთიერთანაშრომლობა. მან მოკლედ ისაუბრა ქ.ს.კ.-ს მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნა, რომ ეს არის მუდმივად მოქმედი ორგანიზაცია, რომლის არსი არის ეკუმენიზმი. ქ.ს.კ. ჩამოყალიბდა ქ. პრალაში, 1928 წელს. ამ ორგანიზაციის გააჩნია საკმაო ხნის ტრადიციები.

ქ.ს.კ.-ს VI სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო კონგრესის ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლის პროცესის გაძლიერება. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გაიზარდა ომის საშიშროება. რამდენადაც ეს პროცესი სავსე იყო წინააღმდეგობებით, ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან რამდენადმე გაართულდა. სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ჩანს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხს კონგრესი უფრო ღრმა ასპექტით განიხილავს.

კონგრესმა უნდა გააანალიზოს შექმნილი სიტუაცია. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: რელიგიის ჩარევა პოლიტიკურ სიტუაციებში აუცილებელი და უსათუოდ მნიშვნელოვანია. ნათელი უნდა მოეფინოს პოლიტიკურ და რელიგიურ ურთიერთობებს, მათ ურთიერთ-

კავშირს. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია ქ.ს.კ.-ს მუშაობაში, მშვიდობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მშვიდობა ხვალ, ან ზეგ დამკვიდრდება; ეს გრძელი პროცესია, რომელიც მოითხოვს გამუდმებულ და მოუღლე მუშაობას.

ქ.ს.კ.-ს კონგრესზე განხილული იქნება სამი საკითხი: აბსოლუტური „არა“ გამალებულ შეიარაღებას, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქრისტიანულმა ორგანიზაციებმა.

დაშინების პოლიტიკის მხილება. აქვე განხილული იქნება ურთიერთგაგების პოლიტიკაც.

მხილება არმაგედონური თეორიისა, — თითქოს ატომური ომი არის ღმერთის სურვილი, უფლის უკანასკნელი სასამართლო, ეს ომი უფლის ნებაა და მას წინ ვერაფერს აღუდგება.

ასევე, კონგრესზე განხილული იქნება მოვალეობისა და დიფერენციაციის საკითხები. შეიქმნება ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ შექმნის ეთიკურ-სადღესთმეტყველო ნიადაგს, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდება ნაყოფიერი მუშაობა.

სასულიერო აკადემიის პროფ. ა.ოსიპოვის შევითხვაზე, რა ადგილი ექნება თავისუფლების საკითხს ქ.ს.კ.-ს კონგრესზე, პრეზიდენტმა განაცხადა: „კონგრესზე ჩვენ განვიხილავთ საკითხს, თუ რას უქადის ბირთვული ომი“ თავისუფლებას. ფაქტია, რომ თავისუფლება — სამართლიანობა ერთმანეთთან დაკავშირებულია ღვთისაგან. არ შეიძლება ხალხთა შორის არსებობდეს მშვიდობა ღმერთის მიერ დამკვიდრებული სამართლიანობის გარეშე. უნდა განვიხილოთ /და ამისთვის გამოყოფილი იქნება გარკვეული ჯგუფი/ — სამართლიანობის, მშვიდობისა და თავისუფლების ურთიერთკავშირის სიმტკიცე“.

სიტყვებით გამოვიდნენ: კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი ფილარეტი /მან ილაპარაკა ქ.ს.კ.-ს კონგრესის მთავარი თემის მნიშვნელობაზე. აღნიშნა ქრისტიანების აქტიური მოქმედების აუცილებლობა სიკვდილის ძალების წინააღმდეგ/, „სოლუნენოვოსკელი“ ეპისკოპოსი სერგი /რომელმაც გააჩნია მდგომარეობა ევროპის რელიგიურ ჯგუფებში/. კონგრესზე იმუშავებს ხუთი ჯგუფი. კონკრეტული თემებია:

„აკობრიობის გლობალური საფრთხე: მშვიდობის გლობალური სტრატეგია“.

ქრისტიანული ეკლესიები და მათი მიმართვა. მშვიდობიანი ძალების საერთო პასუხისმგებლობა წინააღმდეგობების დასაძლევად.

მშვიდობიანი თანაარსებობა და გათავისუფლება. ქ.ს.კ.-ს მომავალი მუშაობის გეგმები.

დ.ველიაშვილი

იქცისკოპოსო

პეტრე ქართველი საეკლესიო სადღესასწაულო პრაქტიკაში

ეპისკოპოსი **ამბროსი** /ქათამაძე/



ნეტარსა და წმიდასა მღუდელთმოდღარსა პეტრეს, თავ ყოველთა სათნოებათა, მოგო ლოცვაჲ და წიგნის კითხვაჲ, რამეთუ ყოვლადვე და მარადის იკითხავნ წიგნთა საღმრთოთა და იტყუნ წმიდა იგი, ვითარმედ: „ვითარცა მტოლი მზუარისაჲ ურწყუვი განგების და უნაყოფო იქმნის, კერძოვე გონება მონოზონისა უნაყოფო არს თუნიერ წიგნის კითხუსა და სმენისა სწავლათა სულიერთა“

/წმ. პეტრე იბერის ცხოვრებიდან/

მსოფლიოში სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწის — პეტრე ქართველის ანუ იბერის პიროვნება, მისი ცხოვრება და რელიგიური აღმაფრენა — ასკეტიზმი, მისი მამულიშვილური მრწამსი ქრისტიანთათვის ერთობ შთაბეჭდველი და სულისმარგებელია. თითქმის ხუთმეტი საუკუნეა, მის სახეს აცისკროვნებს ნათელი, და უცხებლად რომ ელვარებს ჩვენდა სასიკეთოდ, ვითარცა მომღვარი და მასწავლებელი, მაგალითი რწმენისა და სათნოების მიერ ადამიანის ამაღლებისა, უხუნაესთან ზიარებისა. ამიტომაც გვმართებს, პეტრის ყურადღებით გავეცნოთ მის მოქალაქობას, რომელმაც დღეს-დღეობით დააფიქრა, დააინტერესა ყველა, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა და ეროვნებისა.

პეტრე ქართველი სადმი ძღვნილი ერთ-ერთი სვინაქსარული საკითხავი გვაძინობს:

„თუესა დეკენებურსა გ/3/
წმიდისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა

ესე იყო ჰეა ქართველთა მეფისა ვარაზ-ბაკურისა. იშვა ანგელოზისა ხარებითა, ვითარცა სამოელ და იერემია, და საშოთგანვე წმიდა იყო.

და წარავლინა მამამან მისმან იბ/12/-ისა წლისა მძევლად ქალაქად კონსტანტინეპოლედ ბერძენთა მეფისა თოდოსი მცირისა თანა. და ვითარცა მიიწია, აღიყვანა სამეუფოდ პალატად, ვითარცა ღმრთოვმონიჭებული ძე თჳსნი.

და ისწავა ენა ბერძნული და ყოველივე სწავლულება საე-

ლესიოა.

წარვიდა იერუსალიმად საფლავსა უფლისასა და მუნ აღ-
კუცციდი იქმნა მონოზონებად.

რამეთუ პირველ ეწოდა მურვანოს და მათ უწოდეს პეტრე და
ისწავა ენა და სწავლა ასურებრივი.

რამეთუ იყო დიდი და წმიდა წინაშე ღმრთისა და მოღუაწე,
რომელ არავინ იყო შემძლებელ კეთილისმოქმედებისა ქებად
მისსა; გარნა გრიგოლი დიოლოლი, რომელსა აღუწერია ქებაა
მისი წიგნსა შინა თვისსა.

და იქმნა ჩუენებითა და ბრძანებითა ქრისტესითა ეპისკოპოს
მოაპმისა. და აღესრულა სამეოცდახუთი წლისა ჯამთა ზენონ
ბერძენთა მეფისა. ხოლო იქმნებოდა გუამისა და საფლავისა
მისისაგან კურნებანი და სასწაულნი მრავალნი.“

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში /იხ.
კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, §
მაკარი მღვდელი/. პეტრე ქართველის ბიოგრაფია მოკლედ ასეა
წარმოდგენილი: იგი, ერისკაცობაში — მურვანოზი, დაიბადა
412 წელს. როდესაც 12 წლისა შეიქმნა, თეოდოსი იმპერატორმა
კონსტანტინოპოლს გაიწვია მძველად, რათა ქართველები სპარ-
სელებს არ მიეკრობოდნენ. იქ, სასახლეში, მეფე-დედოფალი
ფრიადი პატივისცემით ეპყრობოდნენ ქართველ უფლისწულს,
მაგრამ მის სულსა და გონებას სიამენი ამა ქვეყნისანი არ ხიბ-
ლავდა. ამიტომაც ერთ ღამეს თავის თანამემამულე იოანე ლაზ-
თაძე ერთად გაიპარა იერუსალიმში, სადაც აღიკვეცა მონოზო-
ნად და კეთილი ნების აღამიანთა შემწეობით სამონასტრო მშე-
ნებლობას მიჰყო ხელი. V საუკუნის შუა წლებში ის აკურთხეს
მიუმის ანუ მაიუმის, იგივე ღაზის, ეპისკოპოსად. გარდაიცვალა
488 წელს.

სახელგანთქმული მღვდელმთავრისა და მოძღვრის ცხოვრე-
ბა მის მოწაფეებს დროულად აღუწერიათ. ზაქარია რიტორს V—
VI სს-ის მიჯნაზე შეუქმნია აგიოგრაფიული მოთხრობა „ცხოვ-
რება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძეა ქართველთა მეფისაა“.

როგორც ქართული საეკლესიო-ეორტალოგიური ანუ სად-
ღესასწაულო-კალენდარული წყაროები გვაძეცნობენ, პეტრე
ქართველი ანუ იბერი ჩუენი სამოციქულო ეკლესიის მიერ კ-
ნონიზირებულ იქმნა XII-XIII საუკუნეებში. აღიარება თუ
არა უფრო ადრე საყოველთაოდ ივერიის მართლმადიდებელი
ეკლესია მას, როგორც წმიდანს, ჯერაც დაუზუსტებელია, რად-
გან XI საუკუნემდელი ქართული ქრისტიანული კალენდარი
ნაკლებადაა შესწავლილი.

ვფიქრობთ, ტრადიცია წმ. პეტრე ქართველის ხსენებისა იმ
მონასტრებსა და ეკლესიებში მაინც იარსებებდა, რომლებიც
მის სახელთან იყვნენ დაკავშირებულნი — ე.ი. სირია-პალეს-
ტინის რიგ რელიგიურ ცენტრებში, კერძოდ, იმ მონასტრებში,
რომლებიც პეტრე ქართველმა ააშენა თავის თანამემამულეთათ-
ვის. ამ რელიგიურ-კულტურულ სავანეებში კი, რა თქმა უნდა,
პეტრე იბერს ფრიადი ავტორიტეტი ექნებოდა მოპოვებული. რა
მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, რა პრალდებაც არ უნდა წაეყენე-
ბინათ მისთვის, შეუძლებელია, მემკვიდრეთ /მეტადრე ქართ-
ველთ/, დაევიწყებინათ დიდი მოძღვრისა და ეპისკოპოსის სახე-
ლი. მართალია, ამბობენ, რომ ქართული მართლმადიდებელი
ეკლესიის მიერ XIII საუკუნემდე პეტრე ქართველის არაღიარე-
ბის მიზეზი ამ წმიდანის მონოფიზიტური მრწამსი იყო /სი-
რიული და ბიზანტიური ცნობების მიხედვით/, მაგრამ არა
გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენმა ერმა გარკვეულ პე-
რიოდში /V-XII ს./ მითიანად უგულებელყო სასიკაძლო მამ-
ულეშვილის დამსახურება. მეტიც, არ არსებობს არავითარი
დოკუმენტი და ისტორიული ცნობა, რომ იბერიელი პეტრე გა-
მოკვეთილ და თანამედვერულ, აქტიურ მონოფიზიტად მივიჩნი-
ოთ. პეტრე ეპისკოპოსის ერეტიკოსობა შესაძენვენი რომ ყოფი-

ლიყო, ცხადია, მას ანტიოქიის ეკლესიის მართლმადიდებელი
მესვეურები /ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ V სს-ის
70—80-იან წლებში ანტიოქიის საპატრიარქო დიოფიზიტების
ხელში იყო /ამავე ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კათედ-
რაზე მღვდელმთავრად არ გააჩერებდნენ, განდევნიდნენ და ისე
მოექცეოდნენ, როგორც აშკარა მონოფიზიტებს /მეტადრე, იე-
რარქებს/ მოექცნენ. ხოლო ეს ვითარება /ანუ პეტრე იბერის
კონფლიქტი დიოფიზიტებთან/ უსათუოდ აისახებოდა კიდევ
მის ცხოვრებაში. ვერც იმას დაგადასტურებთ, თითქოს საქართ-
ველოს სამოციქულო ეკლესია როდისმე ებრძოდა და სდევნიდა
მის სახელს: სამისო მასალა არ მოგვეპოვება.

ცნობილია, როდესაც ეკლესია სხვადასხვა მიზეზისა გამო
საყოველთაოდ არ აღიარებდა ამა თუ იმ წმიდანს, მაშინ ადგი-
ლობრივი ეკლესია წლითიწლად თვით მოიხსენიებდა მისგანვე
პატივდებულ მოღვაწეს.

მაგალითად აღვნიშნავთ ორ ფაქტს /იერუსალიმის ჯვრის
ქართული სავანისა და გარეჯის სამონასტრო კალენდრებიდან/
იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოღვაწენი: პროხორე
ქართველი /+1066/, ლუკა იერუსალიმელი /ქვაბა 1260—1277
წლებს შორის/ და ნიკოლოზ დვალა /+1314/ წმიდანად აღიარ-
ეს: მათი მოსახსენებელი საძმოს 12 თებერლისათვის დაუწე-
სება, ცხოვრებანი და სვინაქსარული საკითხავებიც შეუქმნია.
„ცხოვრებათა“ რედაქციებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ /ჯერ არ
მიუგვლევიათ/, ხოლო სვინაქსარული საკითხავები ერთადერ-
თი ხელნაწერთაა ცნობილი /გამოცემულია ს. ყუბანიევილის
მიერ: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, 1946;
აგრეთვე „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის
ძეგლები“, IV, 1968/, მაგრამ მათი სახელი არ დასტურდება არ-
ცერთ სხვა სამღვდელმსახურო კრებულში. ჩანს, საქართველოს
შემდგომდროინდელი ძნელბედობის გამო XX საუკუნემდე ვერ
მოხერხდა ღირს მამათა საყოველთაო გაცნობა და აღიარება
საქართველოს საპატრიარქოს მიერ.

აღანიშნავია გარეჯელ მოღვაწეთა: შიო ახლის, დავითის,
გაბრიელისა და პავლეს კანონიზაციის ფაქტიც. ისინი მოწა-
მებრივ აღესრულენ 1697—1700 წლებს შორის. მათ შესახებ
აგიოგრაფიულ-პიმნოგრაფიული მასალაც შეიქმნა იმდროინ-
დელი სასულიერო მწერლის მღვდელ ნიკოლოზ მაღალაშვილის
მიერ: „ცხოვრება და შესხმა ახლად მოწამედ გამოჩენილისა
შიოისა და ხუთთა მონოზონთა, რომელნი დახოცეს ღვთის გარე-
ჯას ლეკთა უღმრთოთა“ /გამოცემულია: „საქართველოს სამოთ-
ხე“, პეტერბურგი, 1882; „ძველი ქართული აგიოგრაფიული
ლიტერატურის ძეგლები“, IV, თბ., 1968; მ.კაეთარია, ძველი
ქართული პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 124—128/
მაგრამ ეს წამებულნი თავის დროს საქართველოს ეკლესიამ
წმიდანებად არ აღიარა. ისინი არ მოიხსენიებიან მე-18 საუკუ-
ნის არცერთ თვენ-სადღესასწაულოში. თუმცა, როგორც ხსენე-
ბული მწერლის თხზულება გვაძეცნობს, მათ მოწამებრივ აღ-
სასრულს ყოველწლიურად აღნიშნავდა ადგილობრივი ძმობა.
შიო ახლისა და მასთანვე წამებულთა მოსახსენებელი 1 ივ-
ლისს საქართველოს ეკლესიის მიერ ოფიციალურად ჩვენს საუ-
კუნეში იქნა დაწესებული.

პეტრე ქართველი, როგორც აღვნიშნეთ, ივერიის ეკლესიამ
საყოველთაოდ აღიარა XII-XIII საუკუნეებიდან. მკვლევართა
ვარაუდით, აღნიშნულ პერიოდში ამ წმიდანის მიმართ ჩუენი ეკ-
ლესიის ასეთი უფრადება განაპირობა XIII-XIV საუკუნეებში
უცხოელთაგან: /ბერძენთა, რომაელთა, სომეხთა და მუსლიმან-
თაგან/ წამოყენებულმა პრეტენზიებმა: პალესტინის ქართული
სავანეები ჩვენ გვეკუთვნისო. „პეტრე ქართველის ცხოვრება“
და სხვა ცნობები ამ წმიდანის შესახებ /სირიულსა და ბერძნულ
ენებზე V-VI საუკუნეებში შექმნილი/, უტყუარი საბუთი იყო
აღნიშნულ სიწმიდეთადმი ქართველთა უფლებების დასადას-

ტრუბლად. გარდა ამისა, უდავოა ისიც, რომ წმ. პეტრე იბერიის ამგვარი აღიარება შედეგი იყო ჩვენი ეკლესიის გაძლიერებისა და გაეროვნულებისა, რომელსაც IX-X საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო შემდგომ მატად აღზევდა. XII-XIII საუკუნეებიდან მოყოლებული საეკლესიო მოღვაწენი /ნიკოლოზ გულაბერიძე, იოანე ანჩელი, იოანე შავთელი, არსენ ბულბაძის-მისძე და სხვანი/ სრულყოფილად ეროვნულ კალენდარს, წარმოაჩენდნენ ახალ ფაქტებს ქართული ეკლესიის საქართაშორისო აღიარებისათვის.

წმ. პეტრე იბერიის ავტორიტეტი ქართული ეკლესიის დირსებას ერთხელ კიდევ ადასტურებდა. იგი ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში სახელმწიფოებრივი მოძღვარი იყო, რომლის განათლებასა და სულიერ ძალმოსილებას საყოველთაოდ აღიარებდნენ. მას „მეორე პავლე“, ახალ მოციქულადაც კი რაცდნენ, ხოლო წმ. პეტრეს მოძღვარსა და თანამსახურს — იოანე ლაზს /ანუ ვნუქს/, ვისაც სამდღიანი ღვთაებრივი გამოცხადება მიეძღვნა — დიდ ვიზიონერად /ნათელმზიველად/ იცნობდნენ. იოანე ლაზის მოსახსენებელი 4 დეკემბერს დააწესეს. ხოლო პეტრე ქართველი, რომელიც 488 წლის 2 /ზოგის მტკიცებით: 491 წლის 1 დეკემბერს/ აღესრულა, სირიულ, ბერძნულ, ქართულსა და სხვა ეკლესიებში მოიხსენიებოდა 2/ხშირად 3/ დეკემბერს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, პეტრე იბერიის ცხოვრება ქართულად აღმუშავებულია მე-13 საუკუნის მოღვაწეს მღვდელ მაკარი მესხს. მას სირიულიდან ქართულად უთარგმნია დიდი წმიდანის ერთ-ერთი ბიოგრაფის-ზაქარია ქართველის /რიტორის/ შემოხსენებული აგიოგრაფიული თხზულება.

დღეს ზოგი მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს: ზაქარია ქართველი საერთოდ არ არსებობდაო. „ცხოვრების“ ავტორად მისი სახელდება მაკარი მესხის /უფრო მაკარისეული „ცხოვრების“ რედაქტორის, პავლე დეკანოზის/ შეცდომააო. ამ სწავლულთა აზრით, ქართულად თარგმნილი „ცხოვრების“ ნამდვილი ავტორია პეტრე იბერიის ერთ-ერთი თანამოსაგრე და ბიოგრაფი იოანე რუფუსი, რომელსაც, თითქოს, ჯერ ბერძნულად უნდა დაეწერა პეტრე ქართველის ცხოვრება, რომელიც შემდეგ სირიულად უთარგმნიათ /კ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1977, გვ. 285—286/. ბევრი მკვლევარი არ იზიარებს ამ აზრს და ინარჩუნებს ტრადიციულ შეხედულებას ზაქარია ქართველის რეალურობისა და ავტორობის თაობაზე /ი. ლოლაშვილი, არეოპაგტიკის პრობლემები, 1972/.

„პეტრე ქართველის ცხოვრების“ მაკარი მესხისეული თარგმანი /გამოსცა ს. ყუბანეიშვილი: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, 1946, გვ. 256—272/ ფრიად პოპულარული გამხდარა საქართველოში. ამ თარგმანისათვის დეკანოზ პავლეს /მე-17 ს. / ახალი რედაქცია გაუკეთებია /ეს რედაქცია გამოაქვეყნა ნიკო მარამა 1896 წელს: Житие Петра Ивера, царевича подвижника и епископа Маюмского, «Православный Палестинский Сборник, т. XVII, вып. II, 1896; დაიბეჭდა, აგრეთვე, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1966/.

ამრიგად, XIII საუკუნის შემდეგ /შესაძლოა უფრო ადრეც/ წმ. პეტრე იბერი საქართველოს ეკლესიამ ეროვნული მასშტაბით აღიარა: მის სახელზე შეიქმნა სვინაქსარული საკითხავნი /გამოქვეყნებულია ე. გაბიაშვილის მიერ: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. IV, 1968, გვ. 378—85/ და საგალობლები /გამოაქვეყნა აკად. კ. კეკელიძემ: მისივე, ეტიუდები ძველი ქართული მწერლობიდან, VI, 1960, გვ. 244—350/.

ასე რომ, სვინაქსარ-ტიბიკონებსა, თვენ-სადღესასწაულოებსა და სხვა სამღვდელმსახურო კრებულებში პეტრე ქართველის ხსენება დადებულია 2/H—1672, 456—461, H—970, A—193/ ან 3/H—2228,60, H—342,130, /დეკემბერს. წმ. პეტრე ქართველს 2 დეკემბერს მოიხსენიებს, აგრეთვე, 1710 წელს თბილისში დაბეჭდილი „ჟამნი“.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მე-18 საუკუნის შუა წლებში თითქოს ეჭვქვეშ დაუყენებიათ პეტრე იბერიის მართლმადიდებლობა, თუმცა ეს არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება: ყველა ხელნაწერში, სადაც კი მოიხსენიება პეტრე ქართველი, კეთილმორწმუნე ქრისტიანად და მანათობელ ვარსკვლავად უხმობენ მას. მაგრამ ფაქტია, რომ ამ წმიდანს ვეღარ ვხვდებით 1720 წელს დაბეჭდილ „ჟამნი“-ში. არც ანტონ კათალიკოსს შეურაცხავს იგი წმიდანთა შორის „სადღესასწაულოს“ მისეულ რედაქციაში. მაგრამ ამ ფაქტის იმგვარად ახსნა, თითქოს საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ უგანათლებულეს საეკლესიო მოღვაწის წმიდანობაში და ამის ნიადაგზე დევნა გამოეცხადებინოს მისი სახელისათვის, ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება.

ასე რომ, პეტრე ქართველის წმიდანობას აღიარებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

საჭიროდ ვთვლით, დავსძინოთ: მას შემდეგ, რაც აკადემიკოსებმა: შალვა ნუცუბიძემ და ბელგელმა ერნესტ ჰონიგმანმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიმუშავეს თეორია პეტრე იბერიისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდენტობის თაობაზე, საყოველთაოდ გაცხოველდა ინტერესი ხსენებული ქართველი წმიდანის პიროვნებისადმი. აღნიშნულ თეორიას მომხრენი და მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, უკანასკნელთ იმდენივე არგუმენტები მოუპოვებთ მის გასაბათილებლად, რამდენიც პირველთ /მომხრეებს/ — დასამტკიცებლად. საკითხი თუმცა ჯერაც გადუჭრელია, **ფეიქრობი, გვმართებს მტერი ინტერესი ეროვნული წმიდანისადმი, რომელსაც მე-5 საუკუნიდანვე ეთავყვანებოდა მორწმუნე ვრი და რომლის პიროვნებაც დღეს-დღეობით მსოფლიო მეცნიერების დიდ ყურადღებას იმსახურებს.** მით უმეტეს: თუკი დადასტურდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიის იდენტურობა, ე.ი. რომ არეოპაგეტული კორპუსის ანუ საყოველთაოდ ცნობილი თეოლოგიური შრომების: „საიდუმლოდ ღვთისმეტყველებისათვის“, „სადმართო იერარქიისათვის“, „საეკლესიო მღვდელმთავრობისათვის“, „ხეცათა მღვდელმთავრობისათვის“ და 7 ეპისტოლეს ავტორი არის გვარტომობით ქართველი მღვდელმთავარი, მაშინ უ ეჭ ვ ე ლ ი გ ა ხ დ ე ბ ა პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ს ო რ თ ო ლ ო ქ ს უ ლ მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ რ ი რ წ მ ე ნ ა და ა ხ რ ო ვ ე ნ ე ბ ა, რადგან შემოხსენებული საღვთისმეტყველო ტრაქტატები, ე.წ. არეოპაგეტიკები, კათოლიკე ეკლესიის მიერ არასდროს ყოფილა მიხნეული ერეტიკულად. VI საუკუნიდანვე სამოციქულო ეკლესიამ „ეს მოძღვრება შეისისხლხორცა, შეითვისა, თავისად გამოაცხადა... დიონისეს წიგნებში არ არის არც ერთი პუნქტი, რომლის საფუძველი და საყრდენი სადმართო წერილში არ იყოს მოძებნილი და ნაჩვენები“ /კ. კეკელიძე, ეტიუდები..., IV, თბ., 1957, გვ. 38—39/.

ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვიჩინა პეტრე ქართველის საეკლესიო-სადიდებლად დაწერილი საგალობელი ანუ სრული აკოლოთია საცისკრო კანონითა და დასდებულ-ძღვისპირებით. ალბათ დადგა დრო, ჩვენმა ეკლესიამ კალენდარში კუთვნილი ადგილი მიუჩინოს წმიდა პეტრე იბერს.

ს ა მ კ ლ ე ს ი ო ც ხ მ ვ რ ე ბ ი ს ფ ო ტ ო მ ა ტ ი ა ნ ე მ




სიონის სამატრიარქო ტაძარი. ბზობა





30 მისი. ამაღლება უფლისა ზუნისა იესო ქრისტესი





ქალაგმებანი, სწავლანი

„იყვანიო თჷჷან სრულ, ვითარ- ცა მამად თჷჷანი ზეცათად სრულ არს“ /მათე 5,48/.

ეპისკოპოსი **ზოსიმე** /შოთშვილი/

ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო, ძმანო და დანო! გვინდა მოვირეოდინო სულის სასარგებლო დარიგებანი მივცეთ იმათ, რომელნიც საჭიროებენ ქრისტიანულ რწმენაში განმტკიცებას. განსაკუთრებით გვინდა ნუგეში ვცეთ ქრისტეს ახალ მიმდევართ, დიდი სიყვარულითა და მონდომებით რომ შეუდგნენ მაცხოვრის გზას, მაგრამ მოუშუადებელნი აღმოჩნდნენ წარმოქმნილ წინააღმდეგობათა გადასალახად. გვინდა ძმური დახმარების ხელი გავუწოდოთ იმათ, რომელთაც გარკვეული სულიერი გამოცდილების ნაკლებობისა გამო დაუფლებიათ უხალისო, სევდიანი განწყობილება. გვინდა ყოველი ადამიანის გულში შევიტანოთ სითბო და ქრისტე მაცხოვრის დიდი სასოება.

საყვარელნო, უფალი ჩვენი იესო ქრისტე წმიდა სახარებაში მოციქულებს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „არა თქვენ გამოიმარჩიეთ მე, არამედ მე გამოვიმარჩიე თქვენ და დავადგინე თქვენ, რამათ თქვენ წარხვადეთ და ნაყოფი გამოიღოთ და ნაყოფი თქუენი ეგოს საცხებით“ /ინ. 15.16/. როგორც ჩანს, ღვთის მიერ ხდება გამოჩენვა კაცისა და არა ადამიანისაგან ღვთისა. რისთვის ეძიებს ღმერთი ადამიანს? იმისათვის, რომ დაუბრუნოს მას დაკარგული სიხარული და ბედნიერება, მარადიული ნეტარი ცხოვრება. სურს ღმერთს ადამიანის ტემპარიტებაზე მოქცევა და ამ მიზნით უქმნის მას სინანულის განწყობას. ხშირად კაცი თვითონაც ვერ ხსნის რატომ ეძლევა მას სევდა, რატომ ეტირება სრულიად მრთელსა და ჯანსაღს. დიდხანს ვერ ხვდება ადამიანი საიდან მოდის სულის მწუხარება, ან საითკენ უბიძგებს იგი მას. ასეთ გაურკვეველ წუხილსა და სევდაში რაღაც იდუმალი სიხარულიც აკითხავს კაცს და ნელნელა ჩაესმის ძვირფასი და სანუგავარი ხმა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქვენ. აღიდეო უღელი ჩემი თქუენზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ“ /მთ. 11,28,29/. ადამიანს ჩაესმის სანატრელი ხმა იესო მაცხოვრისა და ენით აუწერელი სიხარულით ავსებს მას. ერთიდა რჩება კაცს, შეუდგეს ქრისტე მაცხოვარს. ადამიანის ასეთი გადაწყვეტილება დიდად ახარებს უფალს, როგორც მოწყალე მამის. ხარობს ზეცა გზასაცდენილის ტემპარიტ გზაზე დაყენებას. ჯილდოდ ამისა ღმერთი კაცს უგზავნის კიდევ უფრო მეტ წვალობას — სიხარულის ცრემლსა და სურვილს ამ სიხარულის სამუდამოდ გულში დამკვიდრებისა. და აი, ეწაფება კაცი ღვთის სიტყვას, რომ უფრო მეტად განცხადდეს მისთვის ღვთაებრივი ტემპარიტება. ადამიანი იწყებს ეკლესიურ

ცხოვრებას, ლოცვასა და მარხვას. დასაწყისში თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, ადამიანი გრძობს შინაგან სულიერ სიმშვიდესა და კმაყოფილებას. მაგრამ ფარული ვენებანი და ქვეყნიური მიდრეკილებანი მალე ახსენებენ მას თავს. ღვთის სიტყვის მოსმენით კაცი კი განეშორა ამაო ფიქრსა და საზრუნავს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. შინაგანად იგი ჯერ კიდევ რჩება ქვეყნიურის მონად. საჭიროა ვნებათაგან თავის გათავისუფლება, საჭიროა მოშორება მიწიერი სამოსისა და შემოსვა ზეციურისა. ასე რომ, ადამიანი ღვთის სიტყვის მოსმენისთანავე როდი ხდება ვარგისი უფლის მცნებათა შესასრულებლად. ამას წინ უძღვის მძიმე გზა სულისა და სხეულის გარდაქმნისა. აი აქ უნდა დაიწყოს ქრისტეს მიმდევრის ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება — ბრძოლა ბოროტებასთან, ბოროტ ვნებასა და გულისთქმასთან, მოუთმენლობასა და ყოველი ბოროტების სათავე ამპარტავნებასთან. ადამიანი უცხადებს ბრძოლას საკუთარ თავს, საკუთარ შებღალულ ნებას.

აღნიშნული ბრძოლანი და წინააღმდეგობანი ხშირად აკრთობს და აშინებს კაცს. ღმერთთან პირველი სიხარულით გამოწყვეული საკვირველი სითბო და სიხარული ადამიანში ნელდება და მათ ნაცვლად სიცივე და შიში მკვიდრდება. იქმნება მცდარი წარმოდგენა უკვე განცდილი ზეციური სიხარულის დაკარგვისა და რწმენაში ვაცეებისა, რასაც ხშირად თან ახლავს სარწმუნოებრივი გულგრილობა და უკმაყოფილება. ადამიანი ეძიებს მიზეზს მისი სულის მდგომარეობის ასეთი მკვეთრი ცვლილებებისა და ვერ უპოვია, რადგან იგი ჩვეულებრივი მოვლენაა სულის განვითარებისას. აი აქ ჭირდება ქრისტეს გზაზე შედგომილ კაცს მოთმინება დიდი და გონიერება, რათა არ გამოიჩინოს სულმოკლეობა და არ იძლიოს ბოროტისაგან.

რაც უფრო მეტად მოიცავს ადამიანის სულს სიცივე სარწმუნოებრივი და აქედან გამომდინარე გულგრილობა, მით უფრო უნდა უმატოს ლოცვასა და მარხვას. კაცს ხშირად ახსენდება ის ენით აუწერელი მდგომარეობა, ღვთის გზაზე შედგომისას რომ მიანიჭა ღმერთმა. ამის გახსენებამ არ უნდა დაბალოს მასში ღვთიური მადლის დაკარგვით გამოწყვეული წუხილი და სევდა. პირიქით, სწორედ ამან უნდა დაანახოს კაცს საკუთარი უმწეობა და ღვთის დახმარების აუცილებლობა. ასეთ მდგომარეობაში მყოფთ ჩვენ ვურჩევთ იესო მაცხოვრის მეტ იმედსა და სასოებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოჩენვა ადამიანისა ღვთით ხდება და ცხადია, უფალი უნუგეშოდ არ დატოვებს მისკენ მიმავალთ.

ამასთან დაკავშირებით, გვინდა გავიხსენოთ სწავლა — დარი-

გება დიდი საეკლესიო მამის, მაკარი მეგვიპტელისა /IV ს/, რომლის მიხედვითაც სულიერი მოღვაწეობის დაწყებისას ადამიანი ემსგავსება ჩვილ ბავშვს, რომელსაც ფეხის ასადგმელად ჭირდება მშობლის დახმარება, ხელის შეშველება. მშობლის დახმარებით ჩვილი პირველ გაუბედავ ნაბიჯებსა დგამს. რაკი ერთხელ იგემებს ბავშვი სიხარულს ფეხის ადგმისას, უნნდება სურვილი მეტა და მოუვიდებელი მოძრაობისა. ცდილობს კიდევ ამას, მაგრამ უფროსთა თანადგომის გარეშე ვერ ახერხებს მას, ძირს ეცემა და ზოგჯერ დაცემით განიცდის დიდ ტკივილებსაც. ამიტომ მშობელი დრომდე არ შორდება ბავშვს, მაგრამ როგორც კი შვილი წამოიზრდება და მოღონიერდება, ნელა იწყებს ხელის შეშვებას, რომ მიანვიოს დამოუკიდებელ მოძრაობას. ბავშვს დასაწყისში აშინებს სიშორე მშობლისაგან, განსაკუთრებით განიცდის ამას ძირს დაცემისა და სხეულის დაშვებისას. მშობელმაც იცის, რომ მტკივნეულია ჩვილის ყოველი წაბორძიკება და დაცემა, მაგრამ მინც უშვებს. წაბორძიკება და დაცემა უწყობს ხელს მოზარდში წინასწარობისა და სიფრთხილის გამოუმუშავებას.

აღნიშნული სწავლა წმ. მამა მაკარი მეგვიპტელისა სავესებით შეესაბამება ადამიანის სულიერ ზრდა-განვითარებასაც. შეიძლება ასაკით კაცი იყოს დიდი, სულიერად კი პატარა, ჯერ განუვითარებელი, როგორც ჩვილი ბავშვი. ახალი სულიერი ცხოვრებისათვის ადამიანი იბადება ქრისტიანული ნათლისღებისას. მას შემდეგ იზრდება და ვითარდება ისე, როგორც დედის მზრუნველობით პატარა ბავშვი. ეკლესია ქრისტესი დე-

დაა ყოველი მორწმუნე ადამიანისა. იგი გვზრდის უკვლავ ცხოვრების მოპოვებელი სულიერი საზრდოთი. დასაწყისში. ვიდრე ჩვენ სულიერად ვართ პატარები, უზგად გვკვებავს, შემდეგ კი, როცა წამოვიზრდებით, როცა ვისწავლით გარჩევას კეთილისა და ბოროტისას, როცა შევიძენთ ქვეყნიურ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის საჭირო ძალასა და უნარს, თვითონ გვთხოვს შრომითა და გარჯით მოპოვებას სულისათვის საჭირო საზრდელისა. ამიტომ არის, რომ სულიერი ცხოვრების დასაწყისში, ჩვენში იგრძნობა მეტი ღვთიური მადლი, მეტი მონღოება და სიყვარული, ვიდრე შემდეგ, როცა შევდივართ რწმენაში. ამან, რა თქმა უნდა, არ უნდა მოგვეგვაროს სევდა და გულის ტკივილი. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ჩვენი ეკლესიაში მოწოდება ხდება არა უკვე არსებული სიმშვიდისა და ნეტარების მისაღებად, არამედ შრომითა და გარჯით მის მოსაპოვებლად და, ამ მიზნით, ბოროტებასთან შესაბრძოლებლად. ქრისტიანის გზა სხვა არაფერია, თუ არა დაუსრულებელი ბრძოლა ბოროტ ძალებთან. ამიტომაც უწოდებენ წმიდა მამანი ქვეყნიურ ეკლესიას მებრძოლს, ზეციურს კი მოხეივს, გამარჯვებულ ეკლესიას.

საყვარელნო, ჩემი პატარა საუბარი მინდა დავასრულო წმიდა მოციქულ ბავლეს საერთო მოწოდებით: „მღვდარე იყვენით, მტკიცედ დევით სარწმუნოებასა ზედა, მკნე იყვენით და განძლიერდით“ /1 კორ. 16,13/.

— „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა. ამინ“ /რომ. 16,24/.

უფრო ასური

ს ი ყ უ ა რ უ ლ ი ს ა თ ჳ ს

ნეტარ არს კაცისა მის, რომლისა თანა არს სიყვარული ღმრთისა, რამეთუ მას შინა ღმერთი დამკვდრებულ არს. რამეთუ ღმერთი სიყვარული არს და ყოველსა, რომლისა თანა არს სიყვარული ღმრთისა, ღმერთი მის თანა არს მარადის; და რომლისა თანა ღმერთი არს, შემძლებელ არს იგი წინააღმდეგოდ ყოველსა ძალსა მტერისასა; რომლისა თანა არს სრული სიყვარული, არავის შეურაცხ-ყოფს, არცა მცირებსა, არცა დიდსა, არცა მდიდარსა, არცა გლახაკსა, არამედ ჰხედავენ თავსა თვისსა ყოველთა უღაცეს და უნარჩევს და უნაკლულეს, ყოველსა თავს-იდენს, ყოველსა მოითმენს. რომლისა თანა არს სიყვარული, არცა განლანდის მოყუასისა ზედა, არცა ზუაობს, არცა ვის განიკითხავს და უკეთუ სხუა ვინმე განიკითხავს მოყუასსა, მან არა თავს ილიის, არამედ ანხილის და მოაქციის.

რომლისა თანა არს სიყვარული, არა ემოყუასებიან მზაკვარსა, არცა ვალნ ამპარტავნთა თანა. რომლისა თანა არს სიყვარული, არა შურს მონაგები ცოდვილთა, არამედ ზრუნავს მათთვის და ასწავებს ღმობიერად, და ნუგეშინის სცემს, და ოდეს იხილის მოყუასი ჭირისა შინა და განსაცდელსა, მწუხარე არს მისთვის და ელმინ, და შემწე ეყვის ყოველთა ყოვლისა ძალითა მისითა ვიდრე სიკვდილმდე. რომლისა თანა არს სიყვარული, არა უგულუბელსყვის უცხო, არამედ შეიწყნარის სიყვარულით და განუსუნის მოსწრაფედ. რომლისა თანა არს სიყვარული, მან აღასრულის ნება ღმრთისა და არს იგი

ჭეშმარიტად მოწაფე ქრისტესი, რამეთუ ესრეთ პრქუა მკნელმან ჩუენმან სანატრელთა მოციქულთა: „ამით უწყოდინ ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, ოდეს იყუარებოდით ურთიერთას“.

რომლისა თანა არს სიყვარული, არარა განიხემის საკუთრად თავისა თვისისა, არამედ ყოველი, რომელი აქუნს, სხუათათს ჰნებავენ. რომლისა თანა არს სიყვარული, არავის ჰხედავენ უცხო, არამედ ყოველთავე თვისა მეგობრად ჰხედავენ, და არცა ოდეს აღშფოთნის და არცა უხარის ბოროტსა ზედა ძმისასა და არცა ძვრსა იტყუნ ტყუვით და არცა ვისთვის მტერობასა იმარხავს თვნიერ ეშმაკთასა, არამედ ყოველსავე სულგრძელეობით მოითმენს. ნეტარ არს მის კაცისა, რომელმან მოიგო სიყვარული და ესრეთ მივიდა იგი წინაშე ღმრთისა ყოველთა დამბადებელისა, რომელმან იგი უწყნის აღბეჭდულნი ბეჭდითა თვისითა და შეიწყნარნეს იგინი სასუფეველსა მისსა ანგელოზთა თვისთა თანა და დაიმკვდრონ ქრისტეს თანა. რამეთუ ძე ღმრთისა სიყვარულისათს მოვიდა ქუეყანად და სიყვარულითა განგვლო ჩუენ სამოთხე და სიყვარულისათს გვრუნა ჩუენ გზად აღსავალი ზეცად, რამეთუ ვიყვენით განდგომილ დ მტერ ღმრთისა და სიყვარულითა დამაგნა ჩუენ მამასა და ამისთვის ჯერ არს თქმად, ვითარმედ: ღმერთი სიყვარული არს, და რომელი დაადგრეს სიყვარულსა ზედა, იგი ჰგვის ღმრთისა თანა მარადის.

ლოცვისათვის

მკვლევარ-მწიგნობარი ალექსი /უშუაზია/ დაიბადა 1852 წლის 23 სექტემბერს, სენაკის მაზრის სოფელ ნოქალა-ქვეში. 1888 წელს აღიკვეცა ბერად. ერთხანს ეწეოდა საღვთისმშობლის, ებმარტოლა ღირს-გაჭირვებულთა და საშინელი სენით დაავადებულთა. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ათონის ივერიის, იობის, გელათისა და თეკლათის მონასტრებში. 1892 წელს დაექვედრა თეკლათის მთავარანგელოზთა ზედა სახანეში, სადაც მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე. მამა ალექსი გარდაიცვალა 1922 წელს და დაკრძალულ იქნა თეკლათის ღვთათა მონასტერში. 1959 წელს მისი ნეკრტი გადმოსვენებულ იქნა მისსავე სახანეში.

ალექსი ბერი ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობასაც. მდიდარი და შინაარსიანი მისი შემოკვლევები. იგი იქცევს ურადლებას ცხოვრების დრმა ცოდნით, მრავალფეროვანი თემატიკითა და მეცნიერული ერთეულით. მამა ალექსის წერილები, ხეობრივ-ასკეტური სწავლებანი და ქადაგებები რამდენიმე წიგნადაა გამოცემული. ვაჟკვე-ნებთ ერთ სწავლებას.

ლოცვა შეერთება არის ღვთისათანა და პირისპირი ზრახვა-უზნობა და ესე მადლი არს ღვთისაგან გამოძევალი და კვალად მისდამი შემართებელი, რამეთუ სულიწმიდა არს მოქმედი ლოცვისა და იგი მოსცემს სულსა ჩვენსა ცნობასა და სწავლასა ჭეშმარიტისა ლოცვისასა; რამეთუ არა უწყით, ვითარ ჯერ არს, უკეთუ არა სულმან წმიდამან გვასწავოს ჩვენ. ამისათვის ლოც-ვა ერთი უმთავრესი საშუალებაა მაშვრალთა და ტვირთმძიმე-თა განსვენებად. ვითარცა იტყვის იესო: „მოველით ჩემდა ყო-ველნი მასურალნი და ტვირთმძიმენი და მე განვისუენო თქვენ.“ მისლვა ღვთისადმი შეუძლებელ არს ნივთიერად; მასასადამე, ლოცვით გვიწოდს ქრისტე მისლვად მისდამი ჩვენის გაჭირვე-ბულის და დამძიმებულ ცხოვრების განსასვენებლად და საშ-ველის მისაღებად.

ლოცვა ორგვარია: პირველი შინაგანი და მეორე გარეგანი. გარეგანის ლოცვის მნიშვნელობა იგი არს, რომ აღძრას შინა-განი და ურთიერთშეთვისებითა მადლისა მის უსაზღვროისა ღვთის სიყვარულისადმი აღიყვანოს მიწიერი ესე კაცი და ანგე-ლოზთა დარად მათ უზოცოთა თანა გალობისა, ქებისა და ღი-დების შემწირველად გამოჩნდეს. თვინიერ ამისა გარეგანი უკუ-ლოცვა მუსიკაა ყურთა ოდენ სასმენი, ჰაერთა მცემი და ჰაერში განქრობადი. ამიტომაც მარტო გარეგანის წესის აღძვარ-რულებელნი რჩებიან უნაყოფოდ. ლოცვა გინა ვედრება სახეა სივლახისა და სისაწყლისა, რამეთუ არა გაქვს იგი, რასაცა ითხოვ. ყოველი მთხოვნელი საწყალია, რომელიც მომცე-მელსა ევედრების. მამ სიმდაბლით და სისაწყლით წარსდგე, ვითარცა მეხვერე, თორემ სილაღით, და უმდაბლებელის გულით ვერ მიიღებ სათხოვარსა, რომლისათვის უნდა მოიძიო შენი ში-ნაგანი საუნჯე, სადაც ურიცხვნი ვნებანი ბუდობენ, რომლითა ტყვესული შენი მუნ ტანჯულ არს და მუნით — გამო სიღრმითა გულითა აღმოიხრე და დაღადაყავ მსხნელისადმი, რათა აღ-მოიყვანოს სული შენი ვნებათა საპყრობილით. მაშინ შეი-წირავს ლოცვა შენი ზენასა მას სამსხვერპლისა, რამეთუ მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი. თვინიერ ამისა არა სთნდეს მეუფესა გარეგანი მსხვერპლი შენი, რამეთუ იტყვის, „უკეთუმცა გენება, მსხვერპლი შემცამეწირა, არამედ საკვერთხ-ნი არა გთნდეს, ესე იგი, შინაგანის სულის და გულის უმისოდ გარეგანი არა სთნავს: და უკეთუ გსურის ლოცვა შესწირო ღვ-თისა, გლოვითა იხსენებდე ცოდებათა შენთა, რამეთუ გლოვა ბოქლომი არს გულისა, რომელი დახშავს კარსა გულისასა ამა-ობითის სურვილისაგან, ხოლო ამისგან ნაშობი სულთქმა-

კლიტე არს ანუ გასადები, რომელიც გაადებს კარსა გულისასა, აღმოიხრებს ვნებათა მიერ წყლულების ტყენასა და ღვთიუ-ელად უოხებს გულსა და ესე სულთქმა შეგვაძეულ არს ლოცვი-სა და არს იგი მისთანა ერთარსებითი, რამეთუ არცა სულ-თქმა იოების ჭეშმარიტი ლოცვის უმისოდ და არცა ჭეშმარიტი ლოცვა დარჩების სულთქმის უმისოდ, არამედ ხსენება ოდენ საყვარელისა იესოსი წამსა შინა ორთა ამათ წარმოშობს და ესე ბეჭედი არს იესოს ლოცვისა აღუზოცვლად დასმული სულსა შინა გულის სიღმრეში სამარადისოდ მოძრავი და ესე არს ჭეშ-მარიტი შინაგანი ლოცვა.

ლოცვა უსაშველოთა საშველია და ღელვა-გვემულთა ნაფო-საყუდელია, ლოცვა საზრდელია სულისა და ესე არს მანანა სულისა მიერ წმიდისა ნათოვი, რომლის გემოისა მხილველნი გრძობენ უკვდავებითი მადლსა და მისდევენ მარადის შრომი-თა და სურთან მხოლოითი ამით მხოლოდსა მას უჩვენონ ერთ-გულება და სიყვარული შეიღებრივი, რომლის ფასად და ძღვნად თობენ ყოველსა ხილულსა და არა სწყურინ არა რი-სადმი გარეშე მისის ხედვისა, ვითარცა ცეცხლებრ აღზნებუ-ლი დავით ჰგალობს: „სწყურინ სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ძლიერსა და ცხოველსა“ და შემდეგ შეუდგინა ნაყოფი სიყვარ-ულისა ლოცვისაგან გამოსრულისა და სთქვა: „იქმნეს ცრემ-ლნი ჩემნი ბურად ჩემდა დღე და დამე“. ამას შინა დამტკპარი და ზილული მისი საკვირველებითი სიტკობისადმი ეტყვის უფალსა: „რაა ძეს ჩემი ცათა შინა და შენგან რაა ვინებე ქვეყა-ნასა ზედა“.

საყვარელო ძმამო, ხომ ხელდაე ქვეყნის მეფე და მრავალ დიდე ბის პატრონი რასა გრძნობს, ოდეს შვევიდა ლოცვის საშუალებით მამულსა მას პირველ ბუნებისასა, მას არარად და თითქო სრულიად ნაკვად მოეჩვენა მისი მეფობა და ქვეყნის დიდება და მისთვის ეტყვის მეუფესა ზეციერსა: „რაა ძეს ჩემი ცათა შინა და შენგან რაა ვინებე ქვეყანასა ზედა“. ესე იგი, არცა ცათა შინა და არცა ქვეყანასა ზედა არაფერი მინდა შენს მეტიო.

ამისათვის განზხადებულ არს გული ჩემი, უფალო, რომ მა-რადის შენ გივადობდეთ.


ჰოი გამოუთქმელი მადლი, მხოლოდ ცნობილი სულსა შინა ლოცვის მომეგებელისასა! ესე არს ძმანო, სასურველი სიმდიდრე სულისა და ძალი უძლეველი მტერთა წინაშე ბრძოლასა შინა; ესე არს ორთავ სოფლის ნუგეშისნი მცემელი და ცხოვრება. ლოცვა მეფეთა უძლეველი ბაირადია, წინაშე მტრისა და სამფ-ლობელიისი კეთილ ბედნიერების ნიშანია: იხილე ნეტარი მეფე

თამარი, წმიდა აღმაშენებელი დავით და სხ.


ლოცვა მთავართა და დიდებულთა პირთა სიმდაბლისა და თანა ერთობით სიყვარულის მასწავლებელია; ლოცვა მდიდართა მოწყალეებისადმი გონების გამხსნელია; ლოცვა ღარიბთათვის ნუგეშის და მოთმინების მომნიჭებელია; ლოცვა ყრმათათვის გამხსნელია გულისხმისპყოფისა და ნიჭისა და ყოველი საქმის დაწყებისათვის საფუძველია; ლოცვა ავადმყოფთათვის მწუხარების და ჭირის აღმასუბუქებელია და ყოველგვარ განსაცდელთა შინა მყოფთათვის უსაჭიროესი მადლიანი საშუალებაა და უძვირფასესი მკურნალია, ხოლო ბერმონაზონთათვის ლოცვა სამოთხის კარია და ღვთისადმი გამოუთქმულად დაუსრულებელი ხედვა-აღსვლაა.

ყველა იმ მადლებზე, რითაც კაცი დაახლოვებულია ღმერთთან, უმაღლესია ლოცვა, სავსება კეთილისა არის ლოცვა და არს იგი შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის, ცოდვითა შემარიგებელი და შემნდობელი, მონაწილთა განმწმედელთა სუფევისადმი აღმყვანებელი.

მხოლოდ მლოცველმან, ლოცვის მოყვარულმა უწყის მეუფე სადა იყოფის და ეძიებს მარადის სულთქმით და ჰსურის მისთანა უბნობა და შეჰხარის დიდებასა მისსა, განილვის სიყვარულის ცეცხლითა და იხარებს ხსენებასა მისსა, ვითარცა წერილ არს: „მოვიხსენე ღმერთი და ვიხარე“, ლოცვა — მან მხოლოდ შეიძლო ღვთის საიდუმლოების ცნობა და აუწყა მისსა შემყვარებელსა შევნიერება მისის ზეშთა აღმატებულის ბუნებისა.



ანანურის ციხე-სიმაგრე ტაძრებით. XVII ს.



წმინდა სუდარა

წმიდა სულარა

იტალიაში, ქალაქ ტურინის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში, ინახება წმიდა სულარა, რომელიც ქრისტიანობის ისტორიაში მეტად თავყვანის საცემ რელიქვიას წარმოადგენს. ეს არის ვიწრო და გაუმჭვირვალე სელის ტილო, სიგრძით 4,36 მ. ხოლო სიგანით 1,1 მეტრი. ტილო თეთრია. ჟამთა სვლის გამო მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. სულარა ძლიერაა დაზიანებული. მასზე ბუნდოვნად, მაგრამ მინიცი მოჩანს ადამიანის სხეულის ლანდისებური გამოსახულება — საოცრად მშვეიდი სახე. ხშირი თმა, ორად გაყოფილი წვერი. ბევრგან გარშემოხაზულობა მკრთალია. სულარაზე სამოსელგანძარცვული ტანის ორი ანაბეჭდია. მარჯვენა ნახევარზე აღბეჭდილია ზურგის მხარე, დაწვებული კეფით და დამთავრებული ფეხის ქუსლებით. მარცხენა ნახევარზე კი გამოსახულება სახის ანაბეჭდით იწყება. მკერდისა და ქვემო კიდურების ანაბეჭდი ტილოს მარცხენა კიდისკენ არის მიმართული. სულარა მოთავსებულია ძვირფას, ოქროსა და ვერცხლის ლუსკუმაში.

საუკუნეების მანძილზე ქრისტიანები თავყვანს სცემდნენ ამ წმიდა სულარას, როგორც მაცხოვარ იესო ქრისტეს გარდამოხსნას. XIX საუკუნემდე მხოლოდ ძველი გადმოცემები ასულდგმულებდა ამ რწმენას. გასული საუკუნებიდან კი, სულარის საერთო სახილველად გამოჩენისთანავე, გარდამოხსნა მეცნიერთა კვლევის საგნად იქცა. დღეისათვის მრავალ მკვლევარსა თუ მეცნიერს მიანიჭა: სულარაზე ჯვარცმული იესო ქრისტეს გამოსახულება!

წმიდა სულარა ტურინის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში 1578 წლიდან ინახება. იგი სავოიის პერცოგთა კუთვნილება გახდა XV საუკუნიდან. სულარა, ტურინში ჩამოტანამდე, საუკუნეზე მეტ ხანს იყო მოთავსებული ქალაქ შამბერის სამეფო კარის წმიდა სამლოცველოში.¹ 1532 წელს შამბერის ციხე-დარბაზში ხანძარი გაჩნდა. წმიდა სამლოცველოს საცავი, სადაც სულარა ინახებოდა, დაიწვა. ვიდრე გარდამოხსნას სამშვიდობოს გამოიტანდნენ, ლუსკუმის ვერცხლი გადნა და ტილოს დაეწვეთა. ამ ადგილებში წმიდა სულარა დაიწვა. წყალმა, რომლითაც აღმოღებულ გარდამოხსნაზე ცეცხლი ჩააქრეს, დიდი ლაქები დატოვა. საბედნიეროდ გამოსახულება გადარჩა.

1204 წელს ჯვაროსნებმა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, დაიკავეს. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მემბტიანე რობერტ დე კლარი წერდა, რომ მან იხილა წმიდა სინდონი /სულარა/², რომელზედაც მაცხოვარ იესო ქრისტეს გამოსახულება იყო აღბეჭდილი³. მას შემდეგ სულარა უკვალოდ გაჩქრა. ისტორიკოსები ვარაუდობენ /იან უილსონი/, რომ წმიდა სულარა, საიდუმლოდ ინახებოდა ტამპლიერთა ორდენში, რომელიც 1119 წელს ჩამოყალიბდა იერუსალიმში.⁴ ამ სასუ-

1. ეს სამლოცველო ააგებინა დიდი I სავოიელმა /1403—1465/. აქ დასვენეს წმიდა სულარა, რომელსაც თავყვანი სცა რომის პაპმა კალისტო III /1455—1465/.

ლიერო-სამხედრო ძმობის წვერები თავს „ქრისტეს დატაცა რაინდებს“ უწოდებდნენ. ტამპლიერთა ორდენი უადრესად სერიოზულ სამხედრო ძალას⁵ წარმოადგენდა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმის სამეფოსთან, რომელიც სხვა ჯვაროსანთა სახელმწიფოებს შორის მთავარ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. XIII საუკუნის შუა ხანებისათვის ჯვაროსნული მოძრაობა დაეცა. ტამპლიერთა სასულიერო-სამხედრო ძმობის რაინდებმა ყველაზე ბოლოს დასტოვეს თავიანთი ადგილ-სამყოფელი და საფრანგეთს დაუბრუნდნენ. ტამპლიერთა ორდენი 1312 წელს დაიშალა.

სწორედ ორდენის დაშლის შემდეგ გამოჩნდა ეს ძვირფასი რელიქვია საფრანგეთის მიწაზე. რაინდმა, გიოფმა ჟოფრუა დე შარნიმ, თავის სამფლობელოში ჩაიტანა წმიდა სულარა და 1357 წელს სოფლის პატარა ეკლესიაში გამოჰფინა საყოველთაო სახილველად.

1453 წელს წმიდა სულარა გრაფ ჟოფრუა დე შარნის შვილის შვილმა, მარგარიტამ, გადასცა სავოიის საგვარეულოს.

ტურინში წმიდა სულარის ჩამოტანიდან სამი საუკუნე გავიდა.

სამ საუკუნეზე მეტ ხანს იყო წმიდა სულარა ხელშეუხებელი. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა მისი ხილვა, ისიც მხოლოდ სავოიის საგვარეულოს წევრთათვის. XIX საუკუნის ბოლოდან კი მთელმა მსოფლიომ გაიგო მაცხოვრის წმიდა სულარის არსებობა. 1898 წელს მის მფლობელთა და ტურინის მთავარეპისკოპოსის ნებართვით წმიდა სულარის ხილვის უფლება მიეცა ყველას. 1898 წლის 25 მაისიდან 2 ივნისამდე გაგრძელდა გამოფენა. მრავალი მლოცველი მოწიწებით იხრიდა თავს ძვირფასი რელიქვიის წინაშე. ერთ-ერთმა მნახველმა, სკეონდო პიამ, უფლება მიიღო ფოტოფირზე აღბეჭდა გარდამოხსნა.⁶ პიამ განსაკვირვებელი რამ აღ-

2. სულარის ამ ბერძნული სახელწოდებიდან არის წარმომდგარი სინდონოლოგია-სულარისმცოდნეობა. სულარისმცოდნეთა მიზანს გარდამოხსნის მეცნიერული კვლევა წარმოადგენს.

3. სულარა დაცული იყო წმ. მარიამის ეკლესიაში. ეს ბაზილიკური ნაგებობა მდებარეობდა ბლაქერნში, კონსტანტინოპოლის ჩრდილო ნაწილში. ამიტომ მას ბლაქერნის წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებენ. იგი აგებული იქნა წმ. პულპერიას /იმპერატორ მარკიანეს მეუღლის/ მიერ, V საუკუნეში.

4. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც II ჯვაროსნული ომის შედეგად ვრობელმა რაინდებმა აიღეს იერუსალიმი და გაათავისუფლეს მაცხოვრის წმიდა საფლავი /1099 წ./.

5. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდგორის ომში /1121 წ./, ქართველთა ლაშქარსა და თურქ-სელჩუკთა კოალიციურ არმიას შორის წარმოებულ ბრძოლაში, ქართველთა მხარეს მებრძოლი 200 ფრანგი ჯვაროსანი რაინდი მეტაძრეთა სასულიერო-სამხედრო ძმობის წევრი იყო.

6. წმიდა სულარა გადაიღეს ფოტოფირზე 1931 წელსაც, მისი მეორედ გამოფენის დროს. ეს გააკეთა ჯ. ენრიმ. პათოლოგოანატომებმა მიღებული ფოტოფირებით, რომელიც უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე სკეონდო პიას მიერ 1898 წელს გადაღებული, საბოლოოდ დაადგინეს, რომ წმიდა სულარაზე რეალური, ტანჯული ნეშტის ანაბეჭდი იყო გამოსახული.

მოაჩინა. ფირის გამჭვლელებისას მან ნამდვილი გამოსახლება მიიღო. ის, რაც სუდარაზე ჩრდილად მოჩანდა, სურათზე ნათლად გამოიკვეთა, სუდარის შუქიანი ადგილები კი გაშუქდა. ეს იყო საკმაოდ ჩამოყალიბებული ანაბეჭდი ჯვარცმული ადამიანის სხეულისა, რომელსაც საშინელი ტანჯვა უნდა გადაეტანა, რადგან მთელს სხეულზე, სახეზე, თავზე გვემის კვალი ნათლად აჩნდა. ფოტოფირებზე გამოისახა ის, რაც უბრალო თვალისათვის შეუძნეველი რჩებოდა წმიდა სუდარაზე.

ფოტოსურათების გამოკვლევა დაიწყო სორბონის უნივერსიტეტის შედარებითი ანატომიის პროფესორმა ივ დელაჟმა და ბიოლოგმა პოლ ვიონმა. გამოკვლევის შედეგებით განცვიფრებულმა დელაჟმა, რომელიც მინცა-ადამიანს ღიად მორწმუნე არ იყო და მისმა კოლეგა ვიონმა დაასკვნეს, რომ მათ ჯვარცმული იესო ქრისტეს გამოსახლება იხილეს.

1978 წლის შემოდგომაზე წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში შესამდე იქნა წმიდა სუდარა გამოტანილი, რათა იგი ენახათ მლოცველებს. სამილიონზე მეტი ადამიანი ექვსი კვირის განმავლობაში რიგში იდგა, რათა საკუთარი თვალით ეხილა ქრისტეანთათვის ესოდენ ძვირფასი რელიკვია. მათ შორის რამოდენიმე ათასი სუდარის-მცოდნე იყო. ამასთან ერთად, მეცნიერთა ჯგუფმა გამოკვლევა ჩაატარა და შემდეგ მთელი სამი წლის განმავლობაში სწავლობდა მის შედეგებს.⁷ ეს იყო წმიდა სუდარის ყველაზე უფრო სრულყოფილი და დახვეწილი მეთოდებით შესწავლის ცდა.⁸ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდნენ მეცნიერები — ატარებდნენ სხვადასხვა ცდებს. შეამოწმეს წმიდა სუდარის თითოეული გოჯი. შემდეგ მიკროსკოპით გადაიღეს. კვლევის დროს წმიდა სუდარას შემოარღვიეს სარჩული, რომელიც XVI საუკუნეში მიაკერეს მას მონოზენებმა. მეცნიერებს ახალი მასალა მიეცათ გამოსაკვლევადა.

წმიდა სუდარამ მრავალ კითხვას გასცა პასუხი. მასზე მეცნიერთათვის მანამდე სრულიად უცნობი მონაცემი იყო აღბეჭდილობა. შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა მათი უტყუარობა. მეცნიერულმა აღმოჩენებმა ნათელი მოჰფინეს იმას, რაც წმიდა სუდარაზე აღიბეჭდა მრავალი საუკუნის წინ.

„წელსა მეთხუთმეტესა ტიბერიის კეისრისასა, მთავრობასა პონტოელისა პილატესსა პურიასტანს“ /ლუკა 3,1/ იოანე ნათლისმცემელს ებრძანა ზეცით, ექადაგა სინანულით ცოდვათა მიტევება და მით მოეშადადებინა ისრაელის ერი ქრისტეს, მესიის, შესახვედრად. მრავალი წელი არ მოვლენია ისრაელს წინასწარმეტყველი და სწორედ ამ დროს გამოჩნდა საქადაგებლად იოანე, რომელიც „მოჰვლიდა ყოველსა მას სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის- ცემასა სინანულისა მისატევებ-

7. ჯგუფმა, რომელსაც უწოდა STURP /Shroud of Turin Researd Project — ტურინის სუდარის გამოკვლევის პროექტი/, და რომელშიც 30 მეცნიერი და ტექნიკოსი შევიდა, გამოიყენა უახლესი ულტრა-ნული აპარატურა.

8. წმიდა სუდარას 1969—1973 წლებში სწავლობდა II კაცისაგან შემდგარი კომისია. მათან ხუთი სხვადასხვა დარღვი მცნიერი იყო. კომისიის დასვენა გამოქვეყნებულ იქნა 1976 წელს ტურინის ეპარქიის ჟურნალის დამატებაში და რიგ სპეციალურ სტატიებში, რომლებიც შემდგომში დაიბეჭდა.

ლად ცოდვათა“ /ლუკა 3,3/. იქადაგა იოანე წინასწარმეტყველმა იესო ქრისტეს მოვლინება. იხილა ნათლისმცემელმა იესო და თქვა: „აჰა კრავი იგი ღმრთისაა, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“ /იოანე 1,29/. ნათელი იესო მაცხოვარმა იოანე ნათლისმცემლისაგან. სამი წელიწადი მსახურებდა იესო ქრისტე ადამიანებს შორის. ქადაგებდა, ახლენდა სასწაულებს, კურნავდა სნეულთა და დავრდომილთ; აღადგენდა მიცვალებულთ, ნათელს სცემდა სულითა წმიდითა. სამი წლის განმავლობაში მაცხოვარმა ყოველი მხრით გადასცა ცალილეთა. წმიდა სუდარაზე ამის კვალი დარჩა. მსგავსი სიძლიერის წვივის კუნთები, როგორც ადამიანის სუდარისეულ ანაბეჭდზე გამოჩნდა, უნდა ჰქონოდა მას, ვინც ძალზე ბევრს დადიოდა. მას შემდეგ, რაც მაცხოვარი ჯვარს აცვეს და მან სული განუტევა, პილატე პონტოელს ეახლა იოსებ არიმათიელი⁹, „და გამოითხოვა გუამი იგი იესოჲსი.“ /მათე 27,58/. გარდამოსხნეს მაცხოვრის სხეული. „და მოიღეს გუამი იესოჲსი და შეგრაგნეს იგი ტილოებითა“ /იოანე 19,40/. იუდაური დაკრძალვის წესით მიცვალებულის ცხედარს მთელს სიგრძეზე სუდარაში ხვედნენ. სხეულს სუდარის ერთ ნახევარზე დაწვენდნენ, ხოლო მეორე ნახევარს თავსხემოთ გადაატარებდნენ და ისე გადააფარებდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ შემოახვედნენ ტილოებს.

თავისი მსახურების შესამე წელს მაცხოვარმა იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა ლაზარე, მამ მართასი და მარიაშისა, რომელიც ოთხი დღის მკვდარი იყო. „და გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული კელითა და ფერჯითა სახუველითა, და პირი მისი დაბურვილი იყო სუდარითა“ /იოანე 11,44/. ჯვარცმიდან იესო ქრისტეს გარდამოსხნის შემდეგ მისი ცხედარი ისევე იყო გახვეული სუდარაში, „ვითარცა ჩვეულება არს ჰურიათაა დაფლვასა“ /იოანე 19,40/.

მესამე დღეს მივიდნენ პეტრე და იოანე მაცხოვრის საფლავთან. მაგრამ საფლავი ცარიელი იყო. აღსრულდა წინასწარმეტყველება: „ძე კაცისაა მიეცეს კელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რა-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს“ /მარკო. 9,31/. მოწაფებმა იხილეს „სუდარი იგი, რომელიც იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თვსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა“ /იოანე 20,7/.

სუდარა ქრისტეს მოწაფეებმა შეინახეს, როგორც წმიდათა-წმიდა. ამ დროიდან იწყება წმიდა სუდარის ცხელსვენება ერთი ეკლესიიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ვიდრე მან საბოლოოდ არ დაიჯანა წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში.¹⁰

9. იოსებ არიმათიელის სახელთანაა დაკავშირებული წმიდა გრაალი, სასწაულმოქმედი თასი, რომელიც იესო ქრისტეს გვერიდან გადმოძინარე სისხლით და წელით აავსო მისმა ფარულმა მოწაფემ. გრაალის სიწმინდეს რჩეული რაინდები იცავდნენ. გამოთქმულია მოსახრება, რომ ერთ-ერთი ასეთი რაინდთაგანი იყო აღმოსავლეთის ქვეყნის დიდი ქრისტეანი ხელმწიფე — იოანე პრესვიტერი, რომელსაც მკვლევარები ქართველთა მეფე-დავით აღმაშენებელთან აიგივებენ.

10. სუდარის შესახებ მოვითხრობენ კირილე ალექსანდრიელი /IV ს./ და წმ. იოანე დამასკელი /VIII ს./. ზოგიერთი მკვლევარი გარდა-მოსხნას ჯიგვებს მანდილიონთან, რომელიც ქრ. შ. 40 წელს იესოს მო-

1898 წლიდან მოყოლებული ყველა მეცნიერული გამოკვლევის მიზანს წმიდა სუდარის ნივთიერი საგნის შესწავლა წარმოადგენდა. გამოკვლევების შედეგად საბოლოოდ გაირკვა რიგი საკითხებისა. სელის ტილოს ძველ პალესტინაში ძალზე ხშირად იყენებდნენ სუდარად. წმიდა სუდარის ნაჭერი იმავე ხერხებით აღმოჩნდა დამზადებული, რა ხერხებიც იმ დროს იყო გავრცელებული. ნაჭერი ნაძვისებური სახით დაექსოვათ, ანტიკური ხანის წესით. ძაფი თითისტარზე დაერთოთ.¹¹ ზოგიერთი მკვლევარის აზრით ნართი მოქსოვამდე შედეგს, გაათეთრეს. ესეც იმ ხანისათვის დამახასიათებელი ხერხი იყო. სელის გარდა ქსოვილში ბამბის ბოჭკოები იპოვეს. ბამბა აზიური სახეობისა აღმოჩნდა.¹² პალესტინაში, იუდაური რელიგიური კანონებით შალის შექსოვა სელთან ან ბამბასთან აკრძალული იყო. შალს ცალკე ქსოვდნენ, ხოლო სელსა და ბამბას ცალკე. ევროპაში ასეთი აკრძალვა არ არსებობდა. ასე, რომ პალესტინაში სელის მხოლოდ ბამბანარევი ქსოვილის დამზადება შეიძლებოდა. ასეთი ნაქსოვი იყო ის ნაჭერიც, რომელიც წმიდა სუდარად გამოიყენეს.

ბოლო, 1978 წლის გამოკვლევებისას წმიდა სუდარაზე ყვავილის მტვერი აღმოაჩინეს. მისმა ანალიზმა მცენარეთა 49 სახეობა გამოავლინა: აქედან 16 სახეობა ევროპული, სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა, 13 სახეობა — მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთ პალესტინისა და მკვდარი ზღვის უდაბნოსათვის დამახასიათებელი, ხოლო 20 სახეობა განეკუთვნებოდა სამხრეთ-დასავლეთ თურქეთის, სტამბოლის რაიონისა და სირიის ჩრდილოეთ მხარის ფლორას.¹³ სპეციალისტების დასკვნა ასეთი იყო: ქსოვილს უშუალოდ შეხება ჰქონდა პალესტინის, თურქეთისა და სამხრეთ ევროპის ჰაერთან.

უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, რაც წმიდა სუდარაზე გამოსახულ ადამიანს აღმოაჩნდა, ეს იყო ყველა ის დიდი თუ მცირე ჭრილობა, რაც მაცხოვარ იესო ქრისტეს მიაყენეს მისი ტანჯვისა და ჯვარცმის დროს. გვემამ სხეულს დღემდე მოუცილებელი კვალი დააჩნია გაშოლტვისა, ეკლის გვირგვინისა, სამსჭვალთა და შუბისა. ამაზე მტკიცელებდა ჭრილობებიდან მომდინარე სისხლის ნაკვალავი, რამაც იესო ქრისტეს მთელს სხეულზე უამრავი სისხლგროვა წარმოქმნა და რომელიც ასე ნათლად გამოჩნდა წმიდა სუდარაზე; გარდამოხსნაზე.

სისხლგროვებმა წმიდა სუდარაზე ლაქები წარმოშვა. ეს მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ლაქებში მათ აღმოაჩინეს ჰემოგლობინის, ბილირუბინის და ადამიანური სისხლის სხვა შემადგენელი ნაწილაკების კვალი.

წაფემ, წმიდა მოციქულმა თადეოზმა წაიღო ეღესში. იქ შეინახეს. შემდეგ დაიკარგა. 524 წელს ისევ იპოვეს. 944 წელს კონსტანტინეპოლში გადაიტანეს, სადაც ინახებოდა 1204 წლამდე. შემდეგ უკვლავ გაქრა.

11. ჯარაზე დართვა გვიან ხანებში გავრცელდა /ევროპაში XII საუკუნიდან/.
12. ბამბა ევროპაში გვიან გაჩნდა: ესპანეთში VIII, პოლანდიაში — XII-ს-ში.
13. ისტორიული ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიები და კონსტანტინოპოლი.

წმიდა სუდარაზე, გარდამოხსნაზე, აღბეჭდილი ადამიანის იერი და თმის ვარცხნილობა ქრისტესშემდგომი წელთაღრიცხვის დასაწყისში იყო დამახასიათებელი იუდეველთათვის: ფართო წვერ-უღვაში და მხრებამდე გაშვებული თმა. იესო ქრისტეს ყველა ხატსა, ფრესკასა, კედელწერასა თუ ფერწერულ ტილოებზე გამოხატულ გამოსახულებებზე¹⁴ აღნიშნული დეტალები უცვლელად მეორდება.¹⁵

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს /ა. ვაგნერი/, რომ იესო ქრისტეს გამოსახულება ადრეობრივ ხატებსა თუ მონეტებზე ამჟღავნებენ საოცარ მსგავსებას გარდამოხსნაზე აღბეჭდილ სახესთან. სპეციალისტები აღნიშნავენ სახის 45 ნაკვეთის სრულ იგივეობას გარდამოხსნის გამოსახულებასა და სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ერთ-ერთ ხატზე აღბეჭდილ მაცხოვრის სახესთან. ასევე საოცრად დაემთხვა გარდამოხსნაზე აღბეჭდილი სახის გამოსახულება იუსტინიანე II დროს მოჭრილ მონეტაზე გამოსახულ იესო ქრისტეს სახეს. ერთი და იგივე სახის ნაკვეთების რაოდენობამ 65 მიაღწია.

გარდამოხსნაზე გამოვლენილი ზოგიერთი უცნობი ფაქტი შემდგომმა კვლევებიდან, კერძოდ, არქეოლოგიურმა გათხრებმა პალესტინაში, დაადასტურა. ეს იყო რომაული ჯვარცმის წესები იუდეაში და ებრაული დაკრძალვის რიტუალი ქრისტესშემდგომი წელთაღრიცხვის დასაწყისში. არქეოლოგიური მონაცემებით ამ დროს ებრაელები გარდაცვლილის თვალზე მონეტებს /ფულს/ აფენდნენ და მიცვალებულს ისე კრძალავდნენ. ფოტოგადაღებების დროს დადგინდა, რომ მონეტები, რომელიც სუდარის ადამიანს ეფარა თვალზე, მოჭრილი იყო ქრისტესშემდგომი წელთაღრიცხვის 30 წლის მახლობლად, რომში იმპერატორ ტიბერიუსის ზეობისა და იუდეაში პროკურატორ პილატე პონტოელის მმართველობის დროს.¹⁶

წმიდა სუდარაზე, ზურგის გამოსახულებაზე, შოლტის უამრავი ნაკვალავი დარჩა. ასამდე სისხლიანი კვალი დასტოვა მათრახმა მხრებზე, ზურგზე, წელზე, ფეხებზე. ჯვალათები რომელები იყვნენ; რადგან იუდეველებს მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით უნდა დაეკრათ შოლტი მსჯავრდადებულისათვის, ოცდაცხრამეტჯერ. გაშოლტვას ორი სხვადასხვა სიმაღლის ჯალათი ატარებდა. მათრახები მოკლეთარიანი იყო, რომელთაგან ერთი ძვლის კოჭებით ბოლოვდებოდა, მეორე-ტყვიის ბურთულებით.¹⁷ წმიდა სუდარის ადამიანს მხოლოდ გულის არეში არ აღმოაჩნდა გაშოლტვის კვალი. გულის არეში მათრახის ძლიერი დარტყმა სიკვდილს იწვევს, ხოლო რომელ ჯალათებს წმიდა სუდარის ადამიანის მოკვლა არ სურდათ...

პილატე პონტოელისათვის საკამარისი არ აღმოჩნდა დასასჯელად ის ბრალდება, რასაც სინედრიონი აღებდა

14. IV საუკუნიდან მკვიდრება ჩვენთვის ცნობილი სახე მაცხოვრისა: გრძელი თმაწვერით. მანამდე იგი ჭაბუკი შვეყმის სახითაა გამოსახული სხვადასხვა ფრესკებსა თუ მინიატურებში.
15. მკვლევართა ნაწილს მაინც, რომ წმიდა სუდარაზე აღბეჭდილ ადამიანს კეფაზე ნაწილი უნდა ჰქონოდა. ეს დეტალი უცნობია მაცხოვრის დღემდე ცნობილი გამოსახულებებისათვის.
16. მონეტაზე იმპერატორ ტიბერიუსის /ტიბერიუს კლავდიუს ნერონი,

იესო ქრისტეს „რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურით მისცეს იგი“ /მათე 27,18/.

რომაელი გულზვიადი მბრძანებლის აზრით სინედრიონის აღმფოთება იუდაურ რელიგიურ დოგმატებთან იყო კავშირში და სცადა არ ჩარეულიყო იუდეველი სამღვდლოების მიერ იესოს სიკვდილით დასჯაში. „ვსწავლო ვემ და განუტო“ /ლუკა 23,22/ — მიმართა მან იუდეველებს, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ისინი ქრისტეს გვემით დაეკაყოფილებოდნენ. პილატე პონტოელმა „იესუს შოლტითა სცა“ /მათე 27,26/.

იუდეველებმა ქრისტეს გამოლტვა არ იკმარეს. ისინი იესოს სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ. „ხოლო იგინი ზედა დაესხოდეს კმითა დიდითა და გამოითხოვედეს მას ჯუარ-აცუჲმდ. და განძლიერდებოდეს კმანი მათნი და მღუღელთ-მოდღუართანი“ /ლუკა 23,23/. პილატემ ერთხელ კიდევ სცადა მაცხოვრის ხორციელი გადაარჩენა. მან უდანაშაულოს განსჯის ცოდვით დააპირა იუდეველთა შეჩერება. „ხოლო იგინი დადადებდეს და იტყოდეს: აღიდე, აღიდე და ჯუარს აცუ ეგე“ /იოანე. 19,15/. ვერც ცოდვის სიმძიმემ დააშინა მღვდელ-მოდღუარნი, მწიგნობარნი და უხუცესნი. „და მიუგო ყოველმან ერმან და თქუეს: სისხლი მაგისი ჩუნ ზედა და შვილთა ჩუნთა ზედა“ /მათე 27,25/. პილატე პონტოელმა შეისმინა დადადი და მაცხოვარი იესო ქრისტე მისცა საწამებლად იუდეველებს.

ეკლის გვირგვინის კვალი წმიდა სუდარაზე უტყუარი და ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანი იყო იმისა, რომ მასზე იესო ქრისტეს გამოსახლება აღბეჭდილიყო. ზურგის ანაბეჭდზე, თემში, გამოჩნდა უამრავი დანასერი, რომელთა კვალი სახეს შუბლსა და მარცხენა თვალთან ემჩნეოდა. ამ ანაბეჭდებმა ახალი დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა მეცნიერებს. ეკლის გვირგვინს ჰქონდა მიტრის და არა სალტის ფორმა. სწორედ გვირგვინის ასეთი ფორმა იყო აღმოსავლეთში ძალაუფლების ნიშანი. ეკლის გვირგვინის თავზე ჩამოცმის შემდეგ გამხეცებული ბრბო დასცინოდა გვემულს: „და შეთხზეს გვრგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა კელსა მისსა და მეჭლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემდერდეს მას და ეტუოდეს: გიხბროდენ, მეუფო ჰურიათათო!“ /მათე 27,29/. გვემის შემდგომ მაცხოვარი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. პილატემ იუდეველთა სულიერ მოძღვრებთან ურთიერთობის გამწვავებას, ისევ ქრისტეს სიკვდილით დასჯა არჩია. „მაშინ მისცა იგი მათ, რათა ჯუარს-აცუან. ხოლო მათ წარიუანეს იესუ“ /იოანე 19,16/. გოლგოთას გზას შეუდგა

14-37 ქრ. შ./ მოსახსენებელი წარწერა შეცდომით იყო ამოკვეთილი. ბერძნული ფორმა *Katrap* და ლათინური *Caesar* ფულის მოჭრულმა ერთიმეორისაგან ვერ განასხვავა. წარწერა შეცდომით ამოიკვეთა — *caisar*. მცდარწარწერიანი მონეტების არსებობა ისტორიკოსებმა არ იცოდნენ, ვიდრე მათა კვალი არ აღმოაჩინეს ვარდამოხსნაზე. მხოლოდ შემდგომში არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა წმიდა სუდარაზე აღმოჩენილი მონეტების ანაბეჭდის სრული შესაბამისობა რეალურად ასეებულ იმ პერიოდის მონეტებთან. დღემდე უკვე ხუთი ასეთი მინეტაა ნაპოვნი.

17. რომაული მათრახების-ფლაგრუმების-კვალი იმ ადგილებში უფრო ჩამუქებული იყო, სადაც წმიდა სუდარის ადამიანს მათი ბლოები მოხდა.

იესო თავისი ჯვრით,¹⁸ რომელზედაც თვით უნდა გაეკრათ. წმიდა სუდარამ შეიძინა მარცხენა მუხლის ტრილობა, რომელიც ქრისტემ გოლგოთის გზაზე დაცემისას მიიღო. წმიდა სუდარაზე ბევრი რამ აღმოჩნდა მანამდე უცნობი, რაც მაცხოვრის ჯვარცმას უკავშირდებოდა. ყველაზე მეტად მკვლევარები სამსჯვალთა ნაკვალევმა გააკვირვა. იესო ქრისტე, საშუალო საუკუნეების ყველა ფრესკაზე, ჯვარზე ხელისგულებითაა მილურსმული. სუდარის ადამიანს სამსჯვალთა ნაკვალევი არა ხელისგულებში, არამედ მაჯებში აღმოაჩნდა.

ფრანგმა ქირურგმა პიერ ბარბემ ჩაატარა მთელი რიგი ცდები. იგი ცდილობდა გაერკვია მაჯებში მიყენებული ტრილობების წარმოშობის მიზეზი, რომელიც წმიდა სუდარაზე აღმოჩნდა. პ.ბარბე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სხეული ჯვარზე არ გაჩერდებოდა, თუკი მას ხელისგულებით მილურსმავდნენ. ხელისგული ვერ გაუძლებდა სხეულის სიმძიმეს. სხეული მხოლოდ მაშინ გაჩერდებოდა ჯვარზე, თუ კი სამსჯვალეები მაჯებში იქნებოდა გაყრილი¹⁹. წმიდა სუდარაზე სისხლის ღარების ნაკვალევი დარჩა. მათი მცირე გადახრებით დაადგინეს, რომ ჯვარცმული ტკივილებსაგან იკრუნჩხებოდა. „და იყო ჟამი მექექუსე, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე“ /ლუკა. 23,44/. დიდხანს ეწაბა მაცხოვარი ჯვარზე. მეცხრე ჟამსა კი „ხოლო იესუ გამა-ყო კმითა დიდითა და განუტვეა სული“ /მარკოზ. 15,37./ წმიდა სუდარის გამოსახულებაზე სახე და სხეული ანატომიურად უმნიშვნელო წვრილმანებადმე ზუსტი იყო. მასზე სიკვდილის შემდგომი გაშეშების ნიშნები აღმოჩნდა. სხეულის გაშეშება ჯვარცმის დროს უნდა მოხდარიყო, რაზედაც მეტყველებდა კიდურების სისწორე, გაფართოებული გულ-მკერდი, ბარძაყების დაჭიმული კუნთები. ჯვარცმული სხეულისა და ხელების მდგომარეობა მაცხოვრის ხორციელი სიკვდილის გამს სისხლის ღარებით დაადგინეს. მანამდე კი, სანამ იესო ქრისტე ხორციელად აღდგურდებოდა, „ერიისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესო, მოიდეს სამოსელი მისი და განიყვეს თხ ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკრველ, ზე გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს ურთიერთას არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგლოთ ამას ზედა, ვისცა იყოს, რათა აღდგურლოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიდგეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს“ /იოანე 19,23—24/²⁰. წმიდა სუდარის ადამიანი მთლიანად განძარცვული იყო შესამოსელისაგან. იუდეველთა კანონებით ჯვარცმული ადამიანის სხეული უნდა აუცილებლად ჩამოეხსნათ და დაეკრძალათ. მისი გაჩერება ჯვარზე არ შეიძლებოდა. „არა დაუტეოთ გუამი იგი მისი ჯუარსა ზედა, არამედ


18. 1108 წელს იერუსალიმის წმიდა საფლავის ფრანგმა მედავითნემ ანსელუსმა პარიზის მღვდელმთავრისათვის შეიძინა ჯვარი, რომელიც „ქლი-ცხოველის“ ნაწილებიდან იყო ამოღებული. ჯვარი საფრანგეთში იქნა გადასვენებული. ანსელუსი თავის ეპისტოლეში პარიზის მღვდელმთავრისადმი წერდა, რომ ჯვარი მან ქართული მეფის ქვრისაგან შეიძინა /!/.“

19. სავარაუდოა, რომ აღრევა გამოიწვია ბერძნულმა სიტყვამ — *παλ'αγυ* რომელიც ერთდროულად ხელსაც ნიშნავს და ხელისგულსაც.




წილკნის ლვთისმშობლის ხატი. 1X ს. შესრულებულია ენკაუსტიკის
ტექნიკით. შემკულია მინაწერით.


წ მ ი დ ა



სამთავრო. ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



სამთავრო. ხელი აღმოსავლეთიდან



სამთავრო. წმ. ნინოს მცირე ეკლესია.

ქ ა დ ა ქ ი მ ც ხ ე თ ა



მცხეთა. ჯვარი — სამთავრო — სპიტიცხოველი



მცხეთა. სეპტიცხოველი XI ს.

გარდამოიღო იგი და დაჰვლდა მასვე დღესა, დაწყევლ არს უფლისა მიერ ყოველი, რომელი დამოკიდოს ძელსა და ნუ შეაბილწებთ ადგილსა მას, რომელ უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ ნაწილად მკვდრობისა თქუენისა“ /2 სჯული 21,23/. რომელები სიკვდილით დასჯილთა გვაძებს მხოლოდ იუდეაში აძლევდნენ ნათესავეებს დასაკრძალად. რომის იმპერიის სხვა სამფლობელოებში ამას არ აკეთებდნენ. ჯვარცმულები ეწამებოდნენ დღე-ღამისა და კიდევ მეტი ხნის განმავლობაში, ხოლო მათ გვაძებს ან ჯვარზე ტოვებდნენ, ან მტაცებლებს უვადებდნენ საჯიჯგნად. „ხოლო ჰურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, რაათა არა დაადგრეს გუამი მისი ჯუარსა ზედა შაბათამდე, რამეთუ იყო დიდი დღე იგი შაბათისა მის, ჰკითხეს პილატეს რაათა წვენი მათნი განუტეხნენ და გარდამოიხუნენ“ /იოანე 19,31/. წმიდა სუდარის აღამიანს წვივები არ ჰქონდა გადამსხვრეული, რადგან ერისაგანნი მიეხლნენ იესო ქრისტეს ცხედარს“ და იხილეს იგი, რამეთუ მოკუდარ იყო, არა განუტეხნეს წვენი მისნი“ /იოანე 19,33/.

ერთ-ერთი არქეოლოგიური გათხრების დროს, იუდეაში, აკლდამაში იპოვეს აღამიანის ჩონჩხი. იგი ჯვარცმული ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. წარწერა მეტყველებდა, რომ იუდეველს იოქანანის უხმობდნენ სახელად. მას წვივები გადამსხვრეული ჰქონდა. კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი ის იყო, რომ სამსჭვალთა მიერ დატოვებული კვალი ჯვარცმულის მაჯებში გადიოდა.

წმიდა სუდარის აღამიანს მკერდის მარცხენა მხარეს 4,5 სანტიმეტრის სიგანის ჭრილობის კვალი აღმოუჩინეს. ეს არ იყო ჯვარცმისათვის დამახასიათებელი. სხვა ჯვარცმულთა სხეულებს არ აყენებდნენ ამგვარ ჭრილობას. წმიდა სუდარაზე გამოსახულ აღამიანს კი მიაყენეს ეს ჭრილობა. როცა ერისაგანნი დარწმუნდნენ, რომ ქრისტე უკვე მკვდარი იყო, „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუშირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გამოკდა სისხლი და წყალი“ /იოანე 19,34/.

მიწუხრის ჯამს მაცხოვარ იესო ქრისტეს საიდუმლო მოწაფეები მივიდნენ პილატესთან და მოძღვრის ცხედარი სთხოვეს. როცა პილატემ დართო მათ ამის ნება, იოსებ არიმათიელმა და ნიკოდომოსმა გარდამოხსნეს ცხედარი იესოსი, გაჰხვიეს სუდარაში ისე, რომ ხელით არ შეხებოდნენ მას. იუდეველთა წესით მიცვალებულთა შეხება აკრძალული იყო, რათა არ წარწყმედილიყო ის, ვინც ამას ჩაიდინდა. „და ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა: ეტყოდე შენ ძეთა აჰრონისთა და არქუ მათ: რათა სულთაგან არა შეიგინებოდინ შორის ნათესავთა მათთა“ /ლევიტელთა 21,1/. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სუდარაში შეგრაგნილ სხეულს ტილოები შემოახვიეს, „იყო ადგილი მას, სადა ჯუარს აცუეს მტილი, და მტილსა მას შინა



საფლავი ახალი, რომელსა არავინ დადებულ იყო. მუნ დასდევს გუამი იგი იესუსი პარასკევისათს ჰურიათაჲსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი“ /იოანე 19,42/. ერთ-ერთმა საიდუმლო მოწაფემ, ნიკოდომოსმა, „მოიღო აღრეული მურისა ალოასა ვითარ ახი ლიტრაჲ“ /იოანე 19,39/. ქრისტეს ცხედრის გარდამოხსნისა და სუდარაში შეგრაგვის შემდეგ აკლდამაში ჩაასვენეს მაცხოვრის სხეული „სულენელთა მათ თანა“ /იოანე 19,40/. ნელსაცხებლებმა სუდარა გაჟღინთა. მეცნიერული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ალოე, რომელიც აკლდამაში ჩაყოლებს მაცხოვარს, შეიცავს ალოეტინს — ნივთიერებას, რომელიც ადვილად იფანგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასზე ტუტე მოქმედებს. ალოე, რომლითაც წმიდა სუდარა იყო გაჟღენთილი, ჟანგვისას გამოქვდა. მაცხოვრის სხეულმა უხვად გამოჰყო აიმაკური ორთქლი, რომელმაც ხელი შეუწყო ალოესა და ზეთის ჟანგვას, რის შედეგადაც წმიდა სუდარაზე იესო ქრისტეს სხეულის ნეგატიური გამოსახულება გაჩნდა.

მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ აღამიანის სხეული წინასასიკვდილო აგონიის დროს, რასაც თან ახლავს საშინელი კრუნჩხვები, გამოჰყოფს ძალიან დიდი რაოდენობით აიმაკურ ორთქლს. მაცხოვარი იესო ქრისტე „ჩვენი ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა, და მარამისაგან ქალწულისა და განკაცნა“ /მრწამსი/. და მისი ვნებანი ისეთივე იყო, როგორც ყველა ჯვარცმული კაცისა, რომ არაფერი აღამიანური არ იყო მისთვის უცხო და მის სხეულშიც იგივე ხდებოდა, რაც ყოველი აღამიანისთვისა და მახასიათებელი. მაცხოვრის ტანჯვა სასტიკი იყო. იმ დამის უძილობა, როცა შეიპყრეს, წინა დღის მოგზაურობა, ჯვარცმის დღეს პილატესთან მისვლა, პილატესგან-ჰეროდესთან, ჰეროდესგან ისევ პილატესთან, ჯვრით სვლა გოლგოთაზე და ბოლოს ხანგრძლივი აგონია ჯვარცმის დროს.

20. იესო ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსელი, რომელთაც მაცხოვრის კვართი შეისყიდეს ერისაგანისაგან და წმიდა სამოსელი საქართველოში ჩამოასვენეს. მათ ქალაქ მცხეთასთან შეეგება „დაა ელიოზისა“. კვართი უფლისა გამოართვა მძის, მიისვენა მკერდზე და „ადმოხდა სული“. ელიოზმა „დამარხა დაა თუხი და ხელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისა“, რომელიც ვერავითარი ძალით ვერ გამოართვეს მკვდარს ხელიდან. იქ, სადაც გარდაცვლილი დაკრძალეს, აგებულ იქნა ნიში /IV ს/ „კვართისა ზედა საუფლისა“, შემდეგ კი, დიდი ტაძარი-სვეტიცხოველი.

„და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისა, გარდამომავალი ქუეყანასა ზედა“ /ლუკა 22,44/. მისგან არ განუბანიათ მაცხოვრის სხეული იოსებ არიმათიელსა და ნიკოდომოსს. ამის უფლებას იუდეველთა კანონი არ აძლევდა მათ. „არა ჭამოს მან სიწმიდეთაგან, ვიდრე არ დაიბანოს გუამი მისი წყლითა და დაჰკდეს მზე და წმიდა იყოს და მაშინდა ჭამოს სიწმიდეთაგანი“ /ლევიტელთა 22,7/. მაცხოვრის ცხედარი კი გარდამოსსნეს ღამით „ვითარცა შემწუხრდებოდა“ /მარკოზ 15,42/. ამდენად ქრისტეს საიდუმლო მოწაფეებს საწესჩვეულებო რიტუალის შესრულების არც შესაძლებლობა ჰქონდათ, არც

დრო. რადგან „იყო პარასკევი, შაბათად განთენებოდა“ /ლუკა 23, 54/.

ამ საშინელი ტანჯვისა და გვემის ამბავი შემოინახა წმიდა სუდარამ; ტანჯვა-გვემისა იესო ქრისტესი, რომელიც „ჯვარს ეცვა ჩვენთვის, პონტოელისა პილატესზე, და ივნო და დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა“ /მრწამსი/. ამას მოგვითხრობს სახარება. ამასვე მოგვითხრობს წმიდა სუდარა.

„ხოლო ესე დაიწერა, რაათა გრწმენეს, რამეთუ იესუ ქრისტე არს ძე ღმრთისაჲ და რაათა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა“ /იოანე 20, 31/.

ბამოყვინებულ ლიტერატურა

1. „ქართლის ცხოვრება“. ტ. I. აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია. სახელგამი. თბილისი. 1955 წ.
2. კვარტი უფლისა. „ჯვარი ვახისა“. №1. თბილისი. 1982 წ.
3. შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. გამომც. „მეცნიერება“. თბილისი. 1984 წ.
4. თ. ბურჭულაძე. ქრისტეს მხედარი. „საღვთისმეტყველო კრებული“ 1982 წ.
5. საღმრთო ისტორია ახალი აღთქმისა. ტფილისი. 1869 წ.
6. Арутюнов С., Жуковская И. Туринская Плащаница. «Наука и религия». №9. 1984 г.
7. Кондаков Н. История византийского искусства и иконографии по миниатюрам греческих рукописей. Одесса. 1876г.
8. Пахарнаев А. Исследование о подлинности изображений лика и Тела Христа Спасителя на Туринской Плащанице. С.-Петербург. 1903 г.
9. K. F. Weaver. The Mystery of The Shroud. National Geographic. vol. 127. №6. 1980.

0. შიშხელაია



გელათი. ტონდო. წმიდა მამა ლომე. XI ს.

მკარქიების ცხოვრებოდას

ბოღბის ეპარქიაში

ქართლის მოქცევის მატინე გეამცნობს: ოდეს სანატრელმა ნინომ, თანადგომითა დეთისშობელისა, განანათლა ქართველთა ერი, მოვლო მთიანეთი და ჭართალელთა, ფხო; ელთა, გულამა ყრელთა, წილკანელთა, ერწო - თიანეთელთა და კახელთა შორის ჰქადაგა „სიტყვითა ტკბილთა სარწმუნოება ჭეშმარიტი“ - აღასრულა სრბაა თვისი, „დასწეულდა და /კახეთიდან/ წარემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთს, დაბასა, რომელსა პრქვიან ბოდინი, ვერდარა ეძლო სლვად...“

და, ამ სახელ, სოფელ ბოდინს საუკუნო ძილს მიახლებულმა მოციქულთსწორმა „შეპვედრა სული თვისი უბოწოა ხელთა დამბადებელისა თვისისათა, რამეთუ აღასრულა ყოველივე მცნებაა ღმრთისა... და დაგვაობლნა ჩვენ ახლადშობილნი ჩჩვილნი უმეცარნი. და ფრიად შედრწუნდი სულითა ჩემითა და ყოველი ნათესავი ჩრდილისაა აღივსო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მზეცა სი-მართლისაა და მო-ოდენ-ფინილ იყო ჭეშმარიტი. და დაფარა დრუბელმან წმიდაა ნინო. ხოლო წმიდაა იგი ყოვლადვე ნათელსა შინა არს და ყოველთა განგევანათლებს. ხოლო მე განვიზრახე წმიდაა იგი გვაში მისი რაათამცა წარმოვიდე გულსმოდგინებითა დიდითა აქა /მცხეთას/, წინაშე სვეტსა ნათლით შემოხილსა და არა ვპოვე ღონე ყოვლადვე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი... მაშინ დაგმარხეთ წმიდაა იგი გვაში მისი ბოდს, დაბასა კახეთისას“. - გეამცნობს მეფე მირიანი, ქართველ ხელმწიფეთაგან პირველი ქრისტიანი, რომელმაც თურმე ანდერძად ეს დაუბარა თანამეცხედრეს: „აჰა ესერა მე წარვალ, ვინადაცა მოვედ. ხოლო შენ, ნანა, სკუთუ გეცეს მოცალება ცხოვრებისა შემდგომად ჩემსა, განყავ სამეფო ჩემი ორად და მიიღე სამარხვოსა წმიდისა ნინოასსა ჟამთა შეცვალეებისათვის, რათა არა შეირყოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა საუღომი არს, მწირ არს ადგილი იგი. ვგრვე ვევედრებ მთავარეპიკოპოსსა, რაათა დადვას დიდებაა მის ადგილისაა, რამეთუ ღირს არს პატვიისცემისა“.

მადლმოსილი მეფის ანდერძი შთამომავლობამ აღასრულა: წმიდა ნინოს საფლავი - ბოდბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია და ეპარქია-ქართლოსიანთა შორის ისტორიის ქართველთა ჟამს მართლმადიდებლობის გან-

მაცხოველებელი სავანე, ერის სინდისისა და ზნეობის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის წყარო იყო. ამიტომაც ძნელბედობისას ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალი სწორედ მათივე განმანათლებლის სამარხს მიაშურებდნენ ხოლმე და შემწეობას, მტერთა ზედა გამარჯვებას გამოითხოვდნენ მისგან.

ჭეშმარიტებაა: შობლის საფლავი ნაშიერთა სვე-ბედსა და კაცობაზე მტკველებსო - დაიფიწყო თუ არა მონაგარმა იგი, სულით ცხოველ არიან თუ დაცემულან, ან მოკვდარან ძენი და ასულნი მისნი. ბოდბის სავანეც ბევრ რასმე გეამცნობს: მის საძირკველს ახსოვს ქართლის ცხოვრების ყველა ფურცელი-ერის ზეობაცა და დანინებაც. თუკი მის კვიპაროსთა მღუმარებას ყურს ვთხოვებთ, გვიამბობს, ოგადახილი და ვალმოხილი მშობელის ღარად, რანი ვიყავით - რანი ვიქნებით; გვასწავლის, თუ ვით ძაღვგვამს მოვიპოვით უფლის წინაშე მადლი; გვახარებს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

ამგვარი სწავლით შთაგონებული მამულიშვილები ხარობდნენ, თუკი პატვიდებულს იხილავდნენ განმანათლებლის საფლავს. აი რას სწერდა დიმიტრი ყიფიანი 1863 წელს არქ. მაკარის, ვინაც, 1862 წელს სიღნაღის სამღვდელთა კრების დადგენილებითა და მღვდელ გრიგოლ კარბელაშვილის დახმარებით ბოდბის მონასტერში ქართული გალობა

ააღორძინა და შენობაც შეძლებისამებრ შეაკეთა: „პირველად რომ ველირსე მუხლის მოდრეკასა სანატრელის საფლავის წინაშე, გულიცა ჩემი მოდრეკილ-იქნა მწუხარებისაგან, რომ სიძველე მტრად ეტყობოდათ ტაძარსაცა და სხვა შენობათაცა. ამ მისის /4/ მეორედ შემხვდა მუნ ყოფნა და გული ჩემი დასტება, რა ვიხილე განახლება ყოვლისა ძვირად დასაფასებელითა ღვაწლითა თქვენითა. სული ჩემი დასტება, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენი ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული და საამოდ შეთანხმებული“.

სამშობლოსათვის მოწამებრივად აღსრულებული დიმიტრი ყიფიანისა და არქ. მაკარის სადარ მამულიშვილთ იმხანად სადარდელი და საზრუნავი უხვად ჰქონდათ.

გასულ საუკუნეში, მეფის სახელმწიფო აღმინისტრაციის უსულგულობისა და მრულე ეროვნული პოლიტიკის წყალობით, ხელოვნების ბევრი შედევრი საჯალალო დღეში იყო. ამ მხრივ არც ბოდბის მონასტერი წარმოადგენდა გამონაკლისს. ეს ეპარქია, სადაც მოღვაწეობდნენ XVII-XIX საუკუნეების ჩინებული ეპისკოპოსნი: ზაქარია ბოდბელი /XVII/, ონოფრე ბოდბელი /XVIII/, იოანე ჯორჯაძე /XVIII/, დავით ბოდბელი და იოანე მაყაშვილი /XIX/ და რომელიც ასობით სამრეკლოსა და მღვდელმსახურს აერთიანებდა, 1817 წელს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ბრძა-

ბოდბის მონასტერი





მთავარეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი)

ნებით გაუქმდა, ხოლო ბოდბის კათედრალი რიგით ეკლესიად გამოცხადდა. ვასული საუკუნის 20-იან წლებში, ქიხიყისა და სიდნაღის მიტროპოლიტ იოანეს /მაჟაშვილის/ თაოსნობით, ეს ეკლესია — ე.წ. სამწვეიანი ბაზილიკა — საფუძვლიანად შეაკეთეს და იმდროისათვის ყველაზე დახელოვნებულ ოსტატებს მოახატინეს; ამასთანავე, 1889 წელს გაიხსნა ბოდბის დედათა მონასტერი, რომელთანაც დაარსდა სამასწავლებლო სკოლა — „ქალთა გიმნაზია“ და ქსენონი /საჯადმოფო/; არქ. მაკარის მცდელობით, როგორც აღნიშნეთ, აღორძინდა ქართული გალობაც. ცნობილი საეკლესიო მწერალი, ბერი მიხეილ-გობრონ საბინინი მხრუჭეულობას არ აკლებდა განმანათლებლის საფლავს, მაგრამ მდგომარეობა მაინც არასასურველი იყო.

სავალალო ყოფას კი მიხეზთა რიგი განაპირობებდა. აი რას გვაძინებს ქართული კულტურის სხეულებული მოამბე, საბინინი, მიწაწერში მისივე საფასით საგანგებოდ განმზადებულსა და ბოდბის კათედრალისადმი შეწირულ წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატზე: „წელ. ჩეპზ ავვისტოს კდ დღესა აღუასრულე წმ. ხატი ესე წმ. ნინოს სამარხო ეკლესიისათვის, შე მრავალცოდვილმან მიხაილ საბინინმან, ოდეს დრო იყო ფრიად შევიწროებული. მრავალ ღირსი ვარ. მონასტრის აღშენებაზედ მდევნის ვგზარხი პავლე და აყენებს საქმესა. ჰკითხოს დღერთმან ამისთჳს — ამინ... ჩეპზ /1887/წ“.

ბოდბის წმ. გიორგი მთავარმოწამისა და წმ. ნინოს სახელობის სავანე ასე გამოიყურებოდა: ეკლესიის გალავანში იდგა ბარაკები /ხალხმრავალი საერთო საცხოვრებლები/, არ იყო დაცული სანიტარული ნორმები, არ არსებობდა საეპარქიო-საეპისკოპოსოს სახლი. ეს ეპარქია განახლდა 1917 წლიდან, ნინოწმი-


დის სახელით. მაგრამ მონასტერი, თითქმის 30 წლის განმავლობაში, 1957 წლამდე, დაქვრივებული იყო მღვდელმსახურებისაგან.

ამ დღეში იყო ბოდბის მონასტერი და მთელი ეპარქია, როდესაც თბილისის წმ. სიონის არქიმანდრიტი ათანასე /ჩახვაშვილი/ 1979 წელს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსად აკურთხეს და მღვდელმთავრად გაამწესეს იქ.

რწმენითა და მისწრაფებით შეუდგა მოღვაწეობას მეუფე ათანასე და მასთან ერთად — თანადგომით — მისი და მარინე დიერაშვილი /ეკლესიის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე/ და ბოდბის კათედრამაც სულ მაღე, რამდენიმე წელში, სასიკეთოდ იცვალა ფერი.

აღვიწივით, ბოდბის სამრევლო საბჭოში, გვიამბებს, რომ ტაძარში, თურქე, ადრე სრული უწესრიგობა იყო. თითქმის ყოველი კუთხე-კუნჭული სათავსოდ იყო გამოყენებული. საჭირო იყო, პირველ რიგში, ტაძრის შიდა ხედის დასუფთავება, შემდეგ — შემოგარენის მოვლა-პატრონობა. მართალია, საქმე მძიმე და შრომატევადი იყო, მაგრამ მოკლე ხანში ყველაფერი გაიწმინდა. ადებულ იქნა ბარაკები და სხვა არასამონასტრო ნაგებობა, მოპირკეთდა გზა, გაასუფთავეს კედლები, გამოაწვეეს ორსართულიანი საეპარქიო სახლი და, რაც მთავარია, შეიქმნა პირობები რეგულარული ღვთისმსახურებისათვის.

... და, თუკი, დიმიტრი ყვიფანის მსგავსად, ისევ ეწვევით ბოდბის სავანეს, დაგეუფლებათ სიხარული და მადლიერება მათდამი, ვინც საქმით აღსრულებს სანატრელი მეფის ანდერძს: „უკეთუ გეცეს მოცალბა... მოიღე /ანუ გაიღე შესაწირავი/ სამარხოსა წმიდისა ნინოასსა... რათა არა შეირყოს უკუნისამდე /ფს. 111,6/ ადგილი იგი“.



კახის რაიონი. სოფ. მთისძირი. წმ. გიორგის სახლის სამრევლო. XVIII ს.

ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები ინგილოურ ნაქსოვებში

ქართული კულტურის სხვა საკითხებთან ერთად, საყურადღებოა ხალხური სამოსლის შესწავლაც. ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელია ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ფოლკლორულ და სხვა მასალათა გაშუქების ფონზე.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს ცნობით, კავკასია — შავი ზღვისპირეთი, ანუ კოლხეთი და აღმოსავლეთი საქართველო კასპიის ზღვამდე, განთქმული ყოფილა სელის მოყვანითა და შალის წარმოებით.

წინამდებარე მასალა შეეხება აღმოსავლეთ ჰერეთში, კერძოდ, საინგილოში შემორჩენილი ზოგიერთი ნაქსოვის შინაარსს.

საინგილოში ძაფის დართვისა და ქსოვის პროცესების აღმნიშვნელი ტერმინები და სახელწოდებები, მისი ოდნავი, დიალექტური სახესხვაობით, ძირითადად, ქართულის შესატყვისია.


ინგილოების რწმენა-წარმოდგენით აბრეშუმის უხვმოსავლიანობა განპირობებულია ღვთის ძალებით. ბოლო დრომდე მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებით შემორჩენილი რიტუალები ძალზე საინტერესოა.

ძველად, აბრეშუმის ჭიას იმ ოთახში, სადაც თვითონ ცხოვრობდნენ, დააფენდნენ ტოლებად¹, ხოლო სადაც ეს უწყინარი „საბარაქო“ ჰყავდათ, არ შეიძლებოდა ხმაური, მისი „ტოლების“ შერხევა, რომ ჭიას თავბრუ არ დახვეოდა. ოჯახში მოსულ სტუმარსაც იშვიათად ანახვებდნენ მას, რათა ჭია არ გათვალულიყო და მოსავალი არ გაფუჭებოდათ. /ეს ჩვეულება საქართველოს სხვა რაიონებშიც გვხვდება/.

აბრეშუმის ჭიის კულტთან დაკავშირებით, საინტერესოა ახალი წლის დილას თუთისა და თხილის ახალგაზრდა ტოტების შემოტანა ოჯახში და დედაბოძის ირგვლივ ჭერში დარჭობა. ტოტები შემოჰქონდათ ოჯახის ახალგაზრდა ვაჟებს შემდეგი შეძახილით; „ღმერთო, დიდ საყდარო! ემ წელს შენ თუთა და თხილივი ბეურ ქენ აბრაშუნი პარკ“.

აბრეშუმის უხვმოსავლიანობასთანა დაკავშირებული აბრეშუმის ჭიის გარკვეული ნაწილის „სამხტოდ“

1. „ტოლი“ — ჩალის ლასტებზე დაწყობილი თუთის ქორთა ტოტები, რომლითაც იკვებება აბრეშუმის ჭია.



„დიდჯარიან წინდა“. სოფ. კახისტავი მქსოველი თინათინ ტარტარაშვილი (80წლისა).

/სადღოთ/ დაფენის წესიც. წმიდა გიორგისათვის შესაწირავსა და ოჯახის ყრმის სახელზე დაფენილი ჭიის გარკვეულ ნაწილს „ფარაქალი“ ჰქვია. მისგან მიღებულ პარკს ცალკე ამუშავებენ და ართავენ. მიღებულ მკედს ინგილოები „წმიდა გიორგიითუნ დაპირეულს“ უწოდებენ, რომელსაც შემოდგომაზე შესწირავდნენ ქურმუხის წმიდა გიორგის, როგორც შეუღლებავი, ისე ქსოვილის სახით. ყრმის სახელზე მოყვანილი პარკისაგან ქსოვდნენ პერანგს და ჩააცმევდნენ საეკლესიო დღესასწაულებზე. სალოცავთა კარზე ძაფის მიტანა /თითისტარით, ან ისე/ საყოველთაოდ გავრცელებული წესი იყო საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რაც ნიშნავს უწყვეტ კავშირს, დაუსრულებლობას ხატისა და წმიდანის მიმართ. სამეგრელოში ამ რიტუალს ასრულებდნენ ბამბისა და სელის ძაფების მიტანით, სადაც შესაწირავ თითისტრებთან ერთად, ხატის წინაშე დააღაგებდნენ ზედაშეს, სანთელ-საქმეველს და სხვ.²

საინგილოში აღნიშნული რიტუალი სრულდება აბრეშუმის ძაფის შულოსთან³ ერთად ზედაშის, წითელი ლავაშების, წითელი კვერცხებისა და სანთლების მიტანით.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ირკვევა, რომ აბრეშუმის წარმოება, მისი გამოყენება და მხატვრულ-ესთეტიური ღირებულება წარსულში უფრო მეტი ინტენსივობისა და აუცილებლობის მომცველი ყოფილა.

ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის /იგულისხმება დღევანდელი ინგილოები/ ნაქსოვები ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში აღწევს დასრულებულ ფორმას. ამ მხრივ საინტერესოა ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობა, რომ „კასპიის ზღვის დასავლეთით გადაჭიმული მთა-კავკასიის ძირში მცხოვრები ტომები /ამ ტომებში უშუალოდ უნდა ვიგულისხმოთ ძველი ჰერული ტომიც/, გარეული მცენარეების ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილია მასში“.

მართლაც, თუ ახლოს გავეცნობით ინგილო ქალების მიერ ხალხური მცენარეულობით ძაფის დებვისა და დამუშავების პროცესებს, დავრწმუნდებით, რომ სავსებით ბუნებრივია ზემოთ მოყვანილი დახასიათება. ადგილობრივი მეთოდით შედებილი შალის ძაფისაგან მოქსოვილი ჯუჯიმები, ფარდაგები, ხურჯინები, ჩოხები, ქალისა და მამაკაცის წვივსაკრავები, ცხენის მოსართავი თუ სააკვნი თასმები, ნაირნაირი ჩუქურთმებით შემკული წინდები, საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალებისათვის საჭირო სასუფრე შალის ტაბლები არა თუ ფერს იცვლის რეცხვაში, არამედ უფრო ხასხასა და მეტყველი ხდება.

მოქსოვილი მასალის ზედა მხარე შემკულია გეომეტრიული ჩუქურთმებითა და მცენარეთა და ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით: ნამგალი, ვახის მტევანი, ადამიანის გული, მზე, ჯვრები, ჯიხვისა და ირმის რქები, ყონის, ანუ იგივე ვერძის თავი და სხვ. რის მიხედვითაც თვითველ ნაქსოვს თავისი სახელწოდება ჰქონდა.

ნაქსოვებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს წინდები.

სამამაკაცო წინდებში მთავარი ადგილი უჭირავს სამეურნეო იარაღ-ჭურჭელსა და მცენარეულ-ცხოველურ ჩუქურთმებს, როგორცაა „კავებიანი“ წინდა, „კვერის“ გამოსახულება, „ფარი ჭრელი“, „ყონის ქებევანი წინდა“, „მტევნევიანი“-ი /ამოქარგულია ყურძნის მტევნები/ „მამლევიანი“, „ლულიანი“⁴ და „დიდ ხაჩიანი წინდა“, ამ სახელწოდების წინდის მუქ-ენდროსფერ ფონზე გამოკვეთილია „დიდი ხაჩები“ ანუ იგივე დიდი ჯვრები.

ძველად ინგილო მამაკაცები ყელზე მოსახვევად ხმარობდნენ შინაქსოვ „თეთრ ბაშლიყს“, რომელზეც „წითელი მამლები“ იყო გამოსახული. ფეხზე სამოსად კი „წითელ მამლევიან წინდას“. მიუხედავად იმისა, რომ წინდის სახეებში ფართო ადგილი უჭირავს ფრინველთა გამოსახულებებს: ხობობს, კაკაბს, კატკატს ჩიტს, ყვავს, მერცხალს, ფარშევანგს და სხვა, მათ შორის მთავარი მაინც „მამლის სახიანი“ წინდაა.

აქაურ ხალხურ ყოფაში „კაპრაში მამალი“ ქურმუხის წმიდა გიორგისათვის შესაწირავ ზვარაკს ჰქვია. მეორე შემთხვევაში თეთრი წინწკლებით დაფერილ მამალს კი უწოდებენ „რამ მამალს“, რაც იგივე ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიისათვის შესაწირავი ზვარაკია. მაგ: „ღმერთო შენ, ქურმუხი ქუაო, შენ სახელის ჭირიმენ, შენ კაა გაჰხად ჩემ ყმაწვილ, მენზე რამ მამალ დააკლევარ“. მართლაც, ამ „დაპირეულ რამ მამალს“ განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ და გიორგობის დღესასწაულზე ღვინით, სანთლებით, წითელი ლავაშებითა და წითელი კვერცხებით შესწირავდნენ ქურმუხის წმიდა გიორგის.

თუ რატომ ჰქვია შესაწირავ მამალს „რამი“, ამ მხრივ, მათი წარმოდგენა პასუხს იძლევა, „რომ წმიდა გიორგი“ „თეთრ რამზე“ ამხედრებული მოველინა ქურმუხის ხეობას, ანუ მათ“ და მისი სახელობის ზვარაკი-თეთრწინწკლებიანი მამალიც „რამად“ იწოდება.

დავუბრუნდეთ წინდის სახეებს. ერთერთ წინდაზე, რომელსაც „ხარბაბიანი წინდაა“ ჰქვია, ჩაქსოვილია ზარების ფორმის გამოსახულებები, რომლებიც ზევიდან აბრეშუმის ძაფითაა დაქარგული.

სავარაუდოა, რომ ეს ზარები საეკლესიო ზარების გამოსახულებაა. აღნიშნულ ზარებს შორის ხშირად, ჯვრებიც გამოყვანილი.

სადღესასწაულო-სასაჩუქრო წინდების რიცხვს მიეკუთვნება „დიდ ხაჩიან წინდაა“, ხაჩი ინგილოურად ჯვარს ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ჯვრის სახიანი წინდა“ ცალკე სახეს წარმოადგენს, ხოლო „დიდ ხაჩიანი“ კი ცალკე სახეს. „დიდ ხაჩიანი“ სადღესასწაულო, სანეფო-საქორწინო წინდების რიცხვს განეკუთვნება. წინდის „ჭრელის“ ნაწილში, შიბებს შორის დიდი ხაჩი, ანუ ჯვარი აბრეშუმის ძაფის გვირისტითაა გამოკვეთილი.

მოყვანილი მასალის მიხედვით, იბადება კითხვა, რატომ ჰქვია წინდის ერთ სახეს „დიდ ხაჩიანი“ და მეორე სახეს „ჯვარი სახეა“.

ცნობილი ეთნოგრაფის პროფ. ვერა ბარდაველიძის განმარტებით „ჯვარი და ხატი ამა თუ იმ ტომის ბატონ-

2. ნ. რეხვაშვილი „ჯარობა სამეგრელოში“, კრებულიდან „თედო სახოკია“, 1969 წ. გვ. 137.

3. შულო — გამზადებული ძაფის გრძელი ნახევარმეტრიანი ხვეულა.

4. ლული — ინგილოურად ეწოდება ნამგალს.


პატრონებია. ზოგჯერ ხატი და ჯვარი იგივე ტომის მიწი-
ერ საბრძანის გამოხატავს.⁴⁵ ამ შემთხვევაში, ინგი-
ლოურ ნაქსოვებში დარჩენილი „დიდი ხანი“ შეიძლება
წინ უსწრებდეს ქრისტიანობის გამოხატველ „ჯვარს“
ანუ „ჯვარის სახეს“ იგივე ნაქსოვების მიხედვით.

ჯვარ-ხატებთან დაკავშირებით, ვ.ბარდაველიძე იზი-
არებს რა ნ.პარის მოსაზრებას, ასკენის, რომ „უძველესი
საუკუნეებიდან მომდინარე ჯვარი-ძელს ნიშნავს, ხოლო
ხატი — ხანს, ხეს, რომლებიც ჩვეულებრივი ძელი და ხე
კი არ იყო, არამედ სათაყვანებელი ობიექტი — წმიდა ხე
— დაკავშირებული კოსმიურ და ასტრალურ მსოფლმხედ-
ველობასთან. კონკრეტულად ასეთი ხეებია მუხა და
ცაცხვი“.

წმიდა ხის — სათაყვანებელი ობიექტის მანიშნებე-
ლია საინგილოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწ-
მებული სალოცავების — „წმიდა ხეების“, ანუ „წმიდა
ტყეების“ არსებობა და, აგრეთვე, საფლავზე დასმული
მუხის ხის დიდი ჯვრები. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია
ვ. ბარდაველიძის მიერ განმარტებული „ხან“-ჯვარი მუ-
ხისა წარმოადგენდეს პირვანდელი ჯვრის სიმბოლოს,
შერწყმულს ქრისტიანობის აღმნიშვნელ ჯვართან, იგივე
სასაფლაოების მიხედვით. ინგილოური წინდა, რომელიც
ცნობილია „დიდ ხაჩიანი წინდის“ სახელით, ამრიგად,
შეიძლება პირვანდელი ცნების გამოხატველი იყოს; მით
უმეტეს, თუ წინდის სახეების მხრივ, მეორე შემთხვევაში
გვაქვს „ჯვრის სახიანი“ წინდა.

ზემოთ მოყვანილი წინდის სახეები, როგორც აღვ-
ნიშნეთ, წარმოადგენს სამამაკაცოს. არანაკლები ფერ-
დონებითა და შინაარსით ხასიათდება ქალის წინდები.
ამ წინდებს ინგილოურად ეწოდება „დედაკაცური წინ-
და“, რომლებზეც მთელი სიძლიერითა და ცხოველმყო-
ფელობით გამოირჩევა ქალის საქმიანობასთან მიმართე-
ბაში არსებული იარაღ-საგნები, სხვადასხვა ფრინველე-
ბი, ცხოველები და მცენარეები, როგორცაა „ჯარას“,
„ასტმის“, „ირმის რქებიანი“ და სხვა, რომელთა შორის
ცენტრში ყოველთვის ქრისტიანული ჯვარია გამოყვანი-
ლი. ამათგან ყველაზე ძნელი მოსაქსოვია და საპატიო
წინდას წარმოადგენს „წიგნი სახეა“. ამ სახელწოდების
წინდაზე, რომბისებური ფორმის ჩარჩოში გადაშლილი
წიგნის ფორმის გამოსახულებაა ჩასმული. რატომ ჰქვია
წინდას „წიგნი სახეა“ გაურკვეველია. თუ გავითვალის-
წინებთ, იმას, რომ თვითიული წინდა გამოირჩევა თა-
ვისი სახელწოდებითა და დანიშნულებით, მაშინ ადვილი
საფიქრებელია, ეს „წიგნი სახეა“ ლოცვანის, „სახა-
რების“, ანდა რომელიმე სხვა ძვირფასი სალოცავი წიგ-
ნის გამოსახულება იყო. ინგილოებისათვის ქურმუხის
საყდრის შემდეგ პირველი დასაფიცია „წმიდა სახა-
რევაა“. მაგ. „წმიდა სახარევაასმა არ ამიდი“, „წმიდა სა-
ხარევაასმა, არ მამიპარი...“ და ა.შ.

წინამდებარე მასალა, საშუალებას გვაძლევს, წარ-
მოდგენა ვიქონიოთ ინგილოური ნაქსოვების თავისებუ-



სოფ. ბახთალა (ხაგუმი) ღვთისმშობლის
კელესიის ერთი ხელი.


რებაზე. ძველი პერეთის, ანუ საინგილოს ტერიტორიაზე
დამკვიდრებული ხალხური ნაქსოვების შესწავლა და შე-
ჯერება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნაქსოვებთან,
იძლევა ერთ მთლიან სფეროს მათი გამოყენების, ხასია-
თისა და თვისებების მიხედვით.

ძველი ქართული ტრადიციების შენახვაში საინგი-
ლოში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვით ქალებს.
ქრისტიანული რწმენითა და იდეებით აღზრდილი ქალებ-
ბი, საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ და თაობიდან თაო-
ბას გადასცემდნენ ისეთ ძვირფას ხალხურ ხელოვნებას,
როგორცაა ქსოვა.

ზედმეტი არ იქნება თუ დავუმატებთ, რომ ინგილო ქა-
ლი დღესაც მოხელილ ცოშს მარჯვენა ხელის ყუით
ჯვარს დაუსვამს, ანდა ქორწილის დღეს სახლში მიყვან-
ილ პატარძალს პირჯვარს გადასახავს და სამჯერ შე-
მოატარებს კერიის, ან სახლის ირგვლივ და კარის
ზღურბლზე ჯვარდასმულ ცოშის გუნდას მიაკრევეინებს.
ყოველივე ამით ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ
წმიდა და ძლიერია ქრისტიანული ტრადიცია-რიტუალებ-
ბი, რომელმაც საბოლოო დაღუპვისაგან იხსნა ინგილო
ხალხი და თაობას შეუნახა წარსულის სიყვარული.

მ. ტარტარაშვილი

5. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე „აღმ. საქართველოს მთიანეთის ტრადიციუ-
ლი საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, 1974 წ. გვ. 70



წმიდა თევდორე. იენაში (ლატალი). XIV ს.

ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ქართული საეკლესიო ხელოვნების, ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერების შენახვა-მოპატრონების საქმეში სვანეთმა. იგი მარჯვე საფარი იყო მომხდურთათვის გადაძალადი საგანძურისა. ამიტომაც ეროვნული განსაცდელის დროს სწორედ იქ აპქონდათ საერო და საეკლესიო ფასეულობანი და სვანი მამულიშვილებიც საიმედოდ ინახავდნენ მათ: სისხლს ღვრიდნენ, ავს აშორებდნენ რწმენითა და მაღალი ოსტატობით შექმნილ საკრალურ საგნებს. იქვე, ადგილობრივ, იქმნებოდა, აგრეთვე, სავსებით უნიკალური, ზოგადქართული ტრადიციების საფუძველზე აღმოცენებული ხელოვნება, რომელმაც შარავანდედით შემოსა ჩვენი ერი.

სვანეთის საგანძურსა და მის ისტორიაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი /იხილეთ „ჯვარი ვახისა“, 1984, №2/. ამჯერად გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ შემდეგი:

სვანეთი ნათელყოფა იმისა, თუ რაოდენ დაემყნო სახარება ქართულ სულსა და ტრადიციებს, და, რაც მთავარია, ადგილ-მდებარეობით ეს მიუვალი კუთხე თუ რამდენად სრულყოფილად ეზიარა მსოფლიო-კათოლიკე ეკლესიის მარტიროლოგიონს ანუ წმიდა მოწამეთა კრებულს, რომელიც არის სიმტკიცე და საფუძველი ეკლესიისა. მართლაც, მთავარმოწამე გიორგი კაბადუკიელი, ყრმა კვირიკე და დედა მისი ივლიტა, ქალწულმოწამე ბარბარე, წმიდანნი: თევდორე სტრატელიატი და თევდორე ტირონი თუ სვანი მადლსა და წყალობას, ღვთის წინაშე მეოხებას არ აკლებდნენ სვანეთს.

განსაკუთრებით წმიდა მხედარნი მფარველობდნენ და ძალას ჰმატებდნენ სვან ვაჟკაცებს, რათა ყოფილიყვნენ მტერთა ზედა გამმარჯვენი და ჩინებულნი რაინდნი საღმრთო საქმისა.

ქართული საეკლესიო-სადღესასწაულო ისტორია

გვამცნობს, რომ წმიდა მოწამენი: თევდორე ტირონი /+306, მოვიხსენიებთ 17 თებერვალსა და დიდი მარხვის პირველ შაბათს /და თევდორე სტრატელატი/+319, მოვიხსენიებთ 8 თებერვალსა და 8 ივნისს/ ძველთაგანვე იქნენ პატივდებულნი ქართველთა მიერ. ჩვენმა წინაპრებმა XII საუკუნემდე თარგმნეს და ჩამოაყალიბეს მათდამი მიძღვნილი ცხოვრება — საგალობლების მდიდარი ციკლი, რომლის თანახმად ორივე მოწამე წმინდა მხედრად ანუ საღმრთო რაინდადასახელდებული. მათ, ჭეშმარიტი სარწმუნოებითა და სიყვარულით შთაგონებულებმა, შემუსრეს ბოროტი ძალა, რომელიც იმხანად გველვეშაპის სახით მოვლენოდა ქვეყანას. ამიტომაც ორივე მხედარს თანაბარი ღირსება და პატივი მიაგო ეკლესიამ. მათი ცხოვრების ეპიზოდებიც კი ჰგავს ერთმანეთს. ამის გამო ზოგ შემთხვევაში აღვლი აქვს მათი პიროვნებების აღრევას. ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს იკონოგრაფიაში: ძნელდება წმ. თევდორეს ანუ თეოდორეს ხატის იდენტიფიკაცია, ე.ი. რომელი თევდორე უნდა ვიგულისხმოთ ამა თუ იმ შემთხვევაში /ტირონი თუ სტრატელატი/? თუმცა, როგორც სპეციალისტები, არქეოლოგ-ხელოვნებათმცოდნენი, გვარწმუნებენ, სვანეთში შემონახული წმ. თევდორეს ხატები უმთავრესად წმიდა თევდორე სტრატელატის მოწამებრივ ღვაწლს ასახეიერებენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წმ. თევდორე სტრატელატის ცხოვრებამ და თავდადებად მართლაც უაღრესად მოხიბლა ქართველთა გული. ჯერ-ჯერობით დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ჩვენი წინაპრები XI ს-მდე იცნობდნენ თუ არა მის თავადადასავალს: ქართული მღვდელმსახურების უძველესი ძეგლის „იერუსალიმის განჩინების“ /V—VII სს/ კალენდარი თუმცა რამდენჯერმე /10 მარტი, 21 მაისი, 2 ივნისი, 2—3 ივლისი; 8 აგვისტო, 23 სექტემბერი, დიდმარხვის პირველი შაბათი/ მოიხსენიებს წმ. თევდორეს, მაგრამ, როგორც ამ თხზულების პირველმა პუბლიკატორმა კ. კეკელიძემ შენიშნა, იქ თევდორე ტირონი იგულისხმება. ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო კალენდრის მიერ თევდორე სტრატელატის ხსენების დღედ დაწესებული იყო 8 თებერვალი და 8 ივნისი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-10 ს-ის საეკლესიო მწერალ-არქეოლოგის იოანე-ზოსიმეს კალენდარში — „კრებაჲ თთუეთა წელიწადისათაჲ“ — 8 ივნისსა /და, აგრეთვე, 9 თებერვალს/ მოხსენიებული თევდორე წმ. თევდორე სტრატელატი და, ამდენად, აღნიშნულ ეპოქაში ამ მოწამის ქართულ ვორტალოგია — კალენდართან ზიარება უკვე ფაქტია. 1013 წელს წმ. ექვთიმე მთაწმიდელსა და, შემდეგ, ვინმე ანონიმ კალმოსანს ბერძნულიდან უთარგმნიათ ხსენებული წმიდანის „წამება“, ხოლო გიორგი მთაწმიდელს მის მიერვე თარგმნილ „დიდ სვინაქსარსა“ და „თენში“, როგორც მოსალოდნელი იყო, საბატიო ადგილი მიუჩენია მისთვის: გადმოუქართულებია წმ. თევდორე სტრატელატის სვინაქსარული საკითხავი და განგება-საგალობელნი.

ვინაიდან წმიდა თევდორე მხედრის ცხოვრებისა თუ აღსასრულის სულისმარგებელი ამბავი საზოგადოებისათვის არც თუ ისე ცნობილია, წარმოვადგენთ ხსენებულ „წამების“ მოკლე შინაარსს.

მართლმორწმუნე თევდორე მხედარი ანუ სტრატელატი ცხოვრობდა და მხედართმოვრობდა არაკლიაში /პონოს სამეფო/. იყო „კაცი შუენიერი ხილვითა და ბრძენი გონებითა, ჭაბუკი პასაკითა, ხოლო მოხუცებული სათნოებითა და ბრძოლათა შინა უძლეველი. და განშრახი ქებული, რომელისთვისაც პატივ-სცემდეს მეფენი“. მან ერთი ქრისტიანი ქვრივი დედაკაცის ეზოში სასწაულებრივ განგმირა გველვეშაპი და დაამშვიდა საზარელი მხეცის მიერ დამაშვრალ-შეძრწუნებულნი, რის გამოც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. ერთხელ თავის სამკვიდრო-სამფლობელო ქალაქში — არაკლიაში მან მიიწვია პონტოს ახალი მმართველი მეფე ლიკინოსი, რომელსაც ქრისტეს რჯულის მოსაპობა ჰქონდა განზრახული. ხელმწიფემ უბრძანა მხედართმთავარს კერპებისათვის მსხვერპლშეწირვა. ქვეშევრდომმა კი შემუსრა ოქროვერცხლისაგან გამოძერწილი „ღმერთები“ და თავად ისინი შესწირა ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა „წარსამატებლად“. ამ ფაქტით აღბორცებულმა ლიკინოსმა ტანჯვა-წამება და სიკვდილი მიუსაჯა „ქრისტეს მხედარს“: ჯვარს აცვეს და ისრებით დამსჭვალეს მისი სხეული. ველებს ეგონა, მოკვდაო, მაგრამ ღმერთმა სასწაულებრივ განკურნა იგი, ხოლო ჯალათებს, მოწამებრივი თავდადებისა და სასწაულის მხილველთ, გულს შემოეგზნით ღვთის სიყვარული და აღიარეს მაცხოვარი... ბოლოს კი „თავადმან ილოცა ქრისტეს მიმართ და წარუპყრა ქელი მახვილსა და გვირგვინი წამებისა დაიდგა“.

წმიდა თევდორე სტრატელატისადმი

ტ რ ო კ ა რ ი. ზაა ღ.

მხედრობა ჭეშმარიტი, ღმერთშემოსილო, ზესთა ცათა მხედართმთავრისა და მეუფისა ბრწყინვალედ მოიგე, თევდორე, რამეთუ ჯვარი, ჭური სარწმუნოებისა, შეიჭურე გონიერებით და მოსარ ეშმაკთა ბანაკი და ძლევა-შემოსილად მოღვაწედ გამოჩნდი. ამისთვისცა მარადის განატრით მორწმუნენი.

კონდაკი, ზაა ბ.

სიმხნითა სულისათა განიმტკიცე სარწმუნოება და სიტყვა ღვთისა, ვითარ ლახვარი, ხელთ იღვე და მტერი დასწირტე, მოწამეთა შორის დიდებულო თევდორე. მათ თანა ქრისტესა ღმერთსა ევედრე დაუცხრომელად ჩვენ ყოველთათვის.

ქართული იკონოგრაფია და ეთნოგრაფია გვამცნობს, რომ წმიდა თევდორე სტრატელატისადმი განსაკუთრებული ერთგულება და სასოება სვანებს გამოუხატავთ. მათ ფრესკებზე და ჭედურ ხატებზე აღუბეჭდავთ ძლევაშემოსილი და საკვირველმოქმედი მხედრის სახე და ამ ხატებისადმი ადვლენილი ლოცვების მადლი. ეს წერილიც წმიდა თევდორე სტრატელატის სასწაულმოქმედი ხატის ერთ ამბავს ეხება. მას ბევრჯერ მიუმადლებია წყლობა და ლოცვა-კურთხევა მსასოებელთაგან, სვანი

მორწმუნეებისადმი, რომლებიც სათუთად ინახავდნენ ამ საფიცარს ეს არცაა გასაკვირი: იგი ხომ სათნო და ჭეშმარიტი სახეა იმ წმიდა მხედრისა, ვინაც, წმ. გიორგი კაბადუკიელის მსგავსად, განგმირა გველეშაპი და სიკვდილისაგან იხსნა ბევრეულნი.

უკეთურ ძალებს თუძცა ბევრჯერ უცდიათ მისი ხელყოფა, მაგრამ წმ. თევდორეს მადლით, სირცხვილელუნი და პატივყრილნი დარჩენილან. ცხადია არც დღეს განძარცვია ძალა და კეთილი ნება ამ სიწმიდეს...

1978 წლის დეკემბერში ლატალის იენაშის ეკლესია გაძარცვეს და მუზეუმის ქონება დაიტაცეს. მათ შორის იყო წმიდა თევდორეს ხსენებული ხატიც. იგი საზღვარგარეთ, ლონდონში (კერძო კოლექციაში) აღმოჩნდა.

როგორც ხელოვნებათმცოდნე რუსუდან ყენია გვამცნობს /იგი წლების მანძილზე მუშაობს სვანეთში დაცულ ჯვარ-ხატების რესტავრაციასა და მათს მეცნიერულ შესწავლაზე/, წმიდა თევდორეს ხატი მიეკუთვნება იკონოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც გვიდასტურებს სვანეთში ადგილობრივი საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობას. მასზე თვალნათლივ არის ასახული ამ სახელოსნოსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რის გამოც წმ. თევდორეს ხატს, სულიერ-რელიგიურთან ერთად, ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭება. წმ. თევდორეს ხატის მეცნიერული შესწავლა ერთხელ კიდევ ადასტურებს სვა-

ნეთის მოწინავე როლს საქართველოს ცხოვრებაში.

გრძელი და რთული გზა განვლო „წმიდა თევდორემ“. მისმა ახალმა პატრონმა იგი ჟენევის მუზეუმში მიიტანა შესაფასებლად. და ჩვენთვის ალბათ საძუღამოდ დადუპული იქნებოდა, რომ ამ კოლექციონერს არ დაბადებოდა ხატის ზუსტი დათარიღების სურვილი, რისთვისაც ფოტობირი შესამოწმებლად საქართველოში გამოგზავნეს. სპეციალისტებმა მაშინვე იცნეს წმიდა თევდორეს ხატი და, რა თქმა უნდა, საქმეში ჩარიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც საბოლოო სიტყვა თქვა და, აი, ჟენევაში მოეწყო სასამართლო. იქ წარდგენილ მრავალ მამხილებელ საბუთს შორის, ალბათ, გადაწყვეტი როლი ითამაშა სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ ლატალის იენაშის ეკლესიაში დაცული ჭედური ძეგლების აღწერილობამ, რომელიც ჩატარებული იყო 1974 წლის 30 აგვისტოს, და ამავე წელს გადაღებულმა ფოტოსურათმა, ე.ი. დამადასტურებელმა ფაქტებმა, რომ ეკლესიის გაძარცვამდე ხატი სვანეთში, იენაშის ტაძარში ინახებოდა. „წმიდა თევდორე“ სამშობლოში დაბრუნდა და მორწმუნე ერს შესაძლებლობა მოგვანიჭა, ჩვენს წინაპართა მსგავსად, დამწვიდებული სინდისითა და ვალმოხილვებით ყოველ 8 თებერვალსა და 8 ივნისს ვიდღესასწაულოთ დეაწლით შემოსილი თევდორეს საქმენი საკვირველნი.

ნ. კაკაშვილი



ვარძია. ლეთისშობლის მიძინების ტაძარი. ამაღლება. დეტალი. ქტიტორი-რავტი საურმელი, ქართლის ერისთავი. მხატვარი გიორგი. XII ს.

ცნობები საზღვარგარეთიდან

როგორც ჩვენს მკითხველებს და საერთოდ, ეკლესიის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს მოეხსენებათ, ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები სხვა ქვეყნების ეკლესიებთან. მრთელდება წარსულის ჩაწვეტილი უსუკები, ჩნდება ახალი, იზრდება თვალსაწიერი, ფართოდება პორიზონტი... საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობენ მსოფლიოს მთელი რიგი საერთაშორისო თათბირებისა და კონგრესების მუშაობაში. მსოფლიოს თითქმის ყველა ეკლესიის /და არა მარტო ეკლესიის/ მოღ-

ვაწენი ჩამოდიან საქართველოში და ყოველივე თავის ბუნებრივ ასახვას ჰპოვებს საზღვარგარეთის რელიგიურ პრესაში, რადიოში, ტელევიზორში; ასევე იმ წერილებში, რომელნიც ჩვენი ეკლესიის მამამთავრისა და საპატრიარქოში მოღვაწე პირთა მისამართით მოდის...

ეს წერილები ძალზე ბევრია... მათში ამოიკითხავთ უამრავი მაღლობის სიტყვებს, შთაბეჭდილებებს... ასევე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, ცნობებს... რომელნიც მათ ავტორებს საქართველოს ეკლესიის ისტორიისა თუ მისი დღევანდელი ცხოვრებისადმი მიუძღვნიან.

ქართველი მკითხველისათვის მათში ახალი იქნებ არაფერი იყოს /განსაკუთრებით, ისტორიული ნაწილის მიმოხილვის დროს/, ზოგჯერ პირიქით, უზუსტობებიც კი გვხვდება, მაგრამ საერთოდ, ყოველივე ეს უსათუოდ საინტერესოა. ამ ხასიათის წერილებში შეტანილი ცოდნით ასახვას ჰპოვებს საქართველოს ეკლესიის ისტორია... ისტორია იმ კონტაქტებისა, რომელიც თანდათან იზრდება და ფართოვდება...

ქვემოთ, მკითხველი გაეცნობა მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე წერილს.

ბ ე რ ი ნ ი ლ ა ნ

დნმარიან კავკასიამდე

საქართველოს ცნობილი სამხედრო გზით ჩავედით თბილისში.

საქართველოს დედაქალაქის სამხრეთულმა მიწიდველობამ მაშინვე მოგაჯადოვა. აქ, ჩვენი ჯგუფის რვა წევრი მივიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II. საუბარი ძირითადად წარიმართა საეკლესიო და თეოლოგიურ თემებზე. მას შემდეგ, რაც ილია II კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, საქართველოს ეკლესიამ აღმავლობა განიცადა. ამჟამად საქართველოში ყველა 15 ეპარქიას თავისი მმართველი ჰყავს. ეკლესიის საეკლესიო სარგებლობის ხალხის ნდობით. იგი 1979 წელს აირჩიეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ ერთ პრეზიდენტად.

ილია II დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვატიკანში, 1980 წელს პაპ იოანე-პავლე II შეხვედრამ. „ორი მამა ბერესა და ანდრიასი კვლავ შეხვდა ერთმანეთს“ — განმარტა მან. კვირას, კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად აღვასრულეთ წმიდა ღვთისმსახურება სიონის უძველეს საპატრიარქო ტაძარში. წირვის დამთავრების შემდეგ ჯგუფის წევრებს ოფიციალურად მიესალმა კათოლიკოსი. ის და მღვდელი მარტინ ბაუერი ქრისტესმიერი სიყვარულით ეამბორნენ ერთმანეთს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ყველას გადმოგვცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლის ზეიმის აღსანიშნავად დამზადებული გულსაკიდი „ქართული ჯვრები. აღვილობრივი მრველი და, ჩვენდა გასაოცრად, მორწმუნე გულთბილად გვეხვეოდა. მაღლობს გვიხილდნენ გერმანული საეკლესიო გალობებისათვის, რომლებიც შევასრულეთ წირვის დამთავრების შემდეგ.


ვიყავით კახეთში. მეღვინეობის მხარეში /აღმოსავლეთი საქართველო/; მივიღო ალავერდის მიტროპოლიტმა გრიგოლ ცერცვაძემ თავის საკათედრო ტაძარში.

მოინახულეთ, ასევე, საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა. აქ მიადგინა მოციქულთა სწორმა წმ. ნინომ მეფე მირიანს მე-4 საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა.

მიუხედავად დიდი განსაცდელისა, რომელიც გამოიარა ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე, საქართველოში დღემდე ანთია ქრისტიანობის ნათელი.

ილა რაისნარი.

ჟურნალი „მართლმადიდებელთა ხმა“.



ე მ ე რ ი ნ ი ლ ა ნ

თჰვენო უშიღესობა

მაქვს ბატვი, კიდევ ერთხელ გულთბილი მაღლობა გადავიხადოთ იმ მშური და სტუმარმასპინძლური მიღებისათვის, რომელიც ჩემი ჯგუფის წევრებს მოუწევთ თბილისში 1984 წლის ივლისში. გულთბილ მაღლობას ვიხდით ჩემი ჯგუფის სახელითაც.

ვიგზავნით შთაბეჭდილებების ტექსტს, რომელიც ერთ-ერთ საეკლესიო ჟურნალში გამოვაქვეყნეთ.

ქრისტეს მიერ სიყვარულით თქვენი მარტინ ბაუერი

ალაბიანური და კელსიური უხვეპარის მშვერპალი ნიღურკაიმიდან კავკასიამდე

გზა კავკასიონის მთებში, ყაზბეგის გაველით მიდიოდა.

ესაა საეკლესიო ცნობილი, საოცარი სილამაზის, საქართველოს სამხედრო გზა, რომლის ნახვა მხოლოდ ზაფხულშია შესაძლებელი. იგი, მომაჯადოებლად რომანტიკული, მიუყვება მდინარე თერგის ნაპირებს და ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეზე. ფანტასტიკური ჯვრის უკლებილი. იგი უმაღლესია კავკასიონის უღელტეხილებს შორის. მივდიოდით ფრთხილად. ხშირად გვხვდებოდა საქონელს და ციცაბო ფერდობებზე შეფენილ ცხვრის ფარას. ასეთ ვიწრო, დამრეც ფერდობ-

ზე მხოლოდ ძალიან გამოცდილ მძღოლს შეუძლია უხიფათოდ მგზავრობა.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, სადაც ჩვენ საღამო ხანს ჩავედით, მილიონიანი ქალაქია. იგი სავსეა მრავალსართულიანი სახლებითა და სიცოცხლის რიტმით.

მეორე დღეს, ქალაქის დათვალიერების შემდეგ, ჯგუფის ერთი ნაწილი მივიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. საქართველოს ეკლესია მართლმადიდებლურია, რომელიც სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან დამოუკიდებლად არე-

ბობს. იგი 2000 წლისაა. დღეს საქართველოს ეკლესიაში 200-ზე მეტი მღვდელი მოღვაწეობს. პატრიარქი ილია II რამდენიმე წლის წინ არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ჩანს, რომ მან იცის გერმანული ენა, მაგრამ არ ლაპარაკობს. გავიცანით მისი რამდენიმე, ნამდვილად სიმბატიური თანამშრომელი: საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და ინგლისური და გერმანული ენის თარჯიმნები-ლოლო კელიაშვილი და დარეჯან ცხადაძე. გერმანული ენის თარჯიმანმა /ლ.ცხადაძემ/ თარგმნა ჩემი

სიტყვა, რომელიც მე წარმოვთქვი სიონის საპატრიარქო ტაძარში. წირვის დამთავრების შემდეგ, ჯგუფის სახელით, პატრიარქმა თვით თუელ ჩვენთან გადმოგვცა ქართული ჯგუფი, რომლებიც სპეციალურად დამზადებულ იქნა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით. მთელმა ჯგუფმა ვიმღერეთ ორი საეკლესიო გერმანული საგალობელი.

კვირას სიონის საპატრიარქო ტაძარში ვნახეთ ჯგირსწერა.

საქართველოში ყოფნის დროს ვეწვიეთ მედ-

ვინების მხარეს — კახეთის დედაქალაქ თელავს და დიდ ვაკეზე მდებარე ალავერდის საკათედრო ტაძარს. იქ მიგვიღო ამ ეპარქიის მცხოვრებმა მიტროპოლიტმა. დავათვალიერეთ ძველი დედაქალაქი მცხეთა და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, რომელიც საქართველოს თავი ეკლესიაა. იქვე მთაზე მდებარეობს გასაცოცრებელი ჯგირის მონასტერი.

ს ვ ს ტ რ ი ი ღ ა ნ

თქვენო უწმიდესოებო!

ვენის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ პეროლის გამოცემლობას განზრახული აქვს გამოსცეს წიგნი — „ხატები დღეს“, რომელშიც ჩემი წვლილიც იქნება შეტანილი. ბატონი ერნსტ ქრისტეფორ სუტნერი, აღმოსავლეთის ეკლესიებისმცოდნეობის პროფესორი და ვენის უნივერსიტეტის პატროლოგი მესაუბრა თანამედროვე ქართული ხატწერის შესახებ.

მას შემდეგ, რაც 1981 წელს ვენაში დავათვალიერე გამოფენა „საქართველოს საგანძური“, მოხილული ვარ თქვენი კლასიკური ხატწერით. ამ საგანძურს მეც სწავლობდი პროფესორ გაიანე ალიბეგაშვილისა და ანელი ველსკაიას წიგნით. /გამოცემა მონდალორ-პერდერი, 1982 წელი/. ახალ წიგნში, რომლის გამოცემა დაგეგმილია 1986 წლისათვის, ჩემი ნამუშევრებიც უნდა შევიდეს. მათზე რომ წარმოგვთქვა შეგვექმნათ, გიგზავნით სუტნერის მიერ გამოცემულ ორ წიგნს სათაურით: „თანამედროვე ხატები“, 8 პატარა გამოფენის ცალკეულ კატალოგსა და რამდენიმე რეკომენდაციას.

1967 წლიდან ვმონაწილეობ გამოფენებში. მოგაწვე 41 დიდი და ფრიად მნიშვნელოვანი თანამედროვე ხატების გამოფენა ვეროპაში, აფრიკასა და იერუსალიმში. დაახლოებით 250 000 კაცმა ეს ნამუშევრები დიდი ინტერესით დაათვალიერა. ჩემი „ხატები ათონის წმ. მთისა“ მსოფლიო საპატრიარქოს მფლობელობაშია. ისინი გადაეცა მის უწმიდესობას, პატრიარქ დიმიტრიოს-I.

საქართველოს თანამედროვე ხატწერამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნება მიბოძეთ, თქვენო უწმიდესობაზე, გკითხოთ, შეიძლება თუ არა გამოვიწვიოთ თანამედროვეობა და მომავლოდ წიგნი, რომელშიც შეტანილი იქნება ახალი ქართული ხატების რეპროდუქციები. ასევე, დამაკავშიროთ რომელიმე ქართველ მხატვართან.

ანტონ ვოლენკო პროფესორი

თქვენო უწმიდესოებო!

გადმომცეს თქვენი ლოცვა-კურთხევა, რისთვისაც უდრემს მადლობას მოგახსენებთ.

დიდი სიხარული განმაცდევინა თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში ბატონ ალ.ბანძელაძის მიერ შესრულებულმა თანამედროვე, შესანიშნავი ხატების რეპროდუქციებმა. ორი მათგანი უკვე გავუგზავნე სტამბოლში მსოფლიო საპატრიარქოს, სადაც დიდად არიან დაინტერესებული თანამედროვე ხატწერით. თქვენ მწერთ, რომ ასევე იხატება თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარი. ავტორი ყოფილა ლევან ცუცქერიძე. ამ მხატვრის სახელი ჩემთვის კარგადაა ცნობილი ვენის უნივერსიტეტის ლექციებიდან. დიდ სიხარულს მომანიჭებდით, თუ მისი ნამუშევრების რამდენიმე ფოტოს, ან რეპროდუქციას გამოგიგზავნიდით.

ნება მიბოძეთ გაცნობით, რომ 30 მისს ბერ-ლინის წმ. მარიაშის სახელობის, უძველესი და ულამაზესი ვენაგელისტურ ეკლესიაში /გრდ./ გაიხსნება თანამედროვე ხატების გამოფენა. უახლოეს დროში გამოგიგზავნით ამ გამოფენის მოკლე კატალოგს. ასევე გამოგიგზავნით საშემოდგომოდ დაგეგმილი გამოფენის ბროშურას.

ავსტრიის ბიზანტიურ მეცნიერებათა აკადემიის კომისია დაინტერესებულია მოაწვოს ჩემი ხატების გამოფენა საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში. ამ მიზნით ბატონმა დრ. ვერნერ ზაიბტმა კონტაქტი დაამყარა ბატონ თამაზ სანიკიძესთან. ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროც დიდად არის დაინტერესებული ამ წამოწყებით.

მე, რა თქმა უნდა, დიდად გამეზარდება, თუ ჩემი ხატების გამოფენა თბილისში მოეწყობა.

გვლავ გიხდით მადლობას დაინტერესებისათვის და ვიმედოვნებ სასურველი თანამშრომლობის განმტკიცებას საქართველოს საპატრიარქოსთან.

პეტეხიხევიან ანტონ ვოლენკო

ს ა მ ე ნ ი ღ ა ნ

თქვენო უწმიდესოებო და უნეტარესოებო, პატრონო ილია

მოვესალმებით მე, ანასტასიოს მიხალასი, პროფესორი ჟურნალისტი, წარმოშობით მღვდელმსახურის ოჯახიდან. ვარ საბერძნეთის რადიო-ტელევიზიის საეკლესიო გადაცემების პასუხისმგებელი მუშაკი. ამავე დროს, ვთანამშრომლობ ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ბოლო ოთხი წელიწადია ვცდილობ, ჩემს თანამემამულეებს გავაცნო სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების ცხოვრება. მინდა საერთოდ შევუწყო ხელი მართლმადიდებლობისადმი ინტერესის გაძლიერებას ჩემს ქვეყანაში.

ამ მისიით ვეწვიე სხვადასხვა ქვეყნების საპატრიარქოებს, ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, ვესაუბრე ხელმძღვანელობას, ეკლესიების წარმომადგენლებს. შეგროვდა მდიდარი მასალა: ფოტოები, ინფორმაციები და ა.შ.

ა.წ. ადღაომის დღესასწაულზე მე და ჩემი ფოტოკორესპონდენტი ვიყოფივართ სტამბულში, როგორც მსოფლიო საპატრიარქოს სტუმრები. იქ თქვენი ეკლესიის შესახებ ბევრი რამ მოვისმინეთ. გაგვიჩნდა დიდი სურვილი, ვეწვიოთ ჩვენთვის უცნობ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და გავიცნოთ იგი. შემდეგ კი სტატიებითა და გადაცემებით ვრცლად უკაბოთ ჩვენს თანამემამულეებს მის შესახებ.

ჩემი თანმხლებნი იქნებოდნენ თანამშრომელი ნიკოლოზ დანილიდისი და ფოტოკორესპონდენტი. თუ სასურველად მიიჩნევთ, ჩვენთვის კარგი იქნება ჩამოვიდეთ მიმდინარე წლის შობას...

ძალიან მინდა გამოცემა წიგნი ქართული ეკლესიის შესახებ, ფოტოებითა და ტექსტით. ეს ჯგუფური მზად უნდა იქნეს 1986 წლის აღდგომამდე.

გისურვებთ თქვენ და თქვენს ხალხს ღვთის კურთხევას, მშვიდობასა და სიხარულს.

თქვენი ანასტასიოს მიხალასი

მხრვასო მითროპოლიტო დავით!

ქრისტიანული სამედიცინო კომისიის წევრებისა და პირადად ჩემი სახელით, გულწრფელ მადლობას გიხდით პოლანდიაში, ველდპოვენში ქრისტიანული სამედიცინო კომისიის კრებაზე დასწრებისა და თანამშრომლობისათვის. დარწმუნებული ვარ, კრებაზე გამოთქმული თქვენი რჩევა სასურველ მიმართულებას მისცემს ქრისტიანული სამედიცინო კომისიის მომავალ მუშაობას. გვინდა ჟურნალ „კონტაქტი“ გამოვაქვეყნოთ ველდპოვენის კრების შთაბეჭდილებანი. ვიმედოვნებთ, ახ-

ლო მომავალში მოგვწავდით მოკლე მოხსენებას ამ საკითხთან დაკავშირებით. დიდად მადლობელნი დაგრჩებით, თუ შეადგენთ პატარა ხაინფორმაციო ტექსტს, სადაც რეტროსპექტულად იქნება აღწერილი ერთი კვირის განმავლობაში შეძენილი მნიშვნელოვანი გამოცდილებანი. ამავე დროს, გთხოვთ, მოგვწოდოთ თქვენი ორგანიზაციიდან იმ პირების სახელები და მისამართები, რომელთაც სურვილი ექნებათ ჟურნალ „კონტაქტის“ მიღებისა, რათა შევძ-

ლოთ მათი სიაში შეტანა. წერილს თანდართული აქვს ველდპოვენის კრების მოკლე მოხსენება, მადლობელნი ვიქნებით, თუ შეიტანთ მასში რაიმე დამატებებს, ან შესწორებებს. გულწრფელად თქვენი რეზინალ-ავონუ-ლარტსოვი დირექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი.


ქრისტიანული სამედიცინო კომისიისათვის

მხრვასო მითროპოლიტო დავით!

ამ მოკლე ბარათით გაცნობებთ, თუ რა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის ველდპოვენიდან გამოგზავნილი თქვენი წერილები. დიდად მადლიერი ვარ თქვენი ლოცვებისა და იმ მორალური მხარდაჭერისა, რაც თქვენგან მიმიღია. მათი დახმარება დიდად საგრძნობია. გავიგე თქვენი დაძაბული, მაგრამ შედეგიანი მუშაობის შესახებ. დიდი კმაყოფილებით წავიკითხე მოხსენებები. თქვენ შესანიშნავი სამუშაო ჩაატარეთ. მე მხოლოდ ვწუხვარ, რომ პირადად არ ვიყავი თქვენთან ერთად პოლან-


დიაში. მადლს ვწირავ უფალს; იგი გხელმძღვანელობდათ მუშაობაში. ჩვენ, ქრისტიანული სამედიცინო კომისიის /ქსკ-ს/ წევრები კვლავაიარად შევეცდებით ხორცი შევასხათ დასახულ ამოცანებს. განსაკუთრებით ვაფასებთ თქვენს დამოკიდებულებას ჩვენდამი, როგორც ადამიანებისადმი და მზადყოფნას, დაგვეხმაროთ და ჩვენთან ერთად იმუშაოთ. უახლოეს თვეებში დაგიკავშირდებით. ჩემი ავადმყოფობის ერთადერთი დადებითი

მხარე იყო ის, რომ მთელი ჩემი ოჯახი ქრისტეს შობას შეხვდა ერთად. მადლობა თქვენ, თქვენი ლოცვებისათვის. გთხოვთ, არც მომავალში შეწყვიტოთ ლოცვების აღვლენა ჩემთვის და მთელი ქსკ-სათვის. მომწერეთ, როცა გექნებათ დრო. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში საშუალება მექნება ვწვოთ თქვენს კვლევისას. გულწრფელად თქვენი მერიკ რ. რეზინალ-ავონუ-ლარტსოვი



ტაოს მხარე. ბანა. IX ს.

ბ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი



მიტროპოლიტი ზინობი

მიტროპოლიტი ზინობი

მიმდინარე წლის 26 თებერვალს /8.1.11/ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა მაღალყოვლადუსამღვდელოესი ზინობი, მიტროპოლიტი თეთრიწყაროელი, თბილისის, წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი.

მიტროპოლიტი ზინობი /ერში ზაქარია აკიმის ძე მაჭუგა/ დაიბადა 1896 წლის 14 სექტემბერს ჩერნიგოვის გუბერნიის ქალაქ გლუხოვოში /ამჟამად სუმის რაიონი/ მუშის ოჯახში. 11 წლის ასაკში დაობლებულმა, მრავალი გაჭირვების მიუხედავად, დაამთავრა საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. 1912-16 წლებში იგი გლინის უდაბნოს მონასტერშია მორჩილად. 1916 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ 1921 წელს დაბრუნდა თავის მონასტერში, სადაც ალიკვეცა ბერად და ეწოდა სახელი ზინობი.

1922 წელს ზინობი დრანდოვის მიძინების მონასტერში /სოხუმის მახლობლად/ აკურთხეს მთავარ დიაკონად. აქვე 1925 წლის 18 იანვარს აღიკვეთეს ბერმონოზონის ხარისხში. 1930 წლამდე სოხუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მსახურებდა, შემდეგ კი ქალაქ როსტოვის სოფიის ტაძარში. 1942-1945 წლებში მამა ზინობი თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრისა და მცხეთის წმ. ოლღას სახელობის მონასტრის მღვდელმსახურია. 1945-1947 წლებში იგი სომხეთშია, სოფელ კიროვის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად, შემდეგ ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში. 1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძრის წინამძღვარია.


მიტროპოლიტი ზინობი დაჯილდოებული იყო წმ. მოციქულთა სწორის, ნინოს I და II ხარისხის ორდენებით; წმ. დიდი თავადისა და მოციქულთა სწორის, ვლადიმერის I და II ხარისხის ორდენებით, წმ. მოციქულ მარკოზის II ხარისხის ორდენით.

საღმრთო ლიტურგია და ანდერძის წესის აგება 1/14/ მარტს შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. მის უწმიდესობასთან ერთად ამ დღეს ლოცულობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, მიტროპოლიტები: კონსტანტინე, დავითი, ეპისკოპოსი ზოსიმე, თბილისის ტაძრების მღვდელმსახურნი, სომხეთის ეკლესიის წარმომადგენელი — ეპისკოპოსი გეორგი /სერაიდაარიანი/; ჩამოსულ სტუმართა შორის იყო სიმფეროპოლისა და ყირიმის მთავარეპისკოპოსი ლეონტი.

დაკრძალვას ესწრებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაური და მისი მოადგილე თეიმურაზ ტატიშვილი.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი დაკრძალეს წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში, წმ. ნიკოლოზის საკურთხეველის წინ.

მიტროპოლიტ ზინობის სამარხი ალ. ნეველის ტაძარში.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი ილია II სიტყვა

დღეს საქართველოს ეკლესია და მორწმუნე მრევლი მარადიული ცხოვრების გზაზე მიაცილებს დიდად ღვაწლმოსილ, მოხუც მღვდელმთავარს ზინობს — თეორიულად მიტროპოლიტს, რომლის მთელი ცხოვრება მიძღვნილი იყო მშობლიური ეკლესიისა და მოყვასთა მსახურებისადმი. არსებობენ პიროვნებები, რომელთა სახელები დიდხანს ცოცხლობენ ადამიანების გულებსა და ღოცებში. ერთი ასეთთაგანი გახლდათ მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მიტროპოლიტი ზინობი.

ყოვლად სამღვდლო სერაფიმე საროველმა ბრძანა, ეზიარე ღვთიური მადლის თუნდაც მცირე ნაწილს და შენს ირგვლივ ათასობით ადამიანი იპოვის ხსნასო. მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ზინობმა ეს მადლი თავისი შეურყეველი რწმენით, უფლისა და მოყვასისადმი თავდავიწყებული სიყვარულით მოიპოვა. იგი ჯერ კიდევ 16 წლისა იყო, როცა განუდგა სიამეთა ამა ქვეყნისათა და მონოზენური ცხოვრება ირჩია. საინტერესოა, რომ მან თავისი მოღვაწეობა თავიდანვე გლინის უდაბნოში დაიწყო. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, ამ უდაბნოში ოთხი წელიწადი მორჩილად დაჰყო. შემდეგ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მეუფე ზინობი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ კი 1922 წელს, მაშინვე ბერად აღიკვეცა. მას თითქოს ემახდა, მოუწოდებდა ივერიის დედა ღვთისმშობელი თავის წილხვედრ ქვეყანაში სამოღვაწეოდ. და იგი ჩამოიღის საქართველოში, ჯერ სოხუმში, დრანდოვის მონასტერში. მან დიაკონის ხარისხიდან მიტროპოლიტობამდე ყველა იერარქიული საფეხური გაიარა. 35 წელი სულიერი საზრდოთი ჰკვებავდა ჩვენი დაუზღვეარი მეუფე ალექსანდრე ნეკელის ტაძრის მრევლს. ჩვენ ყველანი მას ვიცნობთ, როგორც დიდებულ მოხუცს, მაღალ სულიერ ადამიანს, რომელმაც თავისი ცხოვრებით ნამდვილი ასკეტური მსახურების მაგალითი გვიჩვენა. ვინც კი იცნობდა ზინობს, ვისაც კი ოდესმე ჰქონია ხაშუალება მასთან მიახლებსა და კურთხევის მიღებისა, ყველა

პოულობდა სიმშვიდეს, ივსებოდა რწმენით, სასოებით. უნდა გითხრათ მძანო და დანო, რომ მე ერთი იმათგანი ვარ, რომელსაც მრავალი სიკეთე და თანადგომა უგრძნია მისგან. 1957 წელს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოს-პატრიარქ მელიქისედეკ III ლოცვა-კურთხევით, სწორედ ამ ტაძარში, ამ ადგილზე მეუფე ზინობმა აღმკვეცა ბერად და მიწოდა წმიდა წინასწარმეტყველ ილიას სახელი. ზინობმა მიიღო მონაწილეობა ჩემს ეპისკოპოსად კურთხევისა და შემდეგ, პატრიარქად აღსაყდრებაში. მისი ცხოვრება, მისი გული მთლიანად ეკუთვნოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ჩვენს, საერთოდ ყველას. იგი მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით ხედებოდა მასთან მისულ ყველა მორწმუნეს, იქნებოდა ის რუსი, ქართველი თუ სხვა ეროვნებისა. მისთვის მთავარი იყო ერთი-ადამიანის ესაჭიროებოდა დახმარება, ესაჭიროებოდა რწმენის განმტკიცება. ეს იყო მისთვის ამოსავალი. და აი, დღეს მარადიულ ცხოვრებაში მივაცილებთ მას. მაგრამ მე მწამს, რომ მეუფე ზინობი არ დაგვტოვებს ჩვენ. მისი სული ილოცებს ჩვენთვის იქაც, ზეციურ საქართველოში.

საქართველოს წმიდა სინოდმა გადაწყვიტა მიტროპოლიტი ზინობი დაიკრძალოს აქ, რათა იგი არა მხოლოდ ღოცვებით იყოს ჩვენთან, მისი სხეულიც აქ იყოს, ამ წმიდა ტაძარში. მას იცნობდნენ და პატივს სცემდნენ ბევრეულინი. ამას ერთხელ კიდევ აღასტურებს რუსეთის სხვადასხვა ეკლესიიდან ჩამოსულ სტუმართა სიმრავლე და სამგლოვიარო ღებეშები. მადლობას ვწირავთ თანაგრძნობისათვის ყველას, ვინც ჩვენი სატკივარი გაიზიარა.

მიტროპოლიტ ზინობის სული უკვე წარსდგა უფლის წინაშე და ჩვენ გვჯერა, რომ იგი ნეტარებს ჩვენთვის ღოცვებში. შევსთხოვთ ღმერთს, აცხოვნოს იგი და დალოცოს, განაძლიეროს ჩვენი ეკლესია და ჩვენი მრევლი, მუდამ ყოფილიყოს ჩვენთან უფალი ჩვენი. ამინ!



მიტროპოლიტ ზინობის დაკრძალვა



ქართული ეკლესია—მონასტრები საზღვარგარეთ

კვიპროსის კონსტანტინის ივერთა სიძველენი

თავისებური მდებარეობის გამო სამი კონტინენტის — ევროპის, აფრიკისა და აზიის მიჯნაზე კვიპროსს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყანასთან და ხალხთან. იმ ხალხთა შორის, რომელთაც ჰქონდათ კვიპროსთან კავშირი, ყოფილან ქართველებიც.

ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება XI-XII საუკუნეებში, როდესაც მძლავრი პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ადგება. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართველი მებატიანის ცნობა, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელმა „ლაგრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისაცა, მთაწმიდისა და ბირდალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა... აღავსნა კეთილითა“.

ამ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, უთუოდ, კვიპროსზე საგანგებო ქართული საგანის დაფუძნება, რომელიც „ღალიას“ /ან „უაღლიას“/ სახელით არის ცნობილი.

კვიპრეს ქართული „სანახები“ და მათ მიმართ თამარ მეფის მზრუნველობა მოხსენიებულია ბასილი ეზოსმოდვრის თხზულებაში; ხოლო მეორე ისტორიული თხზულების, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვაუწყებს თამარის მიერ ღალიას „კვალად შემკობას“ და მონასტრის ადგილ-მამულის გაფართოებას. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, თამარს კვიპროსული მონასტრისათვის შეუქმნია „მეტოქი“, ესე იგი, მცირე მონასტერი და მამული, თავისებური ფილიალი კონსტანტინოპოლში; შეუქმნია, ამგვარად, საქართველო — კვიპროსის დამაკავშირებელი თავისებური ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რგოლი. აღნიშნული აქციები, არსებითად, იმ აქტიური და მიზანდასახული პოლიტიკის გამოვლენაა, რომელიც ამოცანად ისახავდა გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური ფოროსტების შექმნას, პოზიციის ადგილის პოვნას იმ რთულ ისტორიულ პროცესებში, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში იწვევდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ტალღა.

ღალიაში შესრულებული XI-XII საუკუნეების ხელნაწერის არსებობა ადასტურებს, რომ იგი ჩამოყალიბდა, აგრეთვე, როგორც კულტურულ-მწიგნობრული კერა. ადგილობრივი, კვიპროსული ცნობებით მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა 300 ოქროს დუკატს, რომელიც უტოლდებოდა კვიპროსის ყველაზე დიდი — ეგრეთწოდებული კიკოს მონასტრის შემოსავალს.

რომის პაპის კლემენტ V 1306 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, სხვა ორი ბერძნული მონასტრის გვერდით მოხსენიებულია ქალაქ ხრისოსუს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მონასტერი იალია, რომელსაც ჯერ კიდევ ქართველი წინამძღვარი მართავს. 1461 წელს კვიპროსის ფრანგი მმართველების შინაომების, დინასტიური კონფლიქტების ვითარებაში მონასტერი დაურბევია მყოფართა ერთ-ერთ რაზმს. რას წარმოადგენდა ამ დროს მონასტერი, როგორი იყო მის ბინადართა შემადგენლობა, ამის შესახებ არაფერია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნეში კვიპროსზე ჩამოსულ ქართველ მწერალსა და მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს არ ხვდება არავითარი ცნობა აქ რაიმე ქართული საგანის, ან მისი კვალის არსებობის თაობაზე...

კვიპროსის ძველქართულმა კერამ, რომელსაც მივაკვლიეთ გასულ წელს პაფოსის რეგიონში, მთებში, იალიად წოდებული სამი სოფლის რკალში, ჩვენს დრომდე სამწუხაროდ, ნანგრევთა სახით მოაღწია. ჩვენს საუკუნეში ტაძარი ჯერ კიდევ მყარად მდგარა. იგი 1935 წლამდე მოქმედებდა, როგორც ბერძნული საგანე. მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1953 წლის უმძლავრესი მიწისძვრა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ეკლესიის უმეტესი ნაწილი. მოღწეული ნანგრევების მიხედვით მაინც სავსებით შესაძლებელია მისი არქიტექტურული ტიპის, კონფიგურაციის, მასშტაბების წარმოდგენა. აზომვა გვიჩვენებს, რომ იგი წარმოადგენდა სამაბსიდიან ეგრეთწოდებულ ტრიქონქს. საკურთხევლისა და მასთან შეერთებული აბსიდების ზომები გვიდასტურებს მასშტაბს დიდი ეკლესიისა, რომელიც კარგად გათლილი და დამუშავებული კვით ყოფილა ნაგები. კედლების ნაშთებზე ჩანს ფრესკების ფრაგმენტები, რომლებზედაც გამოსახულია სახარების ცალკეული სცენები ნატიფი ტექნიკით, ნათელი ფერებით შესრულებული. ფრესკის ერთ ფრაგმენტზე, რომლის ქვედა ნაწილი მიწისქვეშა არის მოქცეული, ჩანს რომელიც წმიდა მეომრის ფიგურა... ის, რომ ჩვენს წინაშე სწორედ ღალიაა, კვიპროსის ცნობილი ქართული საგანე, ადასტურებს ქართული წარწერა. მონასტრის ერთ-ერთი თაღოვანი შენობის, სამრეკლოსა თუ კარიბჭის ნანგრევზე, მისი ექვსი ქვის ასომთავრულ წარწერათაგან მკაფიოდ იკითხება მხოლოდ ერთი: „ნიკოლოზს შეუნდონ ღმერთანი“. წარწერების და ფრესკების ნაშთები შეიძლება აღმოჩნდეს არქეოლოგიური ძიების შედეგად ნაგებობის მიწით დაფარულ ნაწილებზეც. შემდგომმა კვლევამ შეიძლება გამოავლინოს საინტერესო მასალა-არა მარტო აღნიშნული ნაგებობის ფარგლებში, არამედ მის შემოგარენში, რადგან აქ, როგორც ჩანს, არსებობდა მთელი სამონასტრო კომპლექსი. ამას გვიდასტურებს რამდენიმე წუთის სავალზე კიდევ ერთი ნაგებობის ნანგრევები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი წმ. ნიკოლოზის ეკლესიას უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ლენინგრადში დაცული, XII საუკუნით დათარიღებული ვრცელი ქართული ხელნაწერი ანდერძი, რომლის ავტორი გვაუწყებს, რომ ეს წიგნი დაიწერა „კვიპრეს ქართველთა მონასტერს ფალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორს მონასტრისაგან“. ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში?

სოფელ იალიის მცხოვრებნი გვაუწყებენ, რომ მთავარ ნაგებობას უწოდებდნენ წმიდა მამამს სახელობის ეკლესიას. ეს ბუნებრივად მოგვეჩვენა, რადგან აქედან სულ ახლოს, ქ. მორფუში არის წმ. მამამს მთავარი სალოცავი, მისი საფლავი და წმიდა ნაწილები; იმიტომაც, რომ ეს წმიდანი საქართველოს მეზობელი მხარიდან — პაფლაგონიიდან, პოპულარული ყოფილა ჩვენშიც /გავიხსენოთ ცნობილი ეგრეთწოდებული ეკლათური ტონ-ლომზე ამხედრებული წმიდანის გამოსახულებით/.

წმ. მამამს ეკლესიას ჩვენ წავაწყდით ალამინოსშიც, სადაც ისტორიული ცნობით XIV საუკუნეში ქართული კოლონია ყოფილა. ადგილზე გამოირკვა, რომ ახლანდელი ალამინოსი შედარებით ახალი დასახლებაა და აქაური წმ. მამამს ეკლესია თავისი ლოკალური ლეგენდებით, ჩვენი ინტერესების თვალსაზ-



რისით, არ იყო რაიმე იმედის მოძვეტი. სამაგიეროდ, მოხუცებმა მიგვითითეს სოფელ ალაძინოს იმ ძველ ადგილმდებარეობაზე, ნასახლარზე, სადაც მართლაც აღმოჩნდა წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, მარმარილოს სვეტის ნაწილი, რომელიც მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც დიდი ტაძარი მდგარა.

წმ. გიორგისთან დაკავშირებით, რომელიც კვიპროსზე შეტად პოპულარულია, ყურადღებას იქცევს იკონოგრაფიული პარალელები. ბერი საინტერესო პარალელია ქართულ-კვიპროსულ არქიტექტურაში, რაც, ალბათ, როგორც კონტაქტების შედეგი, ასევე საერთო ტიპოლოგიის გამოხატულებაა.

საქართველოს კონტაქტებს კვიპროსთან უფრო გვიანდელ პერიოდში აღასტურებენ ეკლავზე დიდი სამონასტრო ცენტრის — კიკოს რელიქვიები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს მონასტრის მთავარ ხატზე ჩამოფარებული, ოქრო-ქარგულობით დამშვენებული დაფარნა, რომელიც კიკოსთვის მიუძღვნია საქართველოს მეფეს — ერეკლე II. ადგილობრივ მესვეურთა სიტყვით, ამჟამად საცავში ინახება მეორე ქართული დაფარნა. რომელიც 1962 წელს უნახავს კიდევ ო. გიგინიევილს კვიპროსის ქართულ სიმღველეთა შესწავლისას.

ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მასალას გვინდა მოვუყაროთ თავი სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში, რომლის გადაღება დაიწყო შიმდინარე წელს პროფესორ ალექსანდრე ალექსიძესა და კინოოპერატორ ლომერ ახვლედიანთან ერთად და რომელშიც თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ქართულ-კვიპროსული მრავალსაუკუნოვანი სულიერი ურთიერთობა.


ა. შიმაპარიძე



ქართული წარწერის ფრაგმენტები



კუნძულ კვიპროსის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები. ფოტო. ა. შიმაპარიძის მიკვლეული წყაროების მიხედვით, პირველად.



მატიანე 6

სიტყვა წარმოთქმული სიონის ტაძარში
კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ
მეორის ანდერძის აბეზაზე, კვირას,
7 ივლისს, 1918 წელს

მშვიდობით თქვენო უწმიდესობავ!

ეს ერთი კვირაა შენი ანჩის ხატი, მთელ მორწმუნე თბილისის ქართველობასთან ერთად, გულდათუთქული დაკვითინებდა ტყვიით განგმირულ თვისს მამათმთვარს. დღეს კი ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხიდგან მოზღვავებულა მთელი საქართველო, — შენი სამწყსო, — რათა მიგაცილოს საუკუნო განსასვენებელ საგანემდე. დაობლებული შენი სამწყსო, ისევ დაქვრივებული ივერიის ეკლესია დღეს საქვეყნოდ მოსთქვამს და ჰგოდებს თვის ვაებასა, თვისს უბედურებასა, თვისს ეგზომ დაცოდვილებას, სამშობლო ქვეყნის გარეშეთაგან გაჭირვებას: ეს შენი საიდუმლოებით მოცული კუბოც მძიმე ლოდივით ზედ დაგვერთო. ასეთ განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონებოდეს ჩვენში.

არ ვიცი შენი ასეთი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილი ჩვენი გაუგებრობის თუ უმადურობის ნაყოფია. ზოგჯერ მტერი ვერ უხამს ადამიანს იმას, რასაც თვით ადამიანი თავის თავსაო, — სწორედ ჩვენზეა ეს ნათქვამი. სხვებმა, გარეშეებმა, ჩვენმა მტრებმა და ორგულებმა შეიგნეს შენი დიდი პიროვნების ღირსება, ჩვენ კი ვერა! სხვებმა, უცხოელებმა, დააფასეს შენი გონებრივი და ხნეობრივი ღვაწლი სამშობლოსათვის, ჩვენ კი ვერა...

ვერ გამოგია, რას ვთხოულობდით კიდევ შენგან?! სხვა ქვეყანაში ასეთ ნაამაგდარ, დამაშვრალ მხცოვან მოღვაწეს დაასვენებენ ხოლმე, სიბრძნის ჟამს დაუტკობენ, განვლილ ტანჯვა-წამებას დაუაშებენ და თუ კიდევ სამოღვაწეოდ მოიწვევენ, მაშინ თავს ევლებიან მას, ტვირთს უმსუბუქებენ, რათა მისს სიბრძნე-გამოცდილებით ისევ ასარგებლონ ქვეყანა. ჩვენ ასე ვერ მოგექცით. ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათოლიკოს-პატრიარქად ამოვირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმპყრობელად მოვიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდგან გამოგტაცეთ!

ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა და გულფიცხელობა ვაწარმოეთ თვისს მამათმთავრის გარშემო... უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩაეუმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი გამოვუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ...

განა მხოლოდ კირიონ კათოლიკოსს მოვექცით ასე? უფრო მე-

ტის სისასტიკით გავისტუმრეთ საიქიოს დიდი ილია! წიწამურისა და მარტყოფის ტრაგედია საქართველოს დაუძინებელი მტრების მიერ ჩვენში დათესილმა, ერთმანეთის ჯგუფურმა გადაკიდება-კინკლაობამ შეამზადა. მტრებმა დაგვქსაქსეს, ერთმანეთის მტრებად გადაგვაქციეს, საკუთარ ოჯახში შინაური მტრები და ჯაშუშები გაგვიჩინეს და ეს თავზარდამცემი უბედურება თვით ქართველების ხელს გააკეთებინეს. რაღა გვეთქმის ამ შავბნელ ბოროტებაზე? — შური, ერთმანეთის მძულვარება და გაუტანლობა დაესადგურა ჩვენ შორის და ეს გვათხრევინებს ჩვენ სამარეს ჩვენივე ხელით... როდესაც ილიას და კირიონს ყიყინას სცემდნენ უგუნურნი, ჩვენში არ აღმოჩნდა ვინმე, რომ დამამგრალთათვის ნუგეში ეცათ, მათთვის მოეგერიებინათ უპასუხისმგებლო კალმოსანნი. პირიქით, უფრო ასისიანებდნენ მათ...



ილიას და კირიონს მამულიშვილობა, უანგარობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა როდი ესწავლებოდათ, საყვარელნი!.. მაგრამ დღეს რაღა გვეთქმის... დღეს ისევ საქვეყნო სირცხვილში ჩავცვივდით, ქართველნი... ეტყობა ისტორიის გაკვეთილები ისევ ფუჭია ჩვენთვის, ჯერჯერობით მაინც... მაგრამ ღრმად გვრწამს საქართველოს ჭირისუფლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ანდერძი:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“. დიახ, „გზა უვალი“ კირიონისაგან „თელილი“ უსათუოდ დარჩება. ამ გზაზე უკვე დაგვაყენა განსვენებულმა. პირველმა მან შეაშუქა ჩვენს საზოგადოებაში ჩვენი ეკლესიის განთავისუფლების აზრი. შეაშუქა არა 1905 და 1917 წლებში, როდესაც ქვანიც კი დაღალებდნენ, არამედ უფრო ადრე, როდესაც სუსხიანი ცარიზმისგან ყოველი აზრი და იდეა თავისუფლებაზე იყო ჩვენში გაყინულ-გათოშილი; კირიონი კი მაშინაც სთესდა ჩვენში თესლსა კეთილსა. ის შეესწრო კიდევ ამ თესლისაგან ნაყოფის გამოღებასა, მაგრამ თვით კი ვედარ იგემა თვისი ნამუშაგარი. ასეთი ყოფილა ხვედრი ქართველ საზოგადო მოღვაწეებისა და ვერც კირიონი ასცდა თვისს ხვედრს...

არ შემიძლია არ გამცნოთ საყვარელნი, კირიონისაგან ერთ საეკლესიო წრეში უკანასკნელად წარმოთქმული აზრი ჩვენს ძალთა ურთიერთ განწყობილებაზე: „ოცი წლის განმავლობაში დამორებული ვიყავი სამშობლოს, — ბრძანა განსვენებულმა, — შორიდგან თვალყურს გადავენებდით, ვფიქრობდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგენით საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია —“ ასე ნაღვლიანად დაასრულა მან თვისი მწყემს-მთავრული მხილება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ „ხელახლა დავიბადებით“, — როგორც განსვენებულმა გვამცნო — ახალ საქართველოში. მხოლოდ თავისუფალ საქართველოში აღორძინდება, ამაღლდება, გაფაქიზდება ძალთა განწყობილება, მხოლოდ განახლებულ მოქალაქეობაში შევძლებთ უკუ ვაგდოთ აწ დამხობილ მონობისაგან ნაანდერძევი გახრწნილი ზნე-ჩვეულებანი და შეერთებულ ძაღღონით სამშობლოს ვემსახუროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწ თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ეკლესია შესძლებს აღუზარდოს სამშობლოს დირსეული მოქალაქენი მტკიცე ქრისტიანულ ზნეობის ნიადაგზე. უნდა შევიგნოთ საყვარელნი, რომ მხოლოდ წმიდა სახარების მცნებებზე აღზრდილი ერია უკვდავი და უძლეველი.

ამ რწმენით მიგაცილებთ ტანჯულ მამათმთავარო საფლავის პირზე; აქ ჭაღარა სიონის ტაძარში მივაბარებთ შენს ნეშტს მშობელ მიწას. აქ დაისვენე და განისვენე დამაშვრალო! აქ მაინც აღარ იქნები „განმარტოებული“, აქ მუდამ სინანულის ცრემლებს დაეფრქვევთ შენს წმიდა საფლავს. შენც, უწმიდესო მეუფეო, აქედგან თვალყური გვაღვენე, გაგვამხნევე, არ დაგვივიწყო, არ დაგვწყველო, არ შეგვაჩვენო! პირიქით, შენებურად, დიდსულოვნად შეავედრე ჩვენი ეგზომი დაცოდვილება სიონის ღვთის მშობელს, წმ. ნინოსა და ჩვენს ნათლით მოსილ წინაპართ...

შეგცოდეთ, — შეგვიბრუნე და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამათმთავარო!

ღმერთი იყოს შენი მოწყალე. ამინ.


დავით აღმაშენებლის ხელოვნების ინსტიტუტი




სულიწმინდი

მწუხრის საგალობელი

ნოღარ გიბაურო

T. 

მო - ვე - ღიოთ თაყ - ვა - ნი ვჰსცეთ მე - უ - ზე - სა ჩვენ - სა ღმერთ - სა

B. 



მო - ვე - ღიოთ. თაყ - ვა - ნი ვჰსცეთ და შე - ვუვრ - ღეთ ქრის - ტე - სა მე - უ - ზე - სა






ჩვენ - სა ღმერთ - სა. მო - ვე - ღიოთ თაყ - ვა - ნი ვჰსცეთ და შე - ვუვრ - ღეთ







თვით ქრის - ტე - სა მე - უ - ზე - სა და ღმერთ - სა ჩვენ - სა






მო - ვე - ღიოთ თაყ - ვა - ნი ვჰსცეთ და შე - ვუვრ - ღეთ





მას



ქრისტე აღსდგა

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით. სიკვდილითა სიკვდილისა
 დამბრუნველი, და საფლავების შინათა
 ცხოვრების მომნიჭებელი.

ალილუია

უძღვნება ჯალალედინის მიერ ქრისტეს რწმენისათვის
 სიონის კედლებთან ერთ დღეს მოწვეტილი ასიათასი ქართვე-
 ლი მოწამის ხსოვნას

ნელა

ა - ლი - ლუ - ი - ა, ა - ლი - ლუ - ი - ა. ა - ლი - ლუ - ი - ა,
 ა - ლი - ლუ - ი - ა, ა - ლი - ლუ - ი - ა, ა - ლი - ლუ - ი - ა.
 ა - ლი - ლუ - ი - ა, ა - ლი - ლუ - ი - ა. ა - ლი - ლუ - ი - ა.
 ა - ლი - ლუ - ი - ა

ზეიმი ლენინგრადის სასუ- ლიერო აკადემიაში

გასული წლის სექტემბერში აღინიშნა ლენინგრადის /სანკტ-პეტერბურგის/ სასულიერო აკადემიის დაარსებიდან 175 წლისთავი. სასწავლებლის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავ ზეიმზე, რომელიც წმიდა მოციქულისა და მახარებლის, იოანე დვთისმეტყველის ხსენების დღეს ზოგჯერ, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღოცვა-კურთხევით ლენინგრადს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორ, წილკნელ ეპისკოპოს ზოსიმესა და სემინარიის ინსპექტორ, არქიმანდრიტ რაფაელის შემადგენლობით.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა, მოსკოვის, ოდესისა და ენჩიადინის სასულიერო სასწავლებლების წარგზავნილებმა, ასევე მოძვე მართლმადიდებლური ეკლესიების სასულიერო სკოლებმა.

დღესასწაულის წინა დღეს, ლენინგრადის სასულიერო აკადემიის რექტორმა მთავარეპისკოპოსმა კირილემ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან ერთად აკადემიის ტაძარში სასწავლებელში ადრე მოღვაწეთა სულელების საიხად გადაიხადა დიდი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ ქართული ეკლესიის წარმომადგენელნიც.

მეორე დღეს სადღესასწაულო წირვა შეასრულა მიტროპოლიტმა ანტონიმ. თანაშორეკლნი იყვნენ: ბრიუსელისა და ბელგიის მთავარეპისკოპოსი ბასილი, მთავარეპისკოპოსი ნიკონი, ტიხვინის მთავარეპისკოპოსი მედიტონი, ლენინგრადის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, მთავარეპისკოპოსი კირილე, დიუსელდორფის ეპისკოპოსი ლონგინი, ბელოსტოკის ეპისკოპოსი საბა /პოლონეთის ეკლესიიდან/, ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვის საპატრიარქოში, არქიმანდრიტი ნიკონი, ბულგარეთის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვის საპატრიარქოში — არქიმანდრიტი კირილე, ფინეთის ახალი ვალაამის მონასტრის იღუმენი პანტელეიმონი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის ინსპექტორ-არქიმანდრიტი გიორგი, ლენინგრადის სასულიერო აკადემიის ინსპექტორ-არქიმანდრიტი ავგუსტინე და სხვები. მწირველ სამღვდლოებასთან ერთად პარაკლისზე გამოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე და რუსეთის ეკლესიის მისიის წინამძღვარი ბელგრადში — დეკანოზი ბასილი. წირვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მიტროპოლიტმა ანტონიმ.

მცირე შესვენების შემდგომ სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სასულიერო აკადემიის დაარსების 175 წლისთავისადმი. დარბაზში თავი მოიყარეს სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და სტუმრებმა. საპატიო პრეზიდიუმში იყვნენ: მიტროპოლიტი ანტონი, მთავარეპისკოპოსი კირილე და დელეგაციითა მეთაური. აქვე იყო რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული ლენინგრადის ოლქში გ. ვარინოვი. საზეიმო სხდომა გახსნა და ვრცელი მოხსენება გააკეთა სასულიერო აკადემიის რექტორმა, მთავარეპისკოპოსმა კირილემ. მან ვრცლად მოუთხრო საზოგადოებას უმაღლესი სასულიერო აკადემიის მიერ განვილი რთულ და საპატიო გზაზე.

აკადემიის ინსპექტორმა არქიმანდრიტმა ავგუსტინემ წაიკითხა წლიური ანგარიში.

აკადემიის საბჭოს მდივანმა მღვდელმონაზონმა თეოფანემ წაიკითხა მისალოცი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის ეკლესიითა მეთაურებმა და სხვებმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დელეგაციითა ხელმძღვანელები. წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას სასწავლებლის დღესასწაული და აკადემიის რექტორს გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღოცვა-კურთხევა და წმიდა ნინოს ჭედური ხატი, რაც დიდი სიხარულით იქნა მიღებული. საზეიმო ნაწილის შემდეგ სტუდენტთა ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

27 სექტემბერს /10.10/ აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა სასწავლებლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო პრადისა და სრულიად ჩუხოსლოვაციის მიტროპოლიტი დოროთეოსი თანმხლები პირებითურთ.

ლენინგრადში ყოფნისას საქართველოს ეკლესიის დელეგაციას კქონდა საქმიანი შეხვედრები სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგ-მასწავლებლებთან. გაზიარებულ იქნა სასულიერო სკოლაში სწავლების გამოცდილებანი. გამოითქვა საერთო სურვილი მეტი სიხარულისა და ურთიერთთანამშრომლობისა.

არქიმანდრიტი რაფაელი





ლექსიკონი და განმარტებანი

საღვთისმსახურო წიგნები

მართლმადიდებელ ეკლესიაში ღვთისმსახურებას ადასრულებენ სპეციალური ლიტურგიული კრებულებით. განსაკუთრებული როლი ღვთისმსახურებაში ენიჭება საღმრთო წერილის წიგნთა კითხვას.

თანამედროვე ლიტურგიულ პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი წიგნები:

1. ტრაპეზის სახარება. სახარება, საზოგადოდ, უმთავრესი სჯულდებითი წიგნია. იგი შედის საღმრთო წერილში, როგორც მისი უმთავრესი ნაწილი და შედგება ოთხი თავისაგან. თითოეული თავი დაწერილია წმ. მოციქულების: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანე ღმრთისმეტყველის მიერ. შედგენილობის მიხედვით სახარებას წმ. ოთხთავსაც უწოდებენ.

არსებობს სახარების სპეციალური, საღვთისმსახუროდ განკუთვნილი რედაქცია, — ტრაპეზის სახარება. ეკლესიაში იგი დასვენებულია ყველაზე საპატიო ადგილას — ტრაპეზზე, დაკეცილი ოდიკის ზემოდან.

ტრაპეზის სახარების თავისებურებაა ის, რომ თავებად დაყოფის გარდა, აქ იგი დაყოფილია ე.წ. „დასაწყისებად“. „დასაწყისი“ ეწოდება სახარების ერთ გარკვეულ მონაკვეთს, რომელიც ამა თუ იმ ღვთისმსახურების დროს იკითხება /წირვაზე, ცისკარზე, პარაკლისზე და სხვა/. ტრაპეზის სახარებას ერთვის სარჩევი, რომლითაც შეგვიძლია მოვუძებნოთ თითოეული დღესასწაულისა და წლის ყოველი დღის შესაბამისი საკითხავი, ანუ სათანადო „დასაწყისი“.

2. საღვთისმსახურო სამოციქულოში შედის ახალი აღთქმის ისტორიული და სწავლა-მომღვრებითი ხასიათის წიგნები: საქმენი წმიდათა მოციქულთანი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და თოთხმეტი

ეპისტოლე პავლე მოციქულისა.

საღვთისმსახუროდ განკუთვნილ სამოციქულოს ერთვის სარჩევი. მასში შეგვიძლია მოვუძებნოთ წლის ყოველი დღის შესაბამისი აღსავლები, წარდგომები, სამოციქულოს „დასაწყისები“, ალილუიას პუხლები და განიცადენი /ამათი განმარტება იხ. ჩვენი ჟურნალის 1982 წ. I ნომერი/. სამოციქულოს სარჩევი შედგება თავებისა, მოძრავი კალენდრისა, საზოგადოდ და სპეციალური სარჩევისაგან.

3. დავითნი, ანუ „დავითი ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველის გალობა „ბიბლიის ნაწილია. იგი წარმოადგენს საღმრთო საგალობელთა კრებულს, რომელიც სხვა წიგნებზე უფრო ხშირად გამოიყენება ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

არსებობს დავითნის სპეციალური, საღვთისმსახურო რედაქცია. აქ ფსალმუნთა ბიბლიურ ტექსტს ერთვის ზოგიერთი საღვთისმსახურო ცნობა: ტიბიკონი დავითნის კითხვისა /ე.ი. წესები, თუ როგორ იკითხება დავითნი დიდ მარხვაში და მთელი წლის განმავლობაში/, გამოკრებილი ფსალმუნის ანუ „სადიდებელი“ თითოეულ საუფლო დღესასწაულისა და ზოგიერთი დიდი წმიდანისთვის. აქვეა ბიბლიური წიგნებიდან გამოკრებილი ცხრა გალობა, რომელიც საფუძვლად დაედო ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიაში გალობის ყველაზე გავრცელებულ ტიპს — „კანონს“ /ოთხი ცხრა ბიბლიური გალობა ამჟამად გამოიყენება დიდი მარხვის კანონებში ჩასართავად და მეორეხარად ეწოდება „უმცირესი“/.

4. ჟამნი — მედავითნის საკითხავი ძირითადი წიგნია. მასში წერია სხვადასხვა სახის საზოგადო ღვთისმსახურებაზე წასაკითხი ყველა ძირითადი ლოცვა, აგრეთვე, ტროპარ-კონდაკთა საძიებელი.

ჟამნის შედგენილობა ასეთია: საკუთრივ „ჟამნები“ /შუალამის, I, III, VI, IX ჟამნები და სადილის ჟამნი/, ცისკრის ლოცვა, მწუხრის ლოცვა, დიდი და მცირე სერობა.

ტროპართა საძიებელი მოიცავს თვესა და მოძრავ ნაწილს /დიდი მარხვისა და ზატიკისა/.

5. კონდაკი ანუ საღმრთო მსახურების წიგნი /„ჟამის წირვა“/ შედგენილია სპეციალურად მღვდელმსახურთათვის, როგორც წირვა-ლოცვის სახელმძღვანელო.

თუ ჟამნს ძირითადად მედავითნე კითხულობს, კონდაკი — მღვდელმსახურთათვისაა განკუთვნილი.

კონდაკი ორი სახისაა: სამღვდლო და სამღვდელმთავრო.

სამღვდლო კონდაკში წერია მწუხრისა და ცისკრის ლოცვები, აგრეთვე, სამი სახის წირვა: ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ დიალოღონისა /ე.წ. პირველმეწიურელის წირვა/.

სამღვდელმთავრო კონდაკი იმით განსხვავდება სამღვდლოსაგან, რომ მასში აღწერილია სამღვდელმთავრო მსახურების თავისებურებანი. მასვე ერთვის დიაკვნის, მღვდლის, დეკანოზის, ილუმენის, არქიმანდრიტისა და სხვა მღვდელმსახურთა კურთხევის წესები.

6. რვა ხმათა წიგნი, ანუ პარაკლიტონი საგალობელთა წიგნია. იგი იყოფა რვა ნაწილად, ანუ რვა „ხმად“. თითოეული ნაწილი — „ხმა“ /იკითხება ერთი კვირის განმავლობაში, მწუხრისა და ცისკრის ლოცვის სათანადო ადგილას. მთელი პარაკლიტონის წაკითხვას მოვრჩებით რვა კვირის განმავლობაში. შემდეგ პარაკლიტონის კითხვა დაიწყება თავიდან.

7. საღვთისწაულო — ესეც საგალობელთა წიგნია. აქაც, როგორც საგალობელთა სხვა წიგნებში /რვა ხმათა, თვენი, მარხვანი, ზატიკი/, წერია მწუხრისა და ცისკრის ლოცვის ცვალებადი ნაწილი /მუდმივი ნაწილი წერია ჟამნში/. კერძოდ, საღვთისწაულოში მოთავსებულია ყოველი უძრავი საუფლო დღესასწაულის საკითხავები და იმ დიდ წმიდანთა მოსახსენებლები, რომლებიც უძრავ რიცხვებში სრულდება. საღვთისწაულო წიგნში დღესასწაულთა და წმიდანთა საკითხავები დალაგებულია თვეებისა და რიცხვების მიხედვით, მაგრამ წლის ყოველი რიცხვის საკითხავებს აქ ვერ ვხვებით. აქ არის მხოლოდ გამოკრებილი დღეები, — დიდი დღესასწაულები და გამოჩენილ წმიდანთა ხსენებანი.

8. თვენი წერია წლის ყოველი რიცხვის შესაბამისი საკითხავები, ყოველი წმიდანის მოსახსენებელი, რომლებსაც გააჩნიათ უძრავი რიცხვები. მოცულობით ეეს ყველაზე დიდი საღვთისმსახურო წიგნია და მოიცავს თორმეტ უსარმაზარ ტომს. თითოეულ თვეს თითო ტომი ეთმობა.

9. მარხვანში წერია დიდი მარხვის საგალობლები და საკითხავები. მეორენაირად ამ წიგნს ეწოდება ტრიოდონი, ანუ სამ-საგალობელი. ასე ეწოდება იმიტომ, რომ დიდი მარხვის ყოველი სადაგი დღის ცისკრის კანონი შეიცავს არა ცხრა, არამედ სამ გალობას. მარხვანის კითხვა იწყება დიდი მარხვის დაწყებამდე სამი კვირით ადრე. ამრიგად, მარხვანი იკითხება სულ ათი კვირის განმავლობაში.

10. ზატიკის წიგნში წერია საგალობლები და საკითხავები აღდგომიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე. მაშასადამე, ზატიკს კვითხულობთ თანმიმდევრობით, რვა კვირის განმავლობაში.

ზატიკის წიგნს მეორენაირად სამ-საგალობელსაც უწოდებენ. მასში, როგორც მარხვანში, ცისკრის ზოგიერთი კანონი ცხრის ნაცვლად სამ საგალობელს შეიცავს.

შეენიშნოთ, რომ საგალობელთა ზემოთდასახელებულ წიგნებში /პარაკლიტონი, სადღესასწაულო, თვენი, მარხვანი და ზატიკი/ მოცემულია სრულიად გარკვეული ნიშნით ურთიერთდაკავშირებულ დღეთა შესაბამისი საკითხავები ერთი-მეორის თანმიმდევრობით. თითოეული დღის საკითხავებს, ლოცვებსა და საგალობლებს აქვთ თანმიმდევრობა და შეადგენენ გარკვეულ სისტემას /ეს სისტემა საერთოა საგალობელთა ყველა კრებულითათვის/ ამა თუ იმ დღის, ან ამა თუ იმ წმიდანის საკითხავების სისტემას ეწოდება „განგება“ /იხმარება ბერძნული ტერმინიც — აკოლუთია/. მაშასადამე, საგალობელთა წიგნები წარმოადგენენ „განგებათა“ კრებულებს.

11. ლოცვანი წარმოადგენს მორწმუნე ქრისტიანთა პირადი ლოცვების კრებულს. არსებობს მცირე ლოცვანი—ერის-

კაცთათვის, და დიდი ლოცვანი — მღვდელ-მსახურთათვის.

ლოცვანში არის დილის, საღამოს ლოცვები, ყოველი დღის სპეციალური ლოცვა, კანონი ღვთისმშობლისა დაუჯდომლითურთ, ზიარებისათვის მოსამზადებელი და სამადლოელი ლოცვები /ზიარების შემდეგ/. აქვეა ზოგიერთი სხვა სპეციალური ლოცვა, რომელიც მხოლოდ მღვდელმსახურთათვისაა განკუთვნილი კელენში სალოცვად.

12. სავედრებელი გალობანი წარმოადგენენ სპეციალურ პარაკლისებს. როგორც ჩვენს ურუნალის წინა ნომრებში განემარტავდით, პარაკლისი ზომის თვალსაზრისით სამნაირია“ ა./ამა თუ იმ წმიდანისადმი მიძღვნილი, ბ/ საზოგადო, გ/სპეციალური.

სავედრებელ გალობათა წიგნში სწორედ სპეციალური პარაკლისებია შეტანილი: საახალწლო, სწავლის დაწყებისა, ავადმყოფისა, სამადლოებელი, უწვიმროებისა, ავდრისა, რღვნისა, მგზავრობისა და სხვა.

13. ძლისპირნი — ძლისპირთა კრებული განკუთვნილია მგალობელთათვის. ძლისპირებს გალობენ საციკრო კანონის ყოველი „გალობის“ წინ. იგი, არსებითად, წარმოადგენს საგალობელი კანონის გალობათა გასაღებს, მათ რიტმულ-მელოდიურ მოდელს. ამას ემყარება სპეციალისტთა მოსაზრება, რომ ტერმინი „ძლისპირი“ უნდა აღნიშნავდეს მუსიკის, გალობის გასაღებს /„ძალი“ ეწოდება მუსიკალურ საკრავთა სიმებს/.

საგალობელი კანონები მეტად მრავალრიცხოვანია. წმ. მამათა მიერ შეთხზულია კანონები ყოველი ხმისა და დღისა, ყოველი წმიდანისა და დღესასწაულისა /ზოგიერთი მათგანისათვის — არა

ერთი/. კანონები წერია საგალობელთა წიგნებში, მაგრამ ხშირ შემთხვევებში, ძლისპირები აქ არასრულადაა მოყვანილი, — მითითებულია მხოლოდ დასაწყისი ორიოდ სიტყვა. ასეთი შემოკლება იმითაა გამოწვეული, რომ ძლისპირები საკმაოდ შეზღუდული რაოდენობისაა და სხვადასხვა კანონს ხშირად ერთი და იგივე ძლისპირი აქვს მისადაგებული. ძლისპირები გამართულია რვა ხმაზე. ამიტომ ესა თუ ის ძლისპირი შეიძლება მიესადაგოს მხოლოდ იმ კანონს, რომელიც მოცემული ძლისპირის შესაბამის ხმაზეა გამართული.


ძლისპირთა კრებულში თავმოყრილია ყველა ხმისა და ყველა გალობის ძლისპირები /თითოეულის რამდენიმე ვარიანტი/. საჭირო ძლისპირის მოძებნა მარტოოდენ დასაწყისში სიტყვების მიხედვითაც კი აქ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ძლისპირთა კრებული მოხერხებულადაა შედგენილი: ცალცალკე წერია თითოეული ხმა და თითოეული გალობა. ასე რომ, საჭირო ძლისპირის მოძებნა ხდება მხოლოდ სათანადო ხმისა და გალობაში.

14. კურთხევანი — საეკლესიო წესების კრებულია. საეკლესიო წესები ჩამოთვლილი გვაქვს ურუნალ „ჯვარი ვაზისას“ 1984 წ. №1-ში, გვ. 57. ყველა საეკლესიო წესის სრული ტექსტი შეტანილია დიდ კურთხევანში. დიდის გარდა არსებობს მცირე კურთხევანიც. აქ შეტანილია მხოლოდ ისეთი საეკლესიო წესები, რომელთა შესრულება უფრო ხშირად უხდებათ მღვდელმსახურთ.

მწირონოზონი მ მ მ თ ი მ მ

/კოჭლაბაზაშვილი/





«ДЖВАРИ ВАЗИСА»

(Крест из виноградной лозы)

Журнал Грузинской Патриархии

Журнал открывается Пасхальным посланием Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всей Грузии Илии II.

Пастырь Грузинской Церкви поздравляет свою паству с величайшим праздником Пасхи и обращается к ней со следующими словами: «Воскресший Господь заходит в каждый дом, стучится в сердце каждого человека. Он дарит то, о чём так мучительно жаждет человек: мир и радость».

Главной темой послания, как и всегда, является сохранение мира на Земле и необходимость любви в человеческих отношениях. Его Святейшество рассуждает о сущности добра и зла, о благочестии и грехе и пишет: «Помните, Господь не возложит на вас более тяжёлого креста, чем вы в состоянии нести. С миром и смирением возьмите бремя жизни и помните всегда: более всего берегите душу свою, ибо дороже её ничего нет у человека». В конце послания Святейший Илия II пишет: «От вечного Источника Божественной Любви вера, любовь, надежда и протекающие отсюда радость и мир да изольются в остывшие человеческие сердца.»

В рубрике: «Телеграммы, письма, послания» печатаются тексты телеграмм посланных Святейшим и Блаженнейшим Католикосом-Патриархом всей Грузии Илия II в связи рождественским праздником: в Париж, протоиерею Илье Мелия и Председателю грузинской общины господину Тамазу Наскидашвили; в Стамбул, господам Павлу и Симону Зазадзе и грузинской католической пастве.

«Грузинская нация и деяния св. Нино» публикуется письмо классика грузинской литературы XIX века Ильи Чавчавадзе, написанное ко дню памяти равноапостольной св. Нино 14 января 1889 года.

В статье говорится о том, как на Иверскую землю являющуюся уделом Богоматери, по её молитве и благословению вступила осенённая свыше святая Нино, преодолев длинный и тяжкий путь чтобы сокрушить идолов и воздвигнуть на их месте Крест Христов-Крест Честный. И грузинский народ, раскрыв своё сердце, навечно заключил в нём Крест распятого бога и сам распялся, но никому не позволил осквернить ни сердца своего, ни Креста, глубоко и твердо запечатлённого в своей душе.

С тех времён более 15 веков в сердце с Крестом, а в руке с мечём жил, боролся и проливал свою кровь грузинский народ, но никому не удалось заставить его Свет променять на тьму. Так пишет великий Илья, которого народ Грузии назвал своим духовным отцом.

В свете подвига святой Нино писатель рассматривает всю последующую историю Грузии, отмечая, что необыкновенное мужество, отвага, жертвенный героизм проявлён-

ные нашими предками во имя Веры и Отечества были освещены светом, исходящим от «Древа Истины», воздвигнутым благодатью и подвигом св. Нино. На этом древе святой кровью Христа запечатлена и сияет величайшая заповедь данная нам Господом: «Возлюби ближнего своего, яко себя самого.» Учителя сей заповеди принял наш народ, признал Его Богом и Ему зажег сердце своё святой свечой Истины, которая до сих пор не угасла и не угаснет пока жива Грузия.

В текущем году весь советский народ отмечал 40-ую годовщину победы над фашистской Германией. Многие сыновья и дочери маленькой Грузии приняли участие в Великой Отечественной войне. Более четырёхсот тысяч её вернулись с войны.

Прошли годы, но до сих пор кровоточат раны, не утихает боль и скорбь в сердцах людей.

В этой кровопролитной борьбе важную роль сыграла Грузинская церковь, всегда стоящая рядом со своим народом. В газете «Коммунисты» от 10 ноября 1942-го года была опубликована телеграмма посланная Католикосом-Патриархом всея Грузии Святейшим Калистратом Верховному Главнокомандующему И. В. Сталину, в котором отмечалось, что Он молит Всевышнего о даровании силы нашей стране и победы над врагом. Грузинские церковнослужители внесли свой посильный вклад в создании фонда обороны, что укрепляло духовную связь между ушедшими на фронт и оставшимися дома.

Сегодня, когда человечеству опять угрожает более страшная, всеуничтожающая ядерная война, Грузинская Церковь вместе с грузинским народом, вновь призывает к миролюбию между народами. И особенно сейчас, когда мы отметили замечательную дату: 40-летие Победы, ещё сильнее звучит призыв к миру, добру и милосердию между людьми нашей Планеты.

В связи с этим в рубрике «Мир всем» печатается совместное послание Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II и Священного Синода к благословенным чадам Грузинской Церкви. В этой же рубрике печатается информация о подготовительном заседании VI Всехристианской Мирной Конференции проведённой 19 марта (2 IV) с. года в Москве, в котором от Грузинской Апостольской Церкви принимали участие председатель отдела внешних отношений Патриархии митрополит Давид и переводчица Д. Велиашвили.

Всему миру известен выдающийся церковный деятель Петр Грузин-Петр Ибер; для христиан поучительно и душевспасительно знание жизни и деяний известнейшего мыслителя, чье имя пятнадцать веков освещено немеркнущим светом.

Петр Ибер родился в 412 году в Грузии. Он был сыном грузинского царя Вараз-Бакури. Из-за сложной политической ситуации царь был вынужден отправить своего двенадцатилетнего сына заложником в Константинополь византийскому императору Феодосию II. Исторические источники свидетельствуют о том, что император Византии Феодосий II и его супруга Евдокия с большими почестями приняли грузинского царевича, оставили при дворе и проявили большую заботу, чтобы он получил соответствующее образование и воспитание; но грузинского царевича не

привлекала жизнь при дворе с его весельем и роскошью и он твердо решил уйти, покинуть дворец. Поэтому он вместе со своими соотечественниками Иоанном Лазом и Захарием Грузином ушел в Палестину, в Иерусалиме они постриглись в монахи. С этого времени начался сложный путь от маленького царевича до великого Петра Ибера.

В середине V века он был назначен епископом г. Майума (Вблизи города Газы).

Петр Ибер был видным представителем философско-теологического мышления, вел также работу по строительству церквей, монастырей, приютов. Основывал в Сирии и Палестине очаги грузинской культуры.

Авторитет Петра Ибера на Ближнем Востоке и в Африке был настолько велик, что его называли «Вторым Павлом», «Новым апостолом». С тех пор, как известный грузинский ученый, академик Шалва Нуцубидзе и бельгийский ученый Эрнест Хонигман, оба независимо друг от друга выработали мнение об идентичности Псевдо-Дионисия Ареопагита с Петром Ибером, интерес к его личности возрос.

Журнал предлагает статью епископа Амвросия (Катамадзе) «Петр Ибер в практике церковно-праздничной службы Грузинской Церкви».

В рубрике «Проповеди, учения», читатели ознакомятся с проповедью епископа Зосиме (Шишвили) «Будете убо вы совершени, якоже Отец ваш небесный совершен есть». Печатается текст учения Ефрема Сирина «О любви». Также приводится проповедь священника Алексея Шущания (1852—1922 гг.) «О молитве».

В Италии, в церкви св. Иоанна Крестителя города Турини, как известно, хранится святая плащаница, которая относится к числу наиболее почитаемых христианских реликвий.

В статье И. Шенгелая рассказывается об истории святой плащаницы; говорится также об известном кубке Граале и известном ордене Тамплиеров, которые в средние века имели контакты с Грузией и с Грузинской Церковью. В частности существует мнение, что в 1121 году, во время исторической Дидгорской битвы, когда грузинское войско победило многочисленную коалиционную армию Турков-Селджуков, на стороне грузин принимали участие 200 французских крестоносцев принадлежавших воинственному ордену Тамплиеров.

Чудотворный кубок Грааля, наполненный святой кровью и водой распятого Спасителя и связанный с именем ученика Христа Иосифа Аримафийского, охранялся избранными рыцарями. Имеются сведения и высказано предположение, что одним из рыцарей был царь могущественной восточной христианской страны — Иоанн Пресвитер, которого исследователи отождествляют с великим грузинским царем св. Давидом Строителем.

Здесь же приводятся сведения из древнегрузинской летописи «Картлис цховреба» («Жизнь Картли»), где повествуется о том, как при распятии Христа присутствовали прибывшие из Грузии Елиазар из Мцхета и Лонгинос из Карсани, которые выкупили хитон Спасителя и эту святыню привезли в Грузию. У города Мцхета Елиазара встретила сестра Сидония, которая с благоговением прижала святой хитон к груди и испустила дух. Елиазар похоронил Сидонию вместе с хитоном, так как никакой силой не могли вырвать его из рук усопшей.

На месте ее захоронения построили часовню (IV в.) а потом большой кафедральный собор Свети-Цховели.

В древней грузинской летописи «О крещении Картли» рассказывается, как св. Нино явилась Пресвятая Богородица, дала крест и возложила миссию просветить грузинский народ. Святая Нино выполнила эту великую миссию; совершила много святых деяний, проповедовала в Кахети; по пути в город Мцхета тяжело заболела и в местечке Бодбе завершила свой земной путь. Здесь же была погребена.

Кафедральный собор Бодбийской епархии, основанный на месте захоронения равноапостольной св. Нины, являлся для всей Грузии столпом православной веры. Особенно, во



времена тяжелых испытаний, сюда приходил грузинский народ; из этого источника истинной сыновей любви к Отечеству впитывал в себя новые духовные силы, моля свою Просветительницу о защите и победе над врагом.

Так было всегда, пока в прошлом веке из-за бессердечной политики царизма не был упразднен кафедрал во имя св. Гиоргия и объявлен рядовой церковью. Епархия была восстановлена в 1917 году.

Сейчас Бодбийскую епархию возглавляет архиепископ Афанасий (Чахвашвили).

С сегодняшним положением дел в епархии ознакомятся в рубрике «Из жизни епархии».

«Христианская символика в вязанных изделиях из древней провинции Грузии Саингило». Автор статьи М. Тарашвили указывает на древность местных традиций вязания мужских шерстяных чулков, женской одежды, пардаги и т.д., рассуждая об их самобытности и сравнивая с изделиями из других регионов Грузии, автор говорит об общегрузинском характере этих изделий и использовании в них христианской символики.

Известна та великая миссия, которую выполнила высокогорная провинция Грузии-Сванети в деле сохранения церковных реликвий, произведений грузинского искусства: икон, крестов, рукописей. В местных церквях имеются многие произведения, которые во время нашествий были перевезены сюда из центральных районов Грузии на сохранение, также памятники созданные в местных мастерских. Одним из таких интересных памятников, доказывающих существование местной школы чеканки, является икона св. Феодора, которая была украдена в 1978 году из церкви Иенаши-общины Латали и неожиданно оказалась в частной коллекции в Лондоне.

Интересна история возвращения «Св. Феодора» своему истинному владельцу — грузинскому народу. Новый владелец принес икону в Женевский музей для установления точной даты произведения. Если бы не любопытство коллекционера, то икона навсегда была бы утрачена для нас. Сотрудники женевского музея фотокопию переслали для кон-

сультации в Грузию. Наши специалисты сразу признали в фотокопии похищенную из Сванети икону св. Феодора. В Женеве состоялся суд, на котором было решено возвратить св. Феодора на родину — в Грузию.

В журнале печатается статья Н. Папуашвили «Икона св. Феодора из Сванети» и фото иконы.

«Вести из-за рубежа» — В этой рубрике печатаются письма и информации, посланные в адрес Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II из разных стран мира. Это письма известных деятелей, также материалы о Грузинской Церкви публикующиеся в зарубежных журналах и газетах.

26 февраля (8 III) т.г. после продолжительной болезни почил в Бозе старейший митрополит Зиновии (Мажуга) настоятель церкви св. Александра Невского.

В журнале печатается некролог и прощальное слово, произнесенное Святейшим и Блаженнейшим Католикосом-Патриархом всея Грузии Илии II в день погребения владыки Зиновия.

С древних времен грузинское государство, наряду с другими странами поддерживало культурную связь с островом Кипр, с которым особенно оживились контакты в X-XIII веках. Именно с этого периода предполагают основание грузинской обители, известной именем «Галия» или «Жалия». Еще в грузинских летописях указывалось о той заботе, которую проявляли царь Давид Строитель и царица Тамара к грузинской обители на Кипре. Но в последующие века из-за многочисленных испытаний, постигших Грузию, эти связи оборвались. И лишь за последние годы удалось собрать некоторые сведения о существовании грузинских очагов культуры на острове Кипр.

Автором статьи «Иверские древности на Кипре» является А. Микаберидзе, который был специально командирован на Кипр. Ему удалось обнаружить в Пафосском регионе, в горном местечке Ияля, остатки грузинской обители. По рассказам жителей селения на этом месте в древности стоял монастырский комплекс и одна из главных церквей была построена во имя св. Мамая.

«Из летописи»

В рубрике печатается слово, произнесенное протоиереем Никитой Талаквдзе 7 июня 1918 году при отпевании трагически скончавшегося, первого Католикоса-Патриарха после восстановления автокефалии Грузинской Церкви, Святейшего и Блаженнейшего Кириона II.

Журнал так же печатает песнопения композитора Н. Ги-гаури.

В прошлом году, в сентябре, отмечалось 175-летие со дня основания Ленинградской (Санкт-Петербургской) Духовной Академии. На празднествах присутствовала делегация Грузинской Церкви, во главе с епископом Зосимом (Шиошвили).

В журнале печатается обширная информация о юбилейных торжествах.

«Словарь и разъяснения»

В статье говорится о богословских книгах и их значении. Автор монах Евфимий (Кочламазашвили).

DJVARI VAZISA

(The Cross of Vine)

The Journal opens with the Easter Epistle of Catholicos-Patriarch of All Georgia Iliia II.

Greeting his nation on the day of Radiant Resurrection, he writes: «The Risen Lord enters every house today, filling our hearts with peace and joy we lack so much and towards which we strive». As ever, the main theme of his speech and the principle concern is preserving peace on earth and need of love among people, the idea of good and evil, grace and sin. «The Creator would not grant you the cross heavier than one you can carry. With serenity and modesty live your life, cherishing your soul most of all which is the most dear for a man, defining the question of our eternal death and life. May the Faith, Love and Belief with Joy and Peace pour in our cooling hearts from the unfailing source of Love».

The Easter greetings of Catholicos-Patriarch of All Georgia Iliia II to Rev. Elia Melia and Mr. Tamaz Naskidashvili, president of the Georgian community in Paris, as well as Mr. Paul and Simon Zazadze and the Georgian Catholic parish in Istanbul are printed under the title «Telegrams, Letters, Epistles».

«Georgian Nation and St. Nino — The article by the famous Georgian writer of the 19th century Iliia Chavchavadze, written on January 14, 1889 is dedicated to the memory day of the Equal to the Apostles St. Nino.

On the background of the noble merits of St. Nino, the Enlightener of Georgia, the author presents us the history of Georgian nation by selfless and devoted spirit protecting the cross, illumined by the eternal memory of Her grace. «She lighted the candle of Faith in the hearts of our people, con-


fessing the Lord and the light of this candle glowing through centuries, will be blazing till a Georgian will be alive».

Forty years have passed after the Great World War... Georgia, together with other Soviet states, gave the great sacrifice in this merciless war. More than 400 thousand Georgians have not returned back to their small motherland, which till today shows the sorrow and pain of those terrible days.


Georgian Church was always standing by her nation in the troubled times. In his letter of November 10, 1942, sent to the Supreme Commander-in-Chief Catholicos-Patriarch of All Georgia, His Holiness Calistrate, asked the Lord to grant strength and victory to our country. Georgian clergy made a modest contribution to the creation of Defence Fund. His Holiness Calistrate was pointing out that there was the spiritual contact between those stayed at home and those sacrificing their lives on the battlefield.

Today, when mankind is facing the danger of war, more terrible and destructive, Georgian Church together with her nation is struggling for peace, rising her voice for defending the source of happiness of people.

Under the title «Peace to All» the joint Epistle of Catholicos-Patriarch of All Georgia Iliia II and the Holy Synod, dedicated to the Godblessed children of Georgia and the 40th anniversary of the Victory in the Great World War, is printed in the journal with some information about the Preparatory Meeting of Christian Peace Conference, held in March at Danilov Monastery in Moscow. H.E. Metropolitan David, Head of the External Church Relations Department of Georgian Patriarchate and Mrs. Dodo Veliashvili, staff member of the Department, took part in this meeting.



უზუღლი. მთავარანბელოზის ხატი ჩაუაზიდან. დეტალი



მთავარანგელოზის ხატი ჩაუჭიდან XIV ს.

The journal presents some letters from the ancient Georgian Chronicle «Life of Georgia» concerning the Robe of Christ, brought from Golgotha by two Georgians who witnessed the Crucifixion. «Peter the Iberian in Georgian Ecclesiastical Practice» — The article by H.E. Ambrosius (Kata-madze) covers the history of life of the prominent Georgian ecclesiastic of the 5th century Peter the Iberian, Bishop of Maiumi.

«Preachings and Teachings» — The section acquaints us with the preaching of H.E. Zosime (Shioshvili) «Be ye therefore perfect, even as your Father, which is in heaven is perfect» (St. Matt 5:48) and Rev. Alexy Shushania (1852—1922) «For Prayer».

The great relic of Christianity, the Holy Shroud of Christ is preserved at St. John the Baptist Cathedral in Turin, Italy. The article by I. Shengelaia acquaints us with the history of the Shroud as well as some information about the Order of Templars and the Cup of Graal, which Georgian Church is partially connected.

«In the Dioceses» This section covers the history and present day life of Bodbe Diocese, where St. Nino, the Equal to the Apostles, found Her eternal peace.

«Christian Faith and Views in Ingilo Embroidery» by M. Tartarashvili. The article acquaints us with the art of embroidery in the mountainous region of Georgia Hereti (Sain-gilo) which reached its perfection in the period of antiquity.

The journal presents the article «The Icon of St. Theodore from Svanetia» by N. Papuashvili, covering the story of the stolen icon from Latali Ienachi Church in Svanetia, preserved in a private collection in London and later on by the decision of the Court of Geneva returned back to Georgia.

Metropolitan Zinovy (Majuga) of Tertitskaro, dean of St. Alexander Nevsky Cathedral, passed away after long illness on February 26 (8/111). The obituary and the speech of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II are printed in the journal.

«Iberian Relics of Cyprus» by A. Mikaberidze. Among many countries, that Georgia had the cultural relations with was Cyprus. The relations were much deepened in the 10th-13th centuries, when Georgian cultural centre was founded there. The author, being on Cyprus with the special mission, tells us about the Georgian antiquities he saw in the mountainous region of Pathos, in the circle of three villages called Ialia, where was the monastic centre with the Church of St. Mamai (St. Father). Georgian monasteries existed in the village of Alamonos and other parts of Cyprus as well.

«Chronicles» — The reader is acquainted with the deeply emotional and inspiring speech of Archpriest Nikita Talakvadze, made on July 7, 1918 when Catholicos-Patriarch of All Georgia Cirion II, the first Primate of Georgian Church, which only a year ago reestablished her autocephaly, tragically passed away.

«News from Abroad». Under this title are printed the letters and information received by Catholicos-Patriarch Ilia II from different persons and regular press.

In September of the last year, Leningrad (St. Petersburg) Theological Academy celebrated 175 years anniversary of its foundation. The Georgian Church delegation with H.E. Zosime (Shioshvili) at head, took part in this jubilee. The journal gives the thorough review of this event.

«Comments» — The article by monk Ekvtime Koclama-zashvili deals with theological books and their purposes.



სოფ. ალიბეგლო (ქათმისხევი) ნინოწმინდის ეკლესია.

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანი



ქადაგება უწმიდესისა და უნეტარესის,
ილია II

სიონი მიცკალეულთა მოხსენიება





წმიდა ზიარება



ჯვარზე მთხვევა

დიდუბის ტაძარში.



შ ი ნ ა ა რ ს ი

საადღეთო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 3

წერილები, დეპეშები, ეპისტოლენი 8

ქართველი ერი და ღვაწლი **წმიდა ნინოსი**. ილია ჭავჭავაძე 10

შვილობა ყოველთა
ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
ილია II და წმიდა სინოდისა, საქართველოს ღვთიერობებზე შვილებს, საბჭოთა ხალ-
ხის 1941-45 წლებში დიადი გამარჯვების 40 წლისთავის გამო 15

სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო კონგრესის მოსამზადებელი სხდომა მოსკოვში.
დ. ვ. ე. ლ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. 18

ღვთისმეტყველება
პეტრე ქართველი საკლესიო სადღესასწაულო პრაქტიკაში. ეპისკოპოსი
ამბროსი /ქათამაძე/ 19

ქადაგებანი, სწავლანი
„იყვნით თქვენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათაჲ სრულ არს.“
ეპისკოპოსი ზოსიმე /შიოშვილი/ 24

სიყვარულისათჳს. ეფრემ ასური 24

ლოცვისათვის. მღვდელმონაზონი ალექსი შუშანიძე 26

წმიდა სუდარა. ი. შენგელაია 29

ეპარქიების ცხოვრებიდან
ბოდბის ეპარქიაში 35

ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები ინგილოურ ნაქსოვებში.
მ. ტარტარაშვილი 37

წმიდა თევდორეს ხატი სვანეთიდან. ნ. პაპუაშვილი 40

ცნობები საზღვარგარეთიდან 43

გამოსათხუარი
მიტროპოლიტი ზინობი /ნკერლოვი/ 45

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სიტყვა 47

ქართული ეკლესია-მონასტრები საზღვარგარეთ.
კვიპროსის კუნძულის ივერთა სიძველენი. ა. მ. ი. ქაბერიძე 48 ✓

მატიანედან
სიტყვა წარმოთქმული სიონის ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ **კირიონ მეორის**
ანდერძის აგებზე, კვირას, 7 ივლისს, 1918 წელს. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე 50

საგალობლნი
მწუხრის საგალობელი. ქრისტე აღსდგა, აღიღუია. ნ. გიგაური 53

ზეიმი ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში. არქიმანდრიტი რაფაელი 55

ლექსიონი და განმარტებანი
სადღვთისმსახურო წიგნები. მწირონოზონი ექვთიმე /კოჭლამაზაშვილი/ 57

რეხიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე 58

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე /შიოშვილი/**
ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**
საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1985 წ.
სიონის ქ. №4 ტ. 72. 04. 53.
ტირაჟი 1000,
საქართველოს სსრ, მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Грузинская Патриархия
eДжвари Вазиса /лозовый крест/ №1, 1985 г.
Тираж 1000
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.
Набрано способом фотонабора

ქართული ასოები

ა	ⴁ	ბ	ⴂ	a	1	ს	ⴈ	შ	ⴉ	s	200
ბ	ⴃ	გ	ⴄ	b	2	ქ	ⴐ	ჩ	ⴑ	q	300
გ	ⴅ	დ	ⴆ	g	3	ც	ⴒ	ც	ⴓ	c	2000
დ	ⴇ	ე	ⴈ	d	4	ძ	ⴔ	ძ	ⴕ	3000	
ე	ⴉ	ვ	ⴊ	e	5	წ	ⴖ	წ	ⴗ	4000	
ვ	ⴋ	ზ	ⴌ	v	6	ჭ	ⴘ	ჭ	ⴙ	5000	
ზ	ⴍ	თ	ⴎ	z	7	ხ	ⴚ	ხ	ⴛ	6000	
თ	ⴏ	ი	ⴐ	ⴓ	8	ყ	ⴜ	ყ	ⴝ	7000	
ი	ⴑ	კ	ⴒ	t	9	გ	ⴞ	გ	ⴟ	9000	
კ	ⴓ	ლ	ⴔ	i	10	ღ	ⴠ	ღ	ⴡ	10000	
ლ	ⴕ	მ	ⴖ	ⴋ	20	ჩ	ⴢ	ჩ	ⴣ	3000	
მ	ⴗ	ნ	ⴘ	l	30	ც	ⴤ	ც	ⴥ	4000	
ნ	ⴙ	ო	ⴚ	m	40	ძ	ⴧ	ძ	⴨	5000	
ო	ⴛ	პ	ⴜ	n	50	წ	⴩	წ	⴪	6000	
პ	ⴝ	ჟ	ⴞ	j	60	ჭ	⴫	ჭ	⴬	7000	
ჟ	ⴟ	რ	ⴠ	o	70	ხ	ⴭ	ხ	⴮	8000	
რ	ⴡ	ს	ⴢ	p	80	ყ	⴯	ყ	ⴰ	9000	
ს	ⴣ	შ	ⴤ	ⴓ	90	გ	ⴱ	გ	ⴲ	10000	
შ	ⴥ	ჩ	⴦	r	100	ღ	ⴳ	ღ	ⴴ		

